



საქართველოს ზიზლირთეკა



დიმიტრი ყიფიანის სახელობის
საკუთხველო დარბაზი. 60-იანი წლები



საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟურნალი წარმოადგენს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკისა და საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის ყოველკვარტალურ ორგანოს. გამოიცემა ეროვნული ბიბლიოთეკის დაფინანსებით და უფასოდ ურიგდებათ საქართველოს ბიბლიოთეკებს; ჟურნალში გამოსაქვეყნებელი მასალები მიიღება ელექტრონული ფორმით მისამართზე: sakartvelosbiblioteka@gmail.com

ავტორების მიერ სტატიებში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა, არ გამოხატავდეს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკისა და საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის პოზიციას. შესაბამისად, აღნიშნული ორგანიზაციები არ იღებენ პასუხისმგებლობას მასალების შინაარსზე.

მთავარი რედაქტორი:	მაია შიქაბერიძე
საპატიო რედაქტორი:	ალექსანდრე ლორია
სარედაქციო კოლეგია:	გულნარა სტურუა რუსუდან ასათიანი დალი შაჩაიძე მირიან ხოსიტაშვილი
ტექნიკური რედაქტორი:	ლოლა სანაია
დიზაინი:	გიგი გელაშვილი
დაკაბადონება:	დიანა დანელიანი

საქართველოს ბიბლიოთეკა №4 (93) – 2023; გამოიცემა 2000 წლიდან.
©საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია

ლოგოში გამოყენებულია გრაფიკორ გრიგოლ ტატიშვილის მიერ შესრულებული ქართული ანბანის ასოთა ბმული.

ISSN 1512-0880
www.nplg.gov.ge
www.gela.org.ge



www.fb.com/magazineLibraryofGeorgia



შინაარსი

რელაქციონისაგან

მაია მიქაბერიძე

საბიბლიოთეკო ფონდების შესახებ

3

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა:

საერთაშორისო ურთიერთობები

მემორანდუმი ვატიკანის

ბიბლიოთეკასთან

4

მაია სიმონიშვილი

მსოფლიო საბიბლიოთეკო და საინფორმაციო კონგრესი 2023

6

საქართველოს საბიბლიოთეკო სისტემა:

საბიბლიოთეკო ფონდები

რომან აფაქიძე

საქართველოს ბიბლიოთეკებისა და საბიბლიოთეკო რესურსების დეტალიზებული ბაზა (მოკლე მიმოხილვა)

9

საქართველოს ბიბლიოთეკები: ისტორია და დღევანდელი

დალი მაჩაიძე

უფასო საერო წიგნსაცავ-სამკითხველო ონში

11

ანა მარგველაშვილი, თენგიზ სიმაშვილი, თამარ სიხარულიძე

ქოხ-სამკითხველოდან – საქალაქო ბიბლიოთეკამდე. მაწანწრის უბნის ბიბლიოთეკის საუკუნოვანი ისტორია

16

თამაზ ლაცაბიძე

საბიბლიოთეკო საქმიანობა ხაშურში

21



ბიბლიოთეკა და ტექნოლოგიები

ია გორგიშვილი

GeREs.ge – გზამკვლევი ქართულ ინტერნეტში.
შექმნისა და განვითარების ისტორია

28

რეცენზია, მიმოხილვა, შთაბეჭდილებები

ალექსანდრე ლორია

წიგნი ისტორიის დამახინჯების წინააღმდეგ

32

ემზარ კვიციანი

არაორდინარული წიგნი გალაკტიონზე

35

როსტომ ჩხეიძე

შენ ერთი მაინც

36

ლიტერატურა

„რომ ქვა არა ვარ და ქანდაკება“...

ლიტერატურული პრემია „საბას“ 2023 წლის გამარჯვებულები -
თეიმურაზ დოიაშვილი და ნათია სინარულიძე: ინტერვიუ

39

ხელოვნება

ჟაკლინ სირაძე

ოთარ იოსელიანის შემოქმედება (პასტორალი.
ღვინოშია ჭუმბარიტება)

46

საბიბლიოთეკო საქმე: სახელმძღვანელო მასალები
საერთაშორისო კატალოგიზაციის პრინციპების
დეკლარაცია / ინგლისურიდან თარგმნა ლია გიგაურმა

50

2024 წლის ღირსსახსოვარი დღეების
კალენდარი

62



მაია მიქაბერიძე

საბიბლიოთეკო ფონდების შესახებ...

ინურება 2023 წელი და ჩვენი ჟურნალის წინამდებარე მე-4 ნომერში ვაგრძელებთ საინტერესო სტატიების გამოქვეყნებას, როგორც უკვე დამკვიდრებული რუბრიკების, ასევე სიახლეთა კუთხით.

წლის ბოლო ნომრის მზადების პერიოდში მოგვისწრო ორმა სასიხარულო ინფორმაციამ:

– ევროკომისიამ 8 ნოემბერს საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭების რეკომენდაცია გასცა.

– საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასა და ვატიკანის ბიბლიოთეკას შორის თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა.

ორივე ამ თემის უფრო ფართოდ გაშუქებას მომდევნო წლის პირველსავე ნომერებში ვგეგმავთ. ამჯერად კი ყურადღება გვინდა გავამახვილოთ მიმდინარე წლის მნიშვნელოვან საკითხებზე.

თუ თვალს გადავავლებთ საქართველოს საბიბლიოთეკო ცხოვრებას, აღმოჩნდება, რომ ბევრი საინტერესო და მნიშვნელოვანი ღონისძიება ჩატარდა. სამწუხაროდ, ჩვენი ჟურნალი ამომწურავად ვერ ასახავს ყველა მათგანს, მაგრამ ვცდილობთ ინფორმაციას მოგაწოდოთ ძირითად ტენდენციებზე, მიღწევებსა თუ ხარვეზებზე.

ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული პრობლემა, რაც საქართველოს ბიბლიოთეკების წინაშე დგას, არის ფონდების განახლება-შევსება. ბიბლიოთეკების ბიუჯეტი დამოკიდებულია ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტის სიდიდეზე ან ადგილობრივი ხელისუფლების სინდისზე. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და სტანდარტების განყოფილებამ შეისწავლა ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდების შევსების საკითხი 2022 წლის მდგომარეობით და ვრცელი ანგარიში მოამზადა. წინამდებარე მე-4 ნომერში გთავაზობთ მოკლე მონახაზს ამ ანგარიშიდან. აქვე გთავაზობთ ვიზუალურ მასალასაც საქართველოს რუკის სახით, რომელზედაც მთავარ ელემენტად საქართველოს ბიბლიოთეკები და მათი ფონდების სისრულის ამსახველი ინფორმაციაა დატანილი.

N4-ის მასალებიდან განსაკუთრებულად გვინდა გამოვყოთ ინტერვიუ ლიტერატურულ კონკურს „საბას“ 2023 წლის პრემიის ლაურეატებთან, ბატონ თეიმურაზ დოიაშვილსა და ქალბატონ ნათია სიხარულიძესთან. ჩვენთვის განსაკუთრებით სასიხარულოა ის ფაქტი, რომ გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედების ეს ორი ბრწყინვალე მკვლევარი ჩვენი ჟურნალის ავტორები არიან. გალაკტიონის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილი მათი სტატიებით მრავალაზალ და საინტერესო ინფორმაციას გაეცნო (და მომავალშიც გაეცნობა) ჩვენი ჟურნალის მკითხველი.

მემორანდუმი ვატიკანის ბიბლიოთეკასთან

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საერთაშორისო ურთიერთობათა გაფართოება მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯია როგორც საბიბლიოთეკო საქმის, ასევე მთლიანად ქართული მეცნიერების განვითარების თვალსაზრისით. საბჭოთა მმართველობის მწარე გამოცდილება კიდევ უფრო თვალსაჩინოს ხდის თავისუფლებით მოტანილ შესაძლებლობას, რომ ქართულმა სამეცნიერო საზოგადოებამ და არამარტომან, დაუბრკოლებლად მიიღოს მსოფლიოს სხვადასხვა კულტურულ და საგანმანათლებლო ცენტრებში დაცული ინფორმაცია.

ეროვნული ბიბლიოთეკა მიზანმიმართულად მუშაობს ამ მიმართულებით. უურნალ „საქართველოს ბიბლიოთეკის“ წინა, N3-ში ჩვენს მკითხველებს გავაცანით 26-27 ივნისს რომში ჩვენი ბიბლიოთეკის დელეგაციის სტუმრობისა და რომის ეროვნულ ცენტრალურ ბიბლიოთეკასთან ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმის დადების შესახებ, რომელსაც საქართველოს მხრიდან ხელი მოაწერა საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორის მოადგილემ, ბატონმა მირიან ხოსიტაშვილმა.

ამჯერად კი მეორე და არანაკლებ მნიშვნელოვანი ამბავი გვინდა გახაროთ: ეროვნული ბიბლიოთეკის დელეგაციის მიერ ივნისში ჩატარებული მოსამზადებელი სამუშაოები წარმატებით დაგვირგვინდა და მიმდინარე წლის 10 ნოემბერს დაიდო ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმი საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკასა და ვატიკანის ბიბლიოთეკას შორის.

„ისტორიული დღე: საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასა და ვატიკანის ბიბლიოთეკას შორის თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა - ქართველი მეცნიერებისთვის უმნიშვნელოვანესი არქი-

ვები გაიხსნება, შეიქმნება ორმხრივი ციფრული ბაზები. გილოცავთ! მადლობა მხარე



მემორანდუმს ხელს აწერენ: დონ მაურო მანტოვანი, ვატიკანის ბიბლიოთეკის პრეფექტი და გიორგი კელელიძე - ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი

დგანან (მარცხნიდან): ირინა სანაშვილი - ვატიკანში საქართველოს ელჩის თანამშემწე, თამარ ხუციშვილი - ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორის სამდივნოს უფროსი, დავით გიორგაძე - საქართველოს პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის აპარატის უფროსი, მირიან ხოსიტაშვილი - ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილე, ტიმოთი იანცი - ვატიკანის ბიბლიოთეკის პრეფექტის მოადგილე, ქეთევან ბაგრატიონ მუხრანელი - საქართველოს ელჩი ვატიკანში, გივი მიქანაძე - საქართველოს პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის თავმჯდომარე



გიორგი კელელიძე, დონ მაურო მანტოვანი, ტიმოთი იანცი



**მირიან ხოსიტაშვილი, გივი მიქანაძე,
დავით გიორგაძე**

დაჭერისთვის საქართველოს პარლამენტს, საქართველოს პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტს“, - განაცხადა ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორმა, გიორგი კეკელიძემ.

ეროვნულ ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილემ, მირიან ხოსიტაშვილმა მემორანდუმს ისტორიულ შეთანხმება უწოდა და ასე შეაფასა მოსალოდნელი სასიკეთო შედეგი: „ვატიკანსა და ეროვნულ ბიბლიოთეკას შორის გაფორმებული მემორანდუმის მიხედვით ქართველ მეცნიერებს საშუალება ექნებათ საუკუნეების მანძილზე შედგენილი უნიკალური, საარქივო დოკუმენტები შეისწავ-



ლონ და ფართო საზოგადოებას გავაცნოთ. დარწმუნებული ვარ საქართველოს შესახებ, ჯერ კიდევ უცნობი დოკუმენტები ინახება მსოფლიოს მთავარ საისტორიო არქივში. ამ შეთანხმების მიღწევა შესაძლებელი გახდა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის შალვა პაპუაშვილის და პარლამენტის განათლების და მეცნიერების კომიტეტის თავმჯდომარის გივი მიქანაძის უშუალო ჩართულობით და მხარდაჭერით. განსაკუთრებული მადლობა ვატიკანში საქართველოს ელჩს ქალბატონ ქეთევან ბაგრატიონს და მის გუნდს მხარდაჭერისთვის.“





მსოფლიო საბიბლიოთეკო და საინფორმაციო კონგრესი 2023

მაია სიმონიშვილი

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა
საბიბლიოთეკო ფედერაციის ევროპის რეგიონის
კომიტეტისა და ინფორმაციის თავისუფლების
კომიტეტის არჩეული წევრი

ამა წლის აგვისტოში, ჰოლანდიის ქალაქ როტერდამში საბიბლიოთეკო გაერთიანებებისა და ორგანიზაციების საერთაშორისო ფედერაციის, იფლას ეგიდით გაიმართა მმ-ე საერთაშორისო საბიბლიოთეკო და საინფორმაციო კონგრესი.

საერთაშორისო საბიბლიოთეკო ფედერაცია 1927 წელს დაარსდა და მას შემდეგ მისი მოქმედების არეალი მნიშვნელოვნად გაიზარდა. დღეისთვის, ფედერაცია სხვადასხვა ბიბლიოთეკის შექმნისა და განვითარებისთვის საერთაშორისო სტანდარტებს შემუშავებს.

21 აგვისტოს, საერთაშორისო კონგრესი საზეიმოდ გახსნეს საბიბლიოთეკო ფედერაციის პრეზიდენტმა, ბარბარა ლისონმა, ჰოლანდიის განათლების, კულტურისა და მეცნიერების მინისტრმა, რობერტ დეიკ-გრააფმა, ჰოლანდიის კულტურისა და მედიის მდივანმა, გუნაი უსლუმ და პრინცესა ლაურენტინმა.

ცნობილი შოუმენი, ჟერმან ბერქაუთი საზეიმო ვითარებაში წარმართავდა კონფერენციის გახსნას, რომელსაც როტერდამის თანამედროვე ცეკვის ანსამბლი აფორმებდა. სწორედ ამ საზეიმო ვითარებაში, პირველად გაჟღერდა ინფორმაცია, რომ ახლო მომავალში, ევროკავშირი ითვალისწინებს საბიბლიოთეკო განვითარებისთვის სპეციალური პროგრამის შექმნას, რომელიც ევროკავშირის ნევრი ქვეყნების საგანმანათლებლო ორგანიზაციებს დაეხმარება.



კონგრესის გახსნამდე ერთი დღით ადრე, ერაზმუს როტერდამელის სახელობის როტერდამის საჯარო ბიბლიოთეკაში ევროპის რეგიონალური ბიბლიოთეკების შეკრება ჩატარდა. შეკრების თემა იყო საზოგადოებაში პოპულიზმისა და დეზინფორმაციის დაძლევა, სტატისტიკისა და სოციალური კვლევების მნიშვნელობა ბიბლიოთეკებში და უახლესი ტექნოლოგიებით სარგებლობის მეთოდები.

როტერდამის მთავარ საკონცერტო შენობაში, რომელიც ქალაქგარეთ მდებარეობს, პირველი სართული საბიბლიოთეკო რესურსების გამოფენას ეკავა. მასზე მთელი მსოფლიოდან წარმოდგენილი იყო პოსტერები, რეკლამები, საბიბლიოთეკო ტექნოლოგიები და თანამედროვე ციფრული ბიბლიოთეკები. აღსანიშნავია, რომ ბოლო წლების განმავლობაში, თავისუფალი წვდომის ხელშეწყობით, ჩვენი მკითხველებისთვის ასობით მონაცემთა ბაზა ხელმისაწვდომი გახდა.

საბიბლიოთეკო კონგრესზე მონაწილე, 4000-ზე მეტი ბიბლიოთეკარი სხვადასხვა ქვეყნიდან, 4 დღის განმავლობაში, სესიიდან სესიაზე შედიოდა და უჩვეულო ხალხმრავლობა მრავალი სესიისა და ტრენინგის გამო შეუმჩნეველიც იყო.

საბიბლიოთეკო ფედერაციის ევროპის რეგიონული კომიტეტის ინიციატივით, ჩატარდა სესია „ევროპის ბიბლიოთეკები, როგორც დემოკრატიის პლატფორმა.“ მასზე წარმოდგენილი იყო დეზინფორმაციასთან ბრძოლის, ნიუსგარდის ბიბლიოთეკებთან თანამშრომლობის გამოცდილება ამერიკიდან, სოციალური ქსელების როლი ბიბლიოთეკებში, ბიბლიოთეკების მოძრაობა ადამიანების უფლებების დაცვისთვის ირლანდიაში, ასევე საქართველოსა და მსოფლიოში საგამომცემლო სივრცეების თანამშრომლობა, რის შესახებაც ისაუბრა მსოფლიო საგამომცემლო ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტმა, გვანცა ჯობავამ.

ახლო მომავალში, ჩვენი მკითხველებისთვის ქართულ ენაზე ხელმისაწვდომი იქნება ახალი საბიბლიოთეკო მანიფესტი და ახალი ინტერნეტ მანიფესტი, რომელიც თა-

ნამედროვე მოთხოვნების შესაბამისად, ბიბლიოთეკების ინტერნეტიზაციას ითვალისწინებს და გარკვეულ სახელმძღვანელო დოკუმენტად ითვლება. აღნიშნული მანიფესტების მომზადებასა და დანერგვას ეძღვნებოდა ერთერთი სესია, სადაც საუბარი იყო, თუ რა ტიპის გადამზადება სჭირდებათ ბიბლიოთეკებს, რომ თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი სერვისები და კოლექციები შექმნან.

ეროვნული ბიბლიოთეკების კონფერენციაზე, რომელსაც ავსტრალიის ეროვნული ბიბლიოთეკის ხელმძღვანელობა უძღვება, ანგლო-ამერიკული რეგიონის ბიბლიოთეკების წარმომადგენლებმა ისაუბრეს ბიბლიოთეკებში ხელოვნური ინტელექტის ათვისების მეთოდებზე და მათ როლზე კოლექციების განვითარებაში. საინტერესოა, რომ საუბარია ხელოვნური ინტელექტის დახმარებით ახალი მიმართულების პროფესიების შექმნასა და მოსალოდნელი საფრთხეების არიდებაზე.

დამსწრე აუდიტორიაზე დიდი შთაბეჭდილება დატოვა სამხრეთ კორეის ბიბლიოთეკების ვირტუალურმა პლატფორმებმა, რომლებსაც ახლო მომავალში უფრო ვრცლად გაგაცნობთ. კონგრესის მონაწილეებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ბიბლიოთეკებში ციფრული წიგნების კოლექციების გამდიდრების შემდეგ, მნიშვნელოვნად გაიზარდა მოთხოვნა ლიტერატურის ბეჭდურ ვერსიებზე.

ბოლო წლებში, ყველაზე აქტუალური საკითხი, რომელიც პანდემიამ შეაფერხა და პოსტ-პანდემიურ პერიოდში ახალ ეტაპზე გადავიდა, მდგრადი განვითარების საკითხებია. გაეროს ფარგლებში გამართული სხვადასხვა ღონისძიების დღის წესრიგში განსაკუთრებით გამორჩეულია მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების საკითხი მდგრადი განვითარების 17 მიზნის შესახებ, რომელიც ამავე მოსახლეობის განვითარებისა და ხელშეწყობის სხვადასხვა სფეროს ეხება.

საერთაშორისო საბიბლიოთეკო ფედერაცია დიდ ყურადღებას უთმობს ბიბლიოთეკებში თანამშრომლობის ჯანსაღი გარემოს განვითარებას და ბიბლიოთეკართა მენტალურ ხელშეწყობას. საბიბლიოთეკო ფედერაციის გენერალურ ასამბლეაზე, განსაკუთრე-

ბული ყურადღება დაეთმო ბიბლიოთეკების, როგორც დემოკრატიული ორგანიზაციების განვითარებას. მაგალითად, როტერდამის ბიბლიოთეკაში შექმნილია სოციალური ქსელები, რომლებიც დაინტერესებულ მოქალაქეებს სხვადასხვა სამეცნიერო სფეროს წარმომადგენლებთან აკავშირებს და სამეცნიერო კვლევებს ფართო საზოგადოებისთვის უფრო გასაგებს ხდის.

უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოს რეგიონებში სტიქიის შედეგების გათვალისწინებით, ბიბლიოთეკები აქტიურად სწავლობენ საგანგებო ვითარებებში მოსახლეობის დახმარების სერვისებს. მაგალითად, არსებობს საერთო სტანდარტები, რომლითაც ბიბლიოთეკები სტიქიისა და კრიზისულ ვითარებაში ხელმძღვანელობენ, რათა ეროვნული მემკვიდრეობაც დაიცვან და მოსახლეობას შეუწყონ ხელი პრევენციის საკითხებზე ცნობიერების ამაღლებაში.

მსოფლიო საბიბლიოთეკო კონგრესის დახურვის დღეს, წარმოდგენილი იყო სხვადასხვა ნომინაციებში გამარჯვებული ბი-

ლიოთეკები. ესპანეთის გაბრიელ გარსია მარკესის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკა სულ ახლახან შეიქმნა და მისმა სერვისებმა საყოველთაო მონონება დაიმსახურა.

საერთაშორისო ფედერაციის საანგარიშო სხდომაზე წარმოდგენილი იყო ორწლიანი მუშაობის შედეგები, ხოლო ერთ-ერთ შეხვედრაზე გაიმართა ევროპის რეგიონის კომიტეტის საანგარიშო სხდომა, რომელზეც აღინიშნა, რომ საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საქმიანობის შედეგები წარდგენილი იყო მდგრადი განვითარების მიზნებისადმი მიძღვნილ, გაეროს რამდენიმე კონფერენციაზე, მათ შორის, ინტერნეტ მმართველობის ფორუმსა და გაეროს ფარგლებში, ევროპის რეგიონის ეკონომიკური კომისიის ფორუმზე.

შეიძლება ითქვას, რომ საბიბლიოთეკო და საინფორმაციო კონგრესის სიახლეები ყოველ ორ წელიწადში დაგროვილ გამოცდილებას ახლებურად წარმოგვიდგენს და ვეცდებით, ახლო მომავალში მთავარი სიახლეები უფრო დეტალურად გაგაცნოთ.





საქართველოს ბიბლიოთეკებისა და საბიბლიოთეკო რესურსების დეტალიზებული ბაზა (მოკლე მიმოხილვა)

რომან ავაქიძე

საქართველოს პარლამენტის ეროვნული
ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკათმცოდნეობისა
და სტანდარტების განყოფილების უფროსი

როგორც ცნობილია, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა არის ეროვნული ბიბლიოგრაფიის, ინფორმაციის, სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოებისა და ბიბლიოთეკების მეთოდური საქმიანობის კოორდინატორი საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან ერთად.

შესაბამისად, იგი წლების განმავლობაში მუშაობდა და მუშაობს საქართველოს საბიბლიოთეკო სისტემაში შემავალი ყველა ტიპის ბიბლიოთეკების შესახებ მონაცემთა ბანკის სრულყოფაზე. მონაცემთა ბანკში გროვდება სხვადასხვა სახის ინფორმაცია, რომელთა დამუშავება-გაანალიზება ქვეყნის ბიბლიოთეკების წინაშე მდგარი პრობლემების გადაჭრის მნიშვნელოვანი წინაპირობაა.

ეროვნული ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და სტანდარტების განყოფილებამ 2021 წლიდან აწარმოვა მუშაობა საბიბლიოთეკო რესურსების შესწავლის თვალსაზრისით. სწორედ 2021 წელს შეიქმნა საქართველოს ბიბლიოთეკებისა და საბიბლიოთეკო რესურსების დეტალიზებული ბაზა. კვლევა განმეორდა 2022 წელსაც, რომლის მონაცემებსაც დღეს მოკლედ წარმოგიდგინებ.

კვლევის თანახმად, 2022 წლისთვის საქართველოში სულ 830 საქალაქო და სოფლის ბიბლიოთეკა არსებობდა. აქედან 658 სასოფლო, 172 კი სხვადასხვა მნიშვნელობის საქალაქო ბიბლიოთეკებია (მუნიციპალური ცენტრალური, საქალაქო და საბავშვო ბიბლიოთეკები). კვლევის შედეგად გაირკვა, რომ ბიბლიოთეკებს თანამედროვეობაში უამრავი პრობლემა აქვთ, ფონდის დაცვის უზრუნველყოფიდან დაწყებული, კომპიუტერებით აღჭურვისა და ინტერნეტთან წვდომით გაგრძელებული. არის ბიბლიოთეკები, რომლებსაც უშუალოდ შენობის პრობლემაც კი აქვთ და მათზე რეგისტრირებული წიგნადი ფონდები გადატანილია ახლომდებარე შენობებში, თავად ბიბლიოთეკის შენობის არარსებობის გამო. ასე, მაგალითად, ინტერნეტით აღჭურვილია ჩვენ მიერ აღრიცხული ბიბლიოთეკების მხოლოდ 37,18%, დანარჩენებს კი (ეს ბიბლიოთეკების თითქმის ორი მესამედი) ინტერნეტთან წვდომა არა აქვთ. ჩვენს დროში კი, ამ პირობებში, რასაკვირველია, რთულდება მკითხველების მოზიდვა ბიბლიოთეკაში. სხვადასხვა სახის რემონტი სჭირდება ბიბლიოთეკების თითქმის ნახევარს - 47,1 %.

განსაკუთრებით შემამოფოთებელი ამ თვალსაზრისით სოფლის ბიბლიოთეკების მდგომარეობაა. აღმოჩნდა, რომ არსებობს ბიბლიოთეკები, სადაც 1000-ზე ნაკლები წიგნი ინახება ფონდში. ეროვნული ბიბლიოთეკა ამ ბიბლიოთეკებს შეძლებისდაგვარად ეხმარება წიგნადი ფონდების შევსებაში.

ამასთანავე არსებობს ბიბლიოთეკები, რომლებსაც ე.წ. მოჩვენებითი წიგნადი ფონდი აქვთ, რაც იმას ნიშნავს, რომ ბიბლიოთეკის ფონდში დაცული წიგნების უმრავლესობა უბრალოდ გამოუსადეგარია სიძველის გამო. წიგნების ჩამონერის პრობლემა მრავალი ბიბლიოთეკისთვის იქცა ცენტრალურ პრობლემად ამ პროცედურისთვის დამახასიათებელი სირთულის გამო. მნიშვნელოვანია ასევე ისიც, რომ ბიბლიოთეკების ახალი წიგნების მომარაგებისთვის მიზერული თანხები გამოიყოფა მუნიციპალური სახელისუფლო ორგანოების მიერ. მართალია ჩვენ მიერ წარმოებული კვლევა კოვიდურ და პოსტკოვიდურ პერიოდს დაემთხვა და შეიძლება ეს სურათზე გავლენას ახდენდეს, მაგრამ ფაქტია, 2021-2022 წლის მონაცემების განხილვამ ცხადყო, რომ სოფლის ბიბლიოთეკები ან საერთოდ არ იღებენ თანხებს ფონდის შესავსებად ან ამ მიზნით წელიწადში მხოლოდ 200-დან 400 ლარამდე თუ იხარჯება, რაც, რასაკვირველია, არაა საკმარისი ყველაზე პატარა სასოფლო ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის განსაახლებლადაც კი. ამ ორი ფაქტორის დამთხვევა კი (ძველი წიგნების ჩამონერასთან და ფონდების განახლებასთან დაკავშირებული პრობლემები) ინვევს ინტერესის კლებას ბიბლიოთეკებისადმი, რაც თავის მხრივ მკითხველთა რაოდენობის კლებას განაპირობებს.

ზოგადად, ამ პრობლემების კლასიფიკაციამ მათი იდენტიფიცირების საშუალება მოგვცა. ბიბლიოთეკებსა და ბიბლიოთეკარებისთვის პრობლემურ საკითხებს შორისაა წიგნების ჩამონერის, თავად ბიბლიოთეკარების სტატუსის განსაზღვრის პრობლემები. ფაქტია, რომ ამ პირობებში მუშაობა და საბიბლიოთეკო რესურსების შენარჩუნება ბიბლიოთეკარების თავდაუზოგავ შრომას და თავდადებას მოითხოვს.

ამ კვლევების შედეგად გამოვლენილი საკითხები წლეულს არაერთხელ იყო განხილული საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს სხდომებზე, შემუშავდა კიდევ რეკომენდაციები ბიბლიოთეკის თანამშრომელთა სტატუსის განსაზღვრად, რამაც ჩვენი პროფესიის წარმომადგენელთა გარკვეული სოციალური დაცვის საშუალება უნდა მოგვცეს.

სამომავლოდ იგეგმება საუნივერსიტეტო და სასკოლო ბიბლიოთეკების კვლევა, რაც კიდევ უფრო სრული სურათის დანახვის და მათ პრობლემებზე რეაგირების საშუალებას მოგვცემს.

ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და სტანდარტების განყოფილების მიერ ჩატარებული კვლევის საფუძველზე ეროვნული ბიბლიოთეკის კარტოგრაფიის განყოფილების ხელმძღვანელმა, **ბატონმა ნიკა ყარალაშვილმა შეადგინა უნიკალური რუკა**, რომელზეც საქართველოს საქალაქო და სოფლის ბიბლიოთეკების, ზოგადად, საბიბლიოთეკო რესურსების შესახებ ამომწურავი ინფორმაციაა დატანილი.

აღსანიშნავია რომ ასეთი რუკა და მონაცემთა ბაზაც დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში პირველად შეიქმნა, რაც გვაძლევს მაქსიმალურად სრულ სურათს საქართველოს საბიბლიოთეკო ქსელის შესახებ. რუკა წარმოდგენას გვიქმნის იმ პრობლემების შესახებ, რომლებიც საქართველოში ბიბლიოთეკებისა და ბიბლიოთეკარების წინაშე დგას.

უდიდესი მნიშვნელობა აქვს ყველა ბიბლიოთეკარის მონაწილეობას ამ მონაცემების შეკრებისა და დამუშავების პროცესში. ამიტომ გთხოვთ, თუ რამე სახის ხარვეზს აღმოაჩინებთ თქვენ წინაშე წარმოდგენილ რუკაზე, მოგვწეროთ ამის შესახებ! [რუკა იხილეთ ჟურნალის ყდაზე].



დალი მაჩაიძე

საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

წიგნის სიყვარული ოდიდგანვე ახასიათებდა ქართველს. საუკუნეებით უწინარეს ბეჭდვის გამოგონებამდე, ხელნაწერთა მდიდრული პირადი კოლექციები ჰქონდათ ქართულ მონასტრებს, სამეფოკარსა და დიდგვაროვან ერისკაცთა ოჯახებს. წიგნსაცავთა მფლობელები სხვებსაც ანიჭებდნენ მათი ძვირადღირებული განძით სარგებლობის უფლებას, რიგანი მოპყრობისა და უცილობელი დაბრუნების პირობით. ასე რომ, იმ კერძო წიგნსაცავებს ბიბლიოთეკის ერთგვარი ფუნქციაც ჰქონდა, ორგანიზებული საბიბლიოთეკო საქმიანობა კი XIX საუკუნიდან დაიწყო საქართველოში.

ასწლეულის მანძილზე, პოლიტიკურ-ეკონომიკური ვითარების შესაბამისად, სხვადასხვაობდა საბიბლიოთეკო საქმის განვითარების ეტაპებიც, ბიბლიოთეკათა სახეობებიცა და მათი მიზანდასახულებანიც. რუსეთის იმპერიის მიერ სამეფოგაუქმებულ ქვეყანაში, თბილისსა და ზოგ სამაზრო ქალაქში, სასულიერო სემინარიებს, საერო გიმნაზიებსა თუ სამხედრო სასწავლებელს კი ჰქონდათ თავიანთი ბიბლიოთეკები, მაგრამ ისინი არაქართული გამოცემებით იყო დაკომპლექტებული, რადგან დიდგვაროვან ქართველთა შვილების გარუსებულ მსახურებად აღზრდა სურდა იმპერიას და, მათი ეროვნულობის დასათრგუნად, სწავლება რუსულ ენაზე მიმდინარეობდა. ამით სასწავლებლებში სწავლის მსურველეთა რიცხვიც მცირდებოდა და მკითხველთა რაოდენობაც ბიბლიოთეკებში, შესაბამისად დაბალი იყო განათლების ხარისხიც. ამიტომაც იმ ბიბლიოთეკებს არსებითი მნიშვნელობა არც ჰქონია ქვეყნის განვითარებისათვის. თითქმის იგივე

უფასო საერო წიგნსაცავ- სამკითხველო ონში

ითქმება რუს მოხელეთა მიერ თავიანთი საჭიროებებისა და რუსულენოვანი მკითხველისათვის გახსნილ კერძო სამკითხველოებზე. თუმცა მათ მცირე ნაწილს ქართველი საზოგადოების ყურადღებაც მიუპყრია და გარკვეული როლიც შეუსრულებია საქართველოს საბიბლიოთეკო საქმის განვითარებაში. ამ ფონზე ეროვნული მნიშვნელობა შეიძინა პირველი ორგანიზებული სამკითხველო დაფუძნებამ დიმიტრი ყიფიანისა და მოწინავე ქართველი საზოგადოების ძალისხმევით. ყიფიანი იყო ბიბლიოთეკის დაარსების წამომწყებიცა და მისი დებულების პროექტის ავტორიც. ყიფიანისავე სახლში 1843 წელს გაიხსნა „თბილისის კერძო ბიბლიოთეკა“. მისი ამხანაგობის წევრებმა ხელნაწერთა შეგროვება, მცირეფორმატიანი ჟურნალის გამოცემა და მთარგმნელობითი საქმიანობის ხელშეწყობაც განიზრახეს, ანუ მოისურვეს ბიბლიოთეკის კულტურულ-შემოქმედებით ცენტრად გადაქცევა. მათ ეს ვერ მოახერხეს, მაგრამ მძლავრი ბიძგი კი მისცეს საბიბლიოთეკო საქმის წარმართებას საქართველოში. შეიქმნა ოფიციალური საჯარო ბიბლიოთეკის დაარსების პირობები და, როცა ის დაეფუძნა თბილისში, დიმიტრი ყიფიანმა თავისი ბიბლიოთეკის მთელი ფონდი მას შესწირა, ხოლო საბიბლიოთეკო ამხანაგობის განუხორციელებელი მიზნები აღასრულა 1879 წელს დაარსებულმა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“. თავისი ზოგადეროვნული, მრავალმხრივი და მასშტაბური საქმიანობით მან მოახერხა: ქართული ხელნაწერი და ძველნაბეჭდი წიგნების დიდი ნაწილის თავმოყრა და გადარჩენა; საუკეთესო ბიბლიოთეკა-მუზეუმის შექმნა; ქართული წიგნბეჭდვის საქმის განხორციელება; ბიბლიოთეკების შევსება ახალი გამოცემებით; ასევე მომარაგებაც თავიანთი დაარსებული სკოლებისა სახელმძღვანელოებითა და სხვა საჭირო გამოცემებით. ხელშეწყობი პირობები შექმნა



არქიმანდრიტი ნიკიფორე კანდელაკი

ქართული დანყებითი სკოლებისა და პერიოდული გამოცემების მომრავლებისთვისაც. ამან კი სამკითხველოების გახსნის აუცილებლობაც გააჩინა და ქართული ჟურნალ-გაზეთებიც აქტიურ ენოდნენ საბიბლიოთეკო საქმის ხელშეწყობას მისი პროპაგანდითა და წიგნსაცავ-სამკითხველოებთან დაკავშირებული საკითხების გაშუქებით. შედეგად, ეროვნული ცნობიერების ზოგადი ამაღლების ფონზე, XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან განსაკუთრებით სწრაფი ტემპით წარიმართა საბიბლიოთეკო ქსელის განვითარება საქართველოში. ერთბაშად დაიწყო უფასო სახალხო წიგნსაცავ-სამკითხველოების გახსნა სამაზრო ცენტრებსა და სოფლებში.

ბუნებრივია, დავინტერესდით, თუ რა ვითარება იყო ამ მხრივ რაჭაში. საქართველოს რეგიონთა შორის პირველში, სადაც სტამბა ამოქმედდა და წიგნებიც დაიბეჭდა იმ საუკუნის დასაწყისში. ჩვენთვის საინტერესო საკითხზე ძირითადი ინფორმაცია მოგვანოდა იმდროინდელმა ყოველდღიურმა საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთმა „ივერიამ“. როგორც შევიტყვეთ, XIX საუკუნის მიწურულს რაჭაში ორი სახალხო წიგნსაცავ-სამკითხველო დაარსებულა: ერთი ზემო რაჭაში, დაბა ონში; მეორე კი ქვემო რაჭაში, მაშინდელ სოფელ ამბროლაურში. უნდა ითქვას, რომ მასალები ქვემო რაჭის სამკითხველოს შესახებ, მეტ პერიოდულ გამოცემაშია გამოქვეყნებული და მნიშვნელოვნადაც ჭარბობს მათი, როგორც რაოდენობრივი, ისე შინაარსობრივი მონაცემები. იმ მასალებზე დაყრდნობით, სტატისა ამბროლაურის წიგნსაცავ-სამკითხველოს თაობაზე, ვაქვეყნებთ ალმანახ „მწიგნობარში“; აქ კი

ზემო რაჭის, ონის, უფასო საერო წიგნსაცავ-სამკითხველოს საკითხს შევხებით. უპირველესად ქრონოლოგიური თანამიმდევრობით წარმოვაჩინოთ „ივერიის“ პუბლიკაციებს:

„ივერია“, 1893, 29 ივლისი, N 160, გვ. 2: - კორესპოდენციაა რაჭიდან, რომელიც ეხება უამინდობითა და მოუსავლიანობით გამოწვეულ შეჭირვებას რეგიონში. იმ წლის ერთადერთ სიკეთედ ავტორი მიიჩნევს უწერაში მჟავე წყლებზე სამკურნალოდ ჩამოსულთა სიმრავლეს, რაც სასტუმროთა პირობების გაუმჯობესებას გამოუწვევია. თუმცა: „ერთი ნაკლი მეტად საგრძნობელია: არც გაზეთი და არც წიგნები არ არის, რომ ავადმყოფმა და მათმა თანმხლებლებმა გული გადააყოლონ. თუ დაინახავენ გაზეთს ან წიგნს, ერთმანეთს სტაცებენ ხელიდან. გაყიდვითაც კი გაიყიდება წიგნი, თუ ვინმე იკისრებს და მოიტანს. ერთმა რამდენიმე ეგ ზემპლარი „სვანური ზღაპრები“ და ვილჰემ ტელი მოიტანა და ერთ წამს დაიტაცეს. ... კარგი იქნება გამომცემლისათვისაც, რომ ერთ კაცს მიანდობდეს წიგნის ყიდვას და ამნაირად, სხვა უწესო გართობის ნაცვლად, გონების გასართობს გააჩენდნენ“. აღვნიშნავთ, რომ აქ დასახელებული წიგნები, ქუთაისის ამხანაგობის გამოცემები ყოფილა, ყველა 1893 წლისა, დაბეჭდილი ქუთაისშივე, ნ. ი. გამრეკელის სტამბაში.

ეს მოხმობილი კორესპოდენცია, ცხადია, ონის სამკითხველოს არ ეხება, მაგრამ აშკარად მიგვანიშნებს მისი დაარსების აუცილებლობაზე, რეგიონში მკითხველთა მომრავლებასა და წიგნის მზარდ მოთხოვნაზე. ახლა კი გავეცნოთ უშუალოდ სამკითხველოსთან დაკავშირებულ ინფორმაციებს:

„ივერია“, 1894 წელი, 6 სექტემბერი, N189, გვ. 2. - ახალ ამბებში, მცირე შეტყობინებები რაჭის სამკითხველოებზე: ამბროლაურში კრებაა გახსნის შესახებ, ხოლო „დაბა ონში რამდენიმე კაცის თაოსნობით შედგა წრე, რომელიც აარსებს აქ სამკითხველოს. წრეს კიდევ ჰქონდა კრება და ამ გვარის საქმის დახმარება ბევრმა ისურვა. იმედია, ვისაც ამ გვარის საქმისთვის გული შესტკივა, არ დაიშურებს თავისს წვლილს და ხელს გაუწვდის ფულით თუ წიგნებ-გაზეთებით“;

1895, 1 ივნისი, N112, გვ. 2. - „დაბა ონი, რაჭა. როგორც იქნა ასრულდა დიდი ხნის სურვილი და დღეს, ნიკოლოზ ეგნატეს ძე მრევლიშვი-

ლის მეცადინეობით, სამკითხველო შევიძინეთ. სამკითხველო ჯერჯერობით ღარიბია, ამიტომ მივმართავთ მათ, ვისაც კი უღვივის განათლების სიყვარული და ვთხოვთ დახმარება აღმოგვიჩინონ“;

„ივერია“, 1896, 19 იანვარი, N14, გვ. 4. – „ანგარიში 1895 წ. დ. ონის სამკითხველოსი“. 1895 წლის 17 დეკემბერის ამხანაგობის კრება. განიხილეს ამ ექვსი თვის შემოსავალ-გასავალი სამკითხველოსი. კომიტეტმა წარადგინა სია მათი, ვინც რაიმე შემწეობა აღმოუჩინა სამკითხველოს. გულითადი მადლობა უძღვნეს ყველას. განსაკუთრებული მადლობა გამოეცხადათ: ქ. ი. ნ. ყიფიანისას, რომელმაც ამ ნახევარი წლის განმავლობაში უფასოდ დაუთმო შენობა (ორი ოთახი) სამკითხველოს; ასევე მმართველს სამკითხველოსას - ა. ბ. ბაქრაძეს, ვინც ამ ხნის განმავლობაში უსასყიდლოდ იმსახურა და შემდეგაც იგივე აღუთქვა. ამ ნახევარი წლის განმავლობაში ნამდვილ წევრად ჰყოლიათ 43 წევრი, სანევრო შესულა 219 მან. და 15 კაპ. კერძო შეწირულობა ყოფილა 68 მან. და 73 კაპ. სულ შემოსული თანხაა 287 მან. და 88 კაპ. აქედან ხარჯი სამკითხველოს კურთხევის დღეს 54 მან. და 73 კაპ. წვრილმანი დანახარჯი 45 მან. და 38 კაპ. ჟურნალ-გაზეთების გამონერაზე 1895 წელს - 77 მან. და 60 კაპ. 1896 წელს 96 მან. და 74 კაპ. სულ 274 მან. და 45 კაპ. საანგარიშო პერიოდში გამოწერილი იყო ჟურნალ-გაზეთები: 3 ქართული და 9 რუსული. ამათგან „ივერია“, „მოამბე“ და «Будьте здоровы» სამკითხველოს უფასოდ დაეთმო მრევლიშვილისაგან. ნახევარ წელიწადში სამკითხველოდან სახლში გატანილი ჰქონდა წიგნები 400 სულს, სამკითხველოში კითხულობდა 700. წიგნები შეუწირავთ: რ.ზ. ყიფიანს - 7 წიგნი; კ.პ. დობრეველსკის - 2; ა.ს. პეტრიაშვილს - 23; ზ. ჭიჭინაძეს - 27; გ.ი. გრძელიშვილს - 12; ნ. გ. მრევლიშვილს - 19; მ.ნ. მინდელს - 2; დ.ა. გიორგობიანს - 1 ეგზემპლარი, შედგენილი 88 სხვადასხვა წიგნაკისაგან; კ. ლობჯანიძეს - 1; ა. როინიშვილს - 1 წიგნად 10 ცალი; ა. ჯანუაშვილს - 1; გ. ჩხეიძეს - 1; ს. სიჯვილაძეს - 2; დანდუროვს - 1; ა.ი. ნულუკიძეს - 42; ივ. მაჩაიძეს - 26 (სავარაუდოდ, ივანე ივანეს ძე მაჩაიძე, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბათუმის განყოფილების წევრი (1913-1915) და ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცე-

ლებელ საზოგადოებას - 22. სულ 197 წიგნი, მათში არ შედის ჟურნალ-გაზეთების დამატებანი - (приложения). ანგარიშს ხელს აწერენ: კომიტეტის თავმჯდომარე, ექიმი ივანე გოკიელოვი და წევრები: ნ. მარკვილაშვილი, პ. გამყრელიძე, დ. გოცირიძე. ანგარიში შედგენილია 1896 წლის 12 იანვარს;

„ივერია“, 1897, 18 დეკემბერი, N262 - გვ. 2. - მთელ რაჭაში 2 სახალხო წიგნთ-საცავია ერთი სოფ. ამბროლაურს, მეორე დაბა ონში, ცოტაა, მაგრამ იოლად წავიდოდა კაცი, ისინი მაინც რომ რიგიანად იდგეს ფეხზე. ორივე გასაჭირშია. ამბროლაურისა ისეა, რომ იტყვიან: „თათარს და ურიას შეებრალეზაო“. თანაც გამოაქვთ წიგნები და აღარ აბრუნებენ, ამბობენ, რადგან ვერ იხეირა, ონში უნდა გადავიდეს, იქაურს შეუერთდესო. ვინ იცის თუ არ გამოწნორდა მდგომარეობა, ეგებ ასეც მოხდეს...;

„ივერია“, 1899, 28 მარტი, N67 - გვ. 2-3 - მცირე, სამწუხარო შეტყობინება რაჭი სამკითხველოების შესახებ: სამი წელი იქნება, რაც ონსა და ამბროლაურში უფასო სამკითხველოები დაარსდა. ამბროლაურისამ ცოტა ხანს იბოგინა და სალათას ძილით ძინავს. არც დამარსებელნი იწუხებენ მისთვის თავს, არც წევრები და დაკეტილ სამკითხველოში წიგნებს თავგები იზეპირებენ. ამბობენ, არც ონის სამკითხველოს საქმეა თურმე კარგად. იმასაც სენი ეპარება;

„ივერია“, 1900, 7 მარტი, N49, გვ. 4. – „წერილი რაჭიდან“ ონისა და ამბროლაურის ურთიერთგაჯიბრება გალექსებანი. ერთი მათგანით სასულიერო პირი, მღვდელი მიხეილ გავაშელიშვილი (გავაშელოვი) (1855 – 1912), ფსევდონიმით „რივნის თაველი“ (ქართული გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია. ტ. 5. ნაკვ. 1. – თბ., 1967. – გვ. 623), აღექსებს ონელებს ზემო რაჭის სნებაშეყრილი, კარგამოკეტილი სამკითხველოს გამო:

„ონელებო, კმარა ლხინი! გეყოფათ სიმთაჟღერაო,
წარა-მარად ნუნუას სმა, სკვინჩაობა და მღერაო.

მოიხედეთ, ღმერთს შეჰხედეთ, მაღლი ჰქენით სასახელო

და ეცადეთ, უნამლობით არ მოგიკვდესთ სამკითხველო!

„ივერია“, 1900, 22 ივნისი, N133, გვ. 4. - „ანგარიში დ. ონის უფასო სახალხო სამკითხველოსი 1899 წლისა“. შემოვიდა ფული: 1. სამკითხველოს ამხანაგობის 19 წევრისაგან - 95 მან.; 2. ძველი უფარვისი გაზეთების გაყიდვით - 9 მან. 45 კაპ.; 3. სცენის მოყვარეთაგან, დ. ონში 1899 წელს 22 აგვისტოს გამართული წარმოდგენისა - 30 მან.; 4. კერძო შემოწირულობა - ა.მ. ვართაპეტოვისაგან - 3 მან.; დ.ა. ბერუჩოვისაგან - 2 მან.; ვ.ვ. მარკოვიჩისაგან - 1 მან.; 15 კაპ.; ი.ს. და დ.გ. კვიტაშვილებისაგან - 2 მან. სულ 8 მან. და 15 კაპ. სულ შემოვიდა 142 მან. და 60 კაპ.; 5. წიგნები შემოწირეს: კოსტ. რამაზ. გოცირიძემ 80 ქართული წიგნი, ყდაში ჩასმული - 20 მან.; თავად ჯანსოხ დადემქელიანმა - 9 რუსული (მაზრის უფროსი იყო, ონელები ნეტარობდნენ მის დროს: „გვიშველე რამე, ჯანსუხო, ჩვენო ლხინო და შვებო! ცნობის ფურცელი, 1900, N 49); ს.ი. ლეინევიცმა - 1 რუსული წიგნი. დაიხარჯა: 1. ჟურნალ-გაზეთების გამოწერისთვის - 43 მან. და 90 კაპ.; 2. სამკითხველოს მმართველის თანაშემწეს ჯამაგირი - 30 მან. და 19 კაპ.; 3. გასტუმრებულია ვალი, რომელიც ირიცხებოდა სამკითხველოზე 1 იანვრისთვის 1899 წლისა - 27 მან. და 45 კაპ.; 4. შეშა, ნავთი და სხვა წვრილი ხარჯი - 36 მან. და 98 კაპ.; სულ 138 მან. და 52 კაპ.; 1 იანვრისთვის 1900 წლის სამკითხველოს დარჩა - 4 მან. და 8 კაპ.;

1899 წელში სამკითხველოს ჰქონდა წიგნები: რუსული 149 და ქართული 317; გამოწერილი ჰქონდა: «Русское Богатство», «Вестник Иностранной литературы», «Нива», «Вокруг света», «Пастырский собеседник», «Журналь для всех», „მოამბე“, „კვალი“ «Кавказ», «Новое-описание», «Сын отчества». რედაქციებმა დაუთმეს სამკითხველოს ნაკლებ ფასად: «Нива» - 5 მანეთად; «Пастырский собеседник» - 3 მანეთად; „ივერია“ 5 მანეთად; „მოამბე“ 5 მანეთად; „კვალი“ 4 მანეთად. «Кавказ»-ი ბატონმა ველიჩკომ დაუთმო სამკითხველოს უფასოდ; «Новое-описание»-ც იგზავნებოდა უფასოდ, შეჩერებამდე. გარდა 2 მანეთის ფოსტის ხარჯისა, რომელიც იკისრა ალ. ფარ. ხაინდრავამ. დიდი შემწეობა აღმოუჩინა სამკითხველოს ფულის შეკრებაში მისმა მზრუნველმა ა.თ. ქ. ხარაძისამ.

სამუშაო დღეებში სამკითხველო ღია იყო 5-დან 9-მდე; უქმეებში - დამატებით 11-დან 2-მდე. წლის განმავლობაში უფასოდ ისარგებლა 1384-მა, სახლში წაიღო წასაკითხი 289 კაცმა. კომიტეტი, დადგენილებით, გულითად მადლობას სწირავს შემომწირველებსა და რედაქციებს. ანგარიშს ხელს აწერენ წევრი და ზედამხედველი - დ. ნოდია და პარ. გამყრელიძე;

„ივერია“, 1901, 16 დეკემბერი, N273, გვ. 2-3. - რაჭის მოსახლეობა 80 000 კომლი და მხოლოდ 2 სამკითხველო და ისიც არა, რადგან ამბროლაურის სამკითხველომ 4 წლის წინათ განისვენა. ხალხის ნაცვლად დაკეტილში მომრავლებული თავგები თუ კითხულობენ. ონის საქმეც ცუდადაა, ხშირად დაკეტილია და როგორც ჩანს, წიგნებიც არ უნდა ჰქონდეთ, იქ მოსამსახურე კაცმა „ვეფხისტყაოსანი“ მე მომთხოვა, საკვირველია, ქართული სამკითხველო და უვეფხისტყაოსნოდ?! მაშ რაღა აქვთ?! მადლობა ღმერთს, თუ საქმე გამოუსწორდა და ამბროლაურის გზას არ დაადგა ისიც - წერს ვანო ჭიჭინაძე რაჭის ამბების ავტორი.

ამრიგად, შეგვიძლია დავასკვნათ - რომ არა გაზეთ „ივერიის“ გამორჩეული ყურადღება საბიბლიოთეკო საქმის მიმდინარეობისადმი საქართველოში, თითქმის არაფერი გვეცოდინებოდა კონკრეტულად ზემო რაჭის, დაბა ონის უფასო სახალხო სამკითხველოზე. „ივერიის“ პუბლიკაციებიდან კი უპირველესად ის გავიგეთ, რომ გაზრდილიყო მკითხველი, წიგნისმოყვარე მოსახლეობის რაოდენობა რეგიონში, რომ დიდი იყო მოთხოვნა წიგნებზე, შესაბამისად, საჭიროებაც უფასო სახალხო სამკითხველოს გახსნისა რეგიონში; მომდევნო ინფორმაციები თანამიმდევრობით გვაუწყებს: სამკითხველოს დაარსების გადანყვეტილებას - 1894 წლის 6 სექტემბერს შემდგარი კრება და აღსრულებას - 1895 წლი 1 ივნისის პუბლიკაცია. ამ მონაცემებზე ხაზგასმა აქ იმისთვის დაგვჭირდა, რომ მათი მეშვეობით, ვფიქრობ, უნდა ჩასწორდეს ონის სახალხო ბიბლიოთეკის დაარსების თარიღი, რომელიც მითითებულია სპეციალურ ლიტერატურაში: „ამბროლაურში პირველი ბიბლიოთეკა 1894 წელს დაარსდა, ... ხოლო ონში უფრო ადრე გაიხსნა ბიბლიოთეკა - 1893 წელს“ (ა. ლორია; ნ. გურგენიძე. საბიბლიოთეკო საქმე საქართველოში, თბ., 1974. გვ.



**მიხეილ გავაშელიშვილი მეუღლესა
და შვილთან ერთად**

277). „ივერიის“ ზემოთმოტანილი პუბლიკაციების მიხედვით კი საქმე სხვაგვარადაა - ონის სახალხო ბიბლიოთეკა დაარსებულია არა 1893 წელს, არამედ 1895 წლის ივნისში, ანუ არა 1 წლით ადრე ამბროლაურის წიგნსაცავ-სამკითხველოზე, არამედ 1 წლით გვიან. ამასვე ადასტურებს „ივერიის“ მომდევნო პუბლიკაციაც, რომელიც წარმოადგენს ონის სამკითხველოს 1895 წლის ანგარიშს, ოღონდ შეჯამებულია არა 12, არამედ 6 თვის მუშაობის შედეგი, ანუ სწორედ ზემოთდასახელებული თარიღიდან მოყოლებული პერიოდი, ივნის-დეკემბრი.

1893 წლის ივნისამდე ზემო რაჭაში, ონში, სახალხო სამკითხველო რომ არ იყო, ამას ავლენდა მღვდელ ნიკიფორე კანდელაკის სიტყვებიც. ამბროლაურის უფასო წიგნსაცავის გახსნის ორგანიზატორი ასაბუთებდა რა მისი დაარსების აუცილებლობას, აღნიშნავდა, რომ ქვემო რაჭა, მრავალ საჭიროებათა შორის, მოკლებულია „ძვირფას საუნჯესა და სულიერ საზრდოს - ბიბლიოთეკას; რომ „სამაზრო ქალაქი (ონი) შორს არის, ხშირი მსვლელობა შეუძლებელია იქ. ამიტომ, საჭიროების დროს, ვერ ვისარგებლებთ, კიდევ რომ იყოს, ვერა გვარი საქველმოქმედო დაწესებულებით“ („ივერია“, 1893 წელი, 24 ივნისი N 132, გვ. 3). როგორც ზემოთ ვნახეთ, ონში ბიბლიოთეკა არ გახსნილა იმ წლის ივნისის შემდეგაც და არც მომდევნო წელს, როცა სამკითხველო დაფუძნდა ამბროლაურში.

სამწუხაროდ, ზემო რაჭის ბიბლიოთეკის საქმეც ისევე ვერ წარმართულა სასურველად და ხანგრძლივად, როგორც ეს ამბროლაურისას დაემართა. ონის სამკითხველოს გაძლიერების აზრი გაჩენილა მისი დაარსებიდან

ორიოდე წელში, როცა ქვემო რაჭის შეჭირვებული ბიბლიოთეკის მასთან მოსალოდნელი შეერთების ხმები დაირხა. თუ აქ გამოქვეყნებულ 1895 და 1899 წლების ანგარიშებს შევაჯერებთ, ჩვენც აშკარად დავრწმუნდებით, ბიბლიოთეკის საქმის უკუსვლაზე ამ ხნის განმავლობაში. და, ეგებ, გადაჭარბებადაც აღარ მოგვეჩვენოს 1901 წლის პუბლიკაციაში ვანო ჭიჭინაძისეული შეფასება ონის ბიბლიოთეკისა. აქვე აღვნიშნავ, რომ ბრალდებები სახალხო ბიბლიოთეკების საქმეთა სათანადოდ ვერწარმართვისა, არც მხოლოდ რაჭის ხვედრი იყო და არც მხოლოდ მისი დამაარსებლებისა თუ ამხანაგობის წევრების უმოქმედობა თუ გულგრილობა, როგორც ამას მათზე არსებული ზოგი პუბლიკაციის ავტორი წარმოაჩენს. ეს იმდროინდელი სოციალური და საკანონმდებლო პოლიტიკის შეუფასებლობაა, ცალმხრივი ბრალდებაა დამაშვრალ, მაგრამ ვერა ყოვლისშემძლე ადამიანთა. აქვე ვიტყვით, რომ პუბლიკაციებიდან სრულად წარმოვაჩინე სამკითხველოს შემომწირველთა ჩამონათვალი. ვფიქრობ, ეს მნიშვნელოვანია, ცნობილი პირების შესახებ ინფორმაციის შესავსებად, ეგებ წინაპართა საქმეების ამოსაცნობადაც...

დასასრულ ის მცირე ინფორმაცია, „ივერიის“ მასალებითა და დამატებით მოძიებული წყაროებით რომ გავიგეთ ონის უფასო საერო წიგნსაცავ-სამკითხველოს დაარსების მესვეურის, საქმის წარმმართველის, სამკითხველოსათვის წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების კომპლექტთა შემწირველის - ნიკოლოზ ეგნატეს ძე მრეველიშვილის შესახებ. იგი საერო პირი ყოფილა, სახელმწიფო მოხელე, ბოქაული (გადაწყვეტილებათა აღმასრულებელი) ონის სახალხო სასამართლოსი (ისარი, 1907, 27 იანვარი, N19, გვ.3; Кавказ, 1886, N277, გვ. 2.); განწევრიანებული იყო ამბროლაურის სამკითხველოს ამხანაგობაში, რაჭის პოლიციის ბოქაულ ბესარიონ მდივანთან ერთად. როგორც ჩანს იყო საკმაოდ ცნობილი და გავლენიანი პირი, რადგან მათი ჩართვა იმ სამკითხველოს ამხანაგობაში მნიშვნელოვანი ყოფილა არა თანამდებობრივად, არამედ თავიანთი მრავალრიცხოვანი ნაცნობებიდან ამხანაგობის წევრთა შემოსამატებლად („მწყემსი“, 1894 წელი, 14 ოქტომბერი, N18. - გვ. 5).

ანა მარგველაშვილი
თენგიზ სიმაშვილი
თამარ სიხარულიძე

ქოხ-სამკითხველოდან – საქალაქო ბიბლიოთეკაშდა. მანანწრის უბნის ბიბლიოთეკის საუკუნოვანი ისტორია

ადგილობრივი მცხოვრებლების გადმოცემით, უბანს მანანწარა იქ მრავლად მომდინარე წყაროების და ხევში მონანწკარე წყლის გამო ეწოდა. ზოგიერთის აზრით კი, მანანწარა სიტყვა მანანწალადან მოდის: „მანანწარა როგორც დასახლება დაარსებულა მე-19 საუკუნის 40-იან წლებში. დაახლოებით 1830-40 წწ. მანამდე ამ ტერიტორიაზე ყოფილა სახნავ-სათესი ადგილები და ტყეები, რომლებსაც ეძახდნენ ე.წ. „ახოებს“. მათ შორის ყოფილა ხევი, რომელიც ახლაც არის „მანანწრის ხევის“ სახელწოდებით. ამ ხევს არ ჰქონია კალაპოტი და წარამარა ერთი ადგილიდან მეორეზე გადადიოდა და ამიტომ მისთვის დაურქმევიათ „მანანწალა ხევის“ უბანი. შემდგომში დახვეწილა ეს სახელწოდება და დღემდე შემორჩა „მანანწარა,“ – ვკითხულობთ უბნის ძველ ბიბლიოთეკაში დაცულ თხელ, მწვანე რვეულში, სადაც აქ მომუშავე ქალების რამდენიმე თაობას, ბიბლიოთეკის ისტორია აღუწერია და ჩვენამდე მოუტანია. ხევისა არ იყოს, „მანანწარა“ ისტორია აქვს თავად ბიბლიოთეკასაც. ერთი საუკუნის განმავლობაში, მან ამ უბანში სამი მისამართი გამოიცივალა.

გარდა ხელოსნებისა, მანანწარა რევოლუციონერების თავშესაფარიც ყოფილა. აქ, ყოველდღიურ ფუსფუსსა და შრომაში ჩაბმულ მოქალაქეებს ახალ-ახალ იდეებს თეთრებიც უქადაგებდნენ და წითლებიც. წითლებს იქვე, მანანწრის ქუჩაზე (დღევანდელი ჭავჭავაძის გამზირი) მცხოვრები, ცნობილი რევოლუციონერების – აივაზაშვილების ოჯახის სახით

დიდი დასაყრდენი და საიდუმლო შეხვედრებისთვის თავშესაფარიც ჰქონდათ.

შრომაში ჩაბმული, ხალხმრავალი და ჭრელი უბანი კარგ წინაპირობას ქმნიდა არაფორმალური განათლების გასავრცელებლად და პოლიტიკური ცნობიერების ასამაღლებლად. ამ საქმიანობისთვის კი, სამკითხველოზე კარგი ადგილი რა უნდა ყოფილიყო?!

საუბნო სამკითხველოს შესახებ, ჩვენს ხელთ არსებული პირველი დადასტურებული ინფორმაცია 1919 წლით თარიღდება. საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დროინდელი თელავის ერობის ერთ-ერთ დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ მანანწრის უბნის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სამკითხველოსთვის ერობამ გარკვეული ფინანსები გამოყო.[1].

ჩვენთვის უცნობია მანანწრის უბანში წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ადგილობრივი განყოფილება-სამკითხველოს დაარსების თარიღი, თუმცა საუბნო ბიბლიოთეკის ისტორიის ათვლა სულ ცოტა ამ პერიოდიდან უნდა დავიწყოთ, რადგან სწორედ სამკითხველო უნდა ყოფილიყო ის პირველი საუბნო-საგანმანათლებლო სივრცე, რომელიც 1921 წლიდან უკვე „ქოხ-სამკითხველოს“ შექმნას დაედო საფუძვლად.

1920-იანი წლების ბოლოს, ბიბლიოთეკა „მანანწრის ქუჩის სამკითხველოდ“ და „კლუბად“ იხსენიება. ერთ-ერთ საარქივო დოკუმენტში თელავის „თემ-აღმასკომის თავმჯდომარე“, მანანწრის ქუჩის სამკი-



თხველოს გამგე ამხ. გ. ნარეკლიშვილი, განაცხადით მიმართავს თელავის აღმასკომს: „მოგმართავთ, რომ მანანწრის კლუბი არის დარჩენილი შესაკეთებელად და გთხოვთ, რომ გამოგვინეროთ 50 მანეთი, რომ შევაკეთოთ კლუბი“ [2]. ბიუჯეტში საკმარისი თანხის არარსებობის გამო, შუამდგომლობა იმხანად არ დაკმაყოფილდა.

გადმოცემით, მანანწრის უბნის ქობ-სამკითხველო, საქართველოს საბჭოთა ოკუპაციის პირველსავე წელს, ამჟამინდელი ჭავჭავაძის №158-ის ადგილას გაიხსნა და ქალაქ თელავის №1 საქალაქო ბიბლიოთეკის სახელით დღემდე მოქმედებს ჭავჭავაძის №150-ში. მიუხედავად იმისა, რომ ცნობებს უბნის სამკითხველოს შესახებ ჯერ კიდევ 1919 წლიდან ვხვდებით, ბიბლიოთეკის ისტორიის ათვლა, ისევე როგორც „ახალი საქართველოსი“ – 1921 წლიდან იწყება. ეს იმ ხანისთვის დამახასიათებელი მიდგომაა, რომელიც საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დროინდელ ამბებს სრულიად უგულებელყოფდა. როგორც ჩანს, არც სამკითხველოს ისტორია აღმოჩნდა გამონაკლისი.

ბიბლიოთეკის ამბები პირველად მისმა რიგითმა თანამშრომელმა და შემდეგ გამგემ – ქეთევან დევიძემ ჩაწერა და თხრობა სწორედ 1921 წლიდან დაიწყო (ქეთევან დევიძის მამა გახლდათ ჭავჭავაძის № 119-ში მცხოვრები გიორგი დევიძე – მეთუნე, მელექსე). ქეთევან დევიძის ჩანაწერები, 2004 წლიდან გადაწერა, შეავსო და განავრცო ბიბლიოთეკის ამჟამინდელმა ხელმძღვანელმა, ქალბა-

ტონმა იზოლდა ჯამასპიშვილმა-სივსივაძემ და ამით, ქალაქს ბიბლიოთეკის 100-წლიანი ისტორიის ქრონიკა შემოუნახა. უშუალოდ დევიძისეული ჩანაწერები ბიბლიოთეკის ერთ-ერთი გადაბარგების დროს დაიკარგა.

ქეთევან დევიძემ ქობ-სამკითხველოში მუშაობა 1948 წელს დაიწყო; ამ დროს ბიბლიოთეკის გამგე ქალბატონი ნატაშა აივაზაშვილი ყოფილა: „ბიბლიოთეკაში წიგნების რაოდენობა ძალიან მცირე იყო, სულ რაღაც ორიოდ რეველში ყოფილა მოთავსებული. „ქობ-სამკითხველო“ მკითხველთა დარბაზს მოგაგონებდათ. კედლების ირგვლივ ჩამწკრივებული იყო წიგნებით ჩანყობილი, ჩაკეტილი კარადები, შუაში კი ერთი უშველელი, გრძელი მაგიდა ყოფილა თავისი სკამებით. ღონისძიების დროს აქ ხალხი ვერ ეტეოდა. ზოგი კარებიდან უყურებდა მის მსვლელობას. ღონისძიების მეორე ნაწილი მიდიოდა სიმღერითა და აკორდეონით“ (ბიბლიოთეკის ისტორია დაცულია ბიბლიოთეკაში). ანუ ბიბლიოთეკა, გარდა სამკითხველოსი და არაფორმალური განათლების ცენტრისა, საუბნო კულტურის სივრცის, კლუბის ფუნქციასაც ასრულებდა: „ბიბლიოთეკა გამოირჩეოდა საკმაოდ მდიდარი წიგნადი ფონდით. მამა, ლუკა თამარაშვილი, ხშირად აღნიშნავდა ხოლმე, რომ წიგნს არ ვტოვებდი ნაუკითხავს, ისე მიყვარდა მხატვრული და ასევე სამეცნიერო ლიტერატურის კითხვაო. ამდენად წიგნის სიყვარულს და კითხვის კულტურას სწორედ ამ ბიბლიოთეკის საშუალებით ეზიარა, როგორც ჩემი ოჯახის უფროსი თაობა, ასევე მანანწრის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობა“, – გვიზიარებს ისტორიკოსი თამარ თამარაშვილი.

1958 წელს, მანანწრის უბნის ქობ-სამკითხველოს საქალაქო ბიბლიოთეკა ეწოდა. ეტაპობრივად იზრდებოდა წიგნადი ფონდიც. ბიბლიოთეკა გადასული იყო პროაქტიულ მუშაობაზე და მკითხველებს არაერთ დამატებით ღონისძიებას სთავაზობდა: „ნაყოფიერად და ხალისიანად მუშაობენ მანანწრის ბიბლიოთეკის მუშაკები. ბიბლიოთეკაში რეგულარულად ტარდება ლიტერატურული წრის საღამოები, ეწყობა ღირსშესანიშნავი



თარიღებისადმი მიძღვნილი გამოფენები“, – წერდა გაზეთი „ალაზნის განთიადი“ 1959 წელს.

თუმცა, ქეთევან დევიძის მიხედვით – „მხიარულების გარდა დიდი სანუხარიც გვექონდა, გვანუხებდა ჭერიდან ჩამოსული წვიმა, გვინევდა ჩამწკრივებული კარადების განევა და გადაადგილება“. ეს პრობლემა კარგად არის ასახული ბიბლიოთეკაში დღემდე შემორჩენილ ერთ-ერთ შთაბეჭდილებების წიგნში, რომელიც მკითხველთა ჩანაწერებს აერთიანებს და ბიბლიოთეკის ისტორიის რეკონსტრუქციისათვის დამატებით, მნიშვნელოვანი წყაროა: „ორი წელი იქნება, რაც ჩანწერილი ვარ თელავის მანანწრის საქალაქო ბიბლიოთეკაში. ამ ხნის მანძილზე, მე როგორც პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტს, ბევრჯერ დამჭირებია სახელმძღვანელო, მეთოდური და მხატვრული ლიტერატურა. მე მაშინვე შემოვიდოდი ამ ბიბლიოთეკაში, სადაც მეგულებოდა საჭირო ლიტერატურა და ამასთანავე კარგი და გულისხმიერი ბიბლიოთეკარ-თანამშრომლები [...] მაგრამ უნდა აღინიშნოს ამ ბიბლიოთეკის სივინროვეც. კერძოდ, აუცილებელია სამკითხველო დარბაზი, სადაც მკითხველს საშუალება ექნება თავისუფალ დროს კითხულობდეს საჭირო და საინტერესო წიგნებს. ამ მხრივ, მე მინდა აღვნიშნო ჩემი უკმაყოფილების შესახებ, რომ სამკითხველო დარბაზის არარსებობის გამო, მე ვერ გამოვიყენე ქართულ-რუსული ლექსიკონი, რომელიც წესისამებრ სახლში არ გამატანეს“, – წერდა 1973 წელს მოქალაქე ა. აბაზოვი. სამკითხველო სივრცის არარსებობა და შენობის

ამორტიზაცია, უფრო და უფრო უშლიდა ხელს კულტურული თუ ლიტერატურული ღონისძიებების ჩატარებას, რაც უზნის ერთგვარ ტრადიციად იყო ქცეული. შთაბეჭდილებების წიგნში ჩანაწერები ხშირად ერთმანეთს ჰგავს შინაარსითა და აქცენტებით. ჩნდება შთაბეჭდილება, რომ ეს ჩანაწერები ბიბლიოთეკის მესვეურებისა და მკითხველების ერთიანი, შეთანხმებული სტრატეგიის ნაწილიც იყო – უკმაყოფილების მითითებით მიექციათ გადაწყვეტილების მიმღები პირების ყურადღება და დაეჩქარებინათ პრობლემის მოგვარება. ამ მოსაზრებას გარდა ერთგვაროვანი ჩანაწერებისა, შთაბეჭდილებების წიგნის წარმოების პერიოდშიც გვაფიქრებინებს. ჩანაწერები აქ 1973 წლის 16 მაისით იწყება და 1975 წლის 14 ივნისით სრულდება და კამპანიურ სახეს ატარებს.

1980 წელს, ქეთევან დევიძის ძალისხმევით და მონდომებით ბიბლიოთეკას ახალი შენობა გამოუყვეს, იქვე, ჭავჭავაძის №139-ში, რომლის ფართობიც 250 კვადრატული მეტრი იყო. ამ დროს ქეთევან დევიძე უკვე ბიბლიოთეკის გამგე გახლდათ.

ჭავჭავაძის №158-ის, უზნის ბიბლიოთეკის მომიჯნავედ, 1920-იან წლებში, მენარმის და ვაჭრის, ნიკოლოზ არზუმანოვის ოჯახი მას შემდეგ გადმოასახლეს, რაც მას იქვე, ჭავჭავაძის ქუჩაზე მდებარე დიდი, ორსართულიანი სახლი ჩამოართვეს მასში სკოლის გახსნის მიზნით. ოჯახს ბიბლიოთეკის გვერდით ოთხოთახიანი ბინა გამოუყვეს, სადაც წლების განმავლობაში ცხოვრობდა არზუმანოვების ოჯახი. „ჩვენს საცხოვრებელ სახლსა და ბიბლიოთეკას თურმე ერთი კედელი ჰყოფდა“, – იხსენებენ მენარმე არზუმანოვების დღემდე აქ მცხოვრები შთამომავლები, ლალი და ნანა ნახუცრიშვილები. ბოლოს, ოჯახის ერთ-ერთმა წევრმა თხოვნით თუ საჩივრით მიმართა შესაბამის ორგანოებს – გაფართოების უფლების მიღების თაობაზე. მართლაც, 1980 წელს, ბიბლიოთეკა, იქვე, ჭავჭავაძის №139-ში გადაიტანეს (ყოფილი ბაგა-ბაღის შენობაში), „ქოხ-სამკითხველოს“ ტერიტორია კი – არზუმანოვების ოჯახს მიაკუთვნეს. მოგვიანებით სახლი გადაკეთდა.

1980 წლიდან, შედარებით მოზრდილ სივრცეში, ბიბლიოთეკამ ახალი შემაღლებით განაგრძო საქმიანობა და აქტიურად ჩაერთო, მაგალითად, იქვე, მეზობლად მეორე მსოფლიო ომიდან შინმოუსვლელთა მემორიალის მონყოფის პროცესში. უბნიდან ომში დაღუპული ჯარისკაცების ფოტოალბომი ბიბლიოთეკაში დღემდე ინახება. ამავე პერიოდს მიეკუთვნება ბიბლიოთეკაში დაცული ერთ-ერთი ყოფილი თანამშრომლის, ქალბატონ ლამარა ჩეკურიშვილის მიერ 1980-იან წლებში შედგენილი, სამი თხელი რვეულისგან შემდგარი ერთგვარი კონსპექტიც, ინსტრუქციები საბიბლიოთეკო მუშაობისთვის, სადაც, მაგალითად, ვკითხულობთ: „ბიბლიოთეკის საქმიანობაში საზოგადოების მონაწილეობის ერთ-ერთი ქმედითი ფორმაა ბიბლიოთეკის საბჭო. ბიბლიოთეკა ვალდებულია მჭიდრო კავშირი იქონიოს მოსახლეობასთან, იცნობდეს მშრომელთა მასების მოთხოვნილებებს, გაუღვიძოს მათ ინტერესი საბიბლიოთეკო საქმისადმი. თავის ირგვლივ ბიბლიოთეკამ უნდა შემოიკრიბოს მკითხველთა ფართო აქტივი და ორგანიზაცია, რადგან ბიბლიოთეკის წარმატება იმაზეა დამოკიდებული, რამდენად ფართო მასები იღებენ მასში მონაწილეობას“.

„ფართო მასებამდე“ წიგნის მიტანის, ანუ მათი საბიბლიოთეკო ცხოვრებაში ჩართვის სტრატეგია პრაქტიკაშიც ხორციელდებოდა – 1960-იანი წლებიდან ბიბლიოთეკას რამდე-

ნიმე გაცემის პუნქტი ჰქონია: „მათ შორის ხორც-კომბინატთან, სამკერვალო ფაბრიკასთან, ყრუ-მუნჯთა საზოგადოებასთან, პურკომბინატთან, გაზეთის სამმართველოსთან“.

2007 წელს, მანანწრის ბიბლიოთეკას შეუერთდა თელავის №3 საქალაქო ბიბლიოთეკა თავისი წიგნადი ფონდით, რომელიც 16000-მდე წიგნს ითვლიდა. ამ დროისათვის ბიბლიოთეკის შენობა უკვე ავარიული იყო. ჭერიდან ბათქაში ცვიოდა, ოთახებში მტვერი და წვიმა ჩადიოდა. შემოერთებული ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის დალაგებას, თანამშრომელმა ქალბატონმა მთელი წელი მოანდომეს. მუშაობა საკმაოდ მძიმე პირობებში უწვედათ: „2008 წლის ბოლოს დავამთავრეთ აღნიშნული ფონდის მიღება და თითოეული წიგნი განვათავსეთ თავის ადგილზე. ეს იყო ძალიან, ძალიან დამღლელი და შრომატევადი საქმე [...] 2008 წლის მერე ჩვენი მუშაობა გაგრძელდა ჩვეული რეჟიმით. შემოსული ფონდი შევაერთეთ. ჩავრთეთ კატალოგში. მოხდა ისე, რომ რუსული ფონდის ოთახში ჩამონვა ჭერი, ჩამოდის წვიმა პირდაპირ წიგნებზე. განადგურდა უამრავი ლიტერატურა [...] 2012 წელს მომხდარმა სტიქიამ ჩვენი მდგომარეობა უფრო დაამძიმა. სტიქიამ ადგილ-ადგილ გადახადა სახურავი. წვიმა დაიძრა თითქმის ყველა ოთახში. ჩვენი ამ შენობაში ყოფნა უკვე დიდი რისკის ფასად მიმდინარეობდა“, – გვიყვება მწვანე რვეული.



მიუხედავად შენობის ავარიულობისა, რაც იქ მომუშავეების სიცოცხლეს საფრთხესაც კი უქმნიდა, ამ პრობლემის მოგვარება მხოლოდ 2012 წლიდან მოხერხდა და ბიბლიოთეკის თანამშრომლები, ამ მხრივ, თელავის მუნიციპალიტეტის მაშინდელ გამგებელს – გივი მეტრეველსა და კულტურის სამსახურის უფროსს – ფიქრია ყურშიტაშვილს ემადლიერებიან. სწორედ ამ პიროვნებების მონდომებით, ფართობი გამოინახა მანანწრის უბნის ბაგა-ბალის შენობის ერთ-ერთ ფლიგელში, გარემონტდა და 2014 წლის მაისში ბიბლიოთეკამ №139-დან იქვე, ჭავჭავაძის №150-ში დაიწყო გადაბარება: „40 ათასზე მეტი წიგნი გადმოვიტანეთ. სულ ჩვენმა ხელებმა გააკეთა ყველაფერი. იმას ხომ დახარისხება უნდოდა. დამხმარე არ გვყავდა. დავალაგეთ როგორც იყო“, – იხსენებს ბიბლიოთეკის თანამშრომელი მარიამ ვართანოვი-ჯიდალიშვილი.

„ერთ წელში დავალაგეთ წიგნადი ფონდი თაროებზე. თვითუფლ წიგნს მივუჩინეთ სათანადო ადგილი. ცალკე თაროზე გამოვყავით ჩვენს ბიბლიოთეკაში არსებული ძველი გამოცემები 1924 წლიდან 1950 წლამდე“, – ვკითხულობთ იზოლდა ჯამასპიშვილის ჩანაწერებში. 2015 წლის 5 მაისს ბიბლიოთეკა საზეიმოდ გაიხსნა. მანანწრის უბნის ბიბლიოთეკისათვის ახალი ცხოვრება დაიწყო, განახლდა ღონისძიებები, მკითხველების მიღება და ჩვეული მონდომებით გაგრძელდა გადარჩენილ წიგნად ფონდზე ზრუნვა. ბიბლიოთეკას მუდმივი კონტაქტი აქვს ბაგა-ბალის როგორც პატარა აღსაზრდელებთან, ისე პერსონალთან. კვირაში ერთხელ შედიან ჯგუფებში ბავშვებთან, მიაქვთ წიგნები და ჟურნალ-გაზეთები. ზღაპრებს უკითხავენ, ბავშვების დახმარებით კროსვორდებს ასესებენ. „ისინიც მოდიან, მასწავლებლებს მოჰყავთ და უხარიათ. თუ დაგვინახეს, რომ მივდივართ – „ბიბლიოთეკაო“ ასე გვეძახიან“, – გვიყვება ქალბატონი მარიამი, რომელიც პროფესიით ბიბლიოთეკარია. ის 1971 წლიდან თელავის №3 საქალაქო ბიბლიოთეკაში მუშაობდა და მისი ლიკვიდაციის შემდეგ, 2006 წელს სამუშაოდ მანანწრის №1 საქალაქო ბიბლიოთეკაში გადმოვიდა.

2020 წლიდან, ბიბლიოთეკამ, გასაგები მიზეზების გამო, შეფერხებით განაგრძო მუშაობა: „დაიწყო 2021 წელი და ჩვენ ისევ სახლებში ვართ. მდგომარეობა ძალიან გართულდა. სკოლები და უმაღლესი სასწავლებლები გადავიდნენ დისტანციურ მეცადინეობაზე. 2021 წლის 1 მარტს დავბრუნდით ბიბლიოთეკაში და ყოველგვარი წესების დაცვით გავაგრძელეთ მუშაობა. პირბადის გარეშე არ ვიღებთ მკითხველებს, ვუზომავთ – სპეციალური თერმომეტრით – სიცხეს. მიღებულ წიგნებს ვათავსებთ „საკარანტინო“ ოთახში 72 საათის განმავლობაში“, – ვკითხულობთ ბიბლიოთეკის დღიურში.


სხვადასხვა დროს მანანწრის უბნის ბიბლიოთეკის თანამშრომლები ყოფილან: ნატაშა აივაზაშვილი, ქეთევან დევიძე, ბაბუღია იმერლიშვილი, ქეთევან ანთაური, გულიკო მეფევიძე, გულო ჭუაძე, ლამარა ჩეკურიშვილი, ნანა ყარაულაშვილი და, შესაძლოა, სხვებიც, რომელთა სახელებმაც ჩვენამდე ვერ მოაღწია. ამჟამად ბიბლიოთეკაში ოთხი ქალი მუშაობს, იზოლდა ჯამასპიშვილი-სივსივაძე, ქეთევან ჩანგაშვილი, ლამზირა დანელია და მარიამ ვართანოვი-ჯიდალიშვილი. საუკუნეზე მეტ ხანს ბიბლიოთეკაზე ზრუნვისა და მისი ისტორიის შენარჩუნებისათვის, მაღლობაც თითოეულ მათგანს ეკუთვნის.

წიგნიდან:

„ჩემი ქუჩა, ჩვენი ქალაქი – მანანწრის უბნის ამბები, თელავი“, ანა მარგველაშვილი, თენგიზ სიმაშვილი, თამარ სიხარულიძე; CDC სათემო განვითარების ცენტრი / Community Development Centre თბ. 2022 წელი;

ლიტერატურა

1. სსეა, ფ. 1923, ა. 1, ს. 186.
2. კახეთის რეგიონული არქივი, ფონდი 1469, საქმე № 20, გვ. 85.



თამაზ ლაცაბიძე

ხაშურის სამუზეუმი

გაერთიანების დირექტორი

ხაშურში საბიბლიოთეკო საქმიანობას, როგორც ჩანს, მე-19 საუკუნის 70-იანი წლების II ნახევრიდან ეყრება საფუძველი. გაზეთ „ივერიის“ 1893 წლის 6 აგვისტოს ცნობით, რომლის ავტორიც იოსებ ფანცულაიაა, პირველი ბიბლიოთეკის დაარსება აქ ხაშურის რკინიგზის სახელოსნოების უფროსის, ვასილიევის სახელს უკავშირდება. ბიბლიოთეკა ამავე სახელოსნოებთან ყოფილა გახსნილი და მისი წიგნადი ფონდი მხოლოდ ტექნიკური და რუსული ლიტერატურისგან შედგებოდა. „სწორედ ოცი წელიწადი იქნება, – აღნიშნავს გაზეთი „ივერია“, – რაც ხაშურში არსებობს რკინის გზის სამკითხველო, რომელიც დააარსა ინჟინერმა ვასილიევმა. სამკითხველოსათვის მის მიერ შეკრებილ იქნა დიდძალი ფული რკინის გზის მომსახურეთაგან და ამ ფულით მართლა-და მდიდარი სამკითხველო გაიმართა. სანამ ბატონი ვასილიევი მსახურობდა ამიერკავკასიის რკინის გზაზედ, სამკითხველომ შორს გაიდგა ფესვი, შეიძინა ძვირფასი წიგნები... წავიდა ვასილიევი და ხაშურის სამკითხველოს კეთილდღეობაც თან გაჰყვა. სამკითხველომ დიდის ვაი-ვაგლახით ძლივსლა მიაღწია 1891 წლამდის.“

როგორც აღნიშნული იყო, ხაშურში რკინიგზის მთავარი სახელოსნოები 1876 წლი-

საბიბლიოთეკო საქმიანობა ხაშურში

დან გაიხსნა, ამავე პერიოდიდან არის აქ ვასილიევი სახელოსნოების უფროსად. უნდა ვიფიქროთ, რომ მის მიერ სამკითხველოს დაარსების ფაქტს 70-იანი წლების ბოლოსთვის უნდა ჰქონოდა ადგილი.

შემონახულია მიხაილოვოს დეპოს ბიბლიოთეკა-სამკითხველოს დროებითი წესდება, რომელიც გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის მისი სტრუქტურისა და ხელმძღვანელობის შესახებ, განსაზღვრავს მისი საქმიანობის წესს და ა.შ. მართალია, წესდება გვიანდელი პერიოდისაა (XX ს-ის 10-იანი წლები), მაგრამ, ვფიქრობთ, ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს მისი შინაარსის გაცნობა.

წესდების მიხედვით, ბიბლიოთეკის წევრებად შეიძლება ყოფილიყვნენ მხოლოდ მეოთხე, (მიხაილოვოს) წევის უბნის ორივე სქესის სრულწლოვანი მოსამსახურეები, თუკი შეიტანდნენ საწევრო გადასახადს წელიწადში 3 მანეთის ოდენობით. დაშვებული იყო საწევროს გადახდა ყოველთვიურად – თვეში 25 კაპიკი. ბიბლიოთეკას ჰქონდა უფლება, ჰყოლოდა საპატიო წევრები, რომლებიც წელიწადში იხდიდნენ არაუმეტეს 5 მანეთისა.

ბიბლიოთეკის ფინანსები შედგებოდა საწევრო-ანარიცხებისაგან, წიგნებითა და ჟურნალ-გაზეთებით სარგებლობიდან მიღებული გადასახადისაგან, აგრეთვე საღამოს წარმოდგენებიდან, რომლებიც სპეციალურად იმართებოდა ბიბლიოთეკის ფინანსური მდგომარეობის გასაძლიერებლად.

ბიბლიოთეკით სარგებლობა წევრებისთვის უფასო იყო, ხოლო რკინიგზის



გიორგი იოსელიანი

სხვა მოსამსახურეებს, აგრეთვე მათი ოჯახის წევრებს თვეში უნდა გადაეხადათ 40 კაპიკი. ისინი სარგებლობდნენ უფლებით, სახლში წაეღოთ ერთი წიგნი. ყოველი ზედმეტი წიგნისათვის დამატებით უნდა გადაეხადათ თვეში 5-5 კაპიკი. წიგნის გატანა დასაშვები იყო ორი კვირით, ყოველ გადაცილებულ დღეზე მკითხველი დამატებით იხდიდა 5 კაპიკს.

ყოველწლიურად, იანვრის თვეში, წევრთა საერთო კრება ისმენდა ბიბლიოთეკის გამგეობის ანგარიშს განეული მუშაობის შესახებ, ამტკიცებდა მომავალი წლის ხარჯთაღრიცხვას, ირჩევდა გამგეობას თავმჯდომარისა და ორი წევრის შემადგენლობით. თავმჯდომარე აუცილებლად წევრის უბნის უფროსი უნდა ყოფილიყო. მისი არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობას მისი მოადგილე (თანაშემწე) ასრულებდა. წესდების თანახმად, გამგეობის ერთ-ერთი წევრი მოლარის მოვალეობას ასრულებდა. იგი ბიბლიოთეკის ფინანსური საქმიანობის მდგომარეობაზე იყო პასუხისმგებელი.

ბიბლიოთეკის გამგეობას ენიჭებოდა უფლება, დაექირავებინა სპეციალური პირი – ბიბლიოთეკარი, რომელიც აწარმოებდა წიგნების გაცემას და მიღებას, მათზე ჩანაწერების გაკეთებას, ამავე დროს ახორციელებდა ბიბლიოთეკაზე საერთო მეთვალყურეობასაც.

ბიბლიოთეკა მუშაობდა ყოველდღე, დღისით 12-დან 3 საათამდე და საღამოს 4-დან 10 საათამდე.

წესდების თანახმად, დეპოს მოსწავლეები უფასოდ სარგებლობდნენ ბიბლიოთეკით. ის მომსახურეები, რომელთა ხელფასი 25 მანეთზე ნაკლები იყო, წევრის უბნის უფროსის ნებართვით ბიბლიოთეკით სარგებლობდნენ უფასოდ, ან ნახევარ ფასს იხდიდნენ.

ბიბლიოთეკის გამგეობა ზრუნავდა ბიბლიოთეკის ახალი წიგნებით, ჟურნალ-გაზეთებითა და ერთდროული გამოცემებით შევსებისთვის, რაშიც უნდა გაეთვალისწინებინათ წევრთა სურვილი და ინტერესი.

გამგეობის სხდომა იმართებოდა საჭიროების შემთხვევებში. მას უფლება ენიჭებოდა, მოეწყო საღამო-წარმოდგენები, კონცერტები, ლატარია, სეირნობა და სხვა ღონისძიებები ბიბლიოთეკის ფინანსური მდგომარეობის გასაძლიერებლად. ბიბლიოთეკისათვის წიგნების გამოწერა მხოლოდ რუსულ ენაზე იყო დასაშვები, ქართულ ენაზე კი შეიძლებოდა, გამოწერილიყო მხოლოდ გაზეთი, ისიც არაუმეტეს ერთი ეგზემპლარისა.


გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნებულ ზემოთ მოტანილ წერილში ნათქვამია, რომ 1891-1895 წლებში რკინიგზის ბიბლიოთეკა დახურული (დაკეტილი) ყოფილა და მხოლოდ 1895 წლის 1 ივნისისათვის გამხდარა შესაძლებლობა მისი ხელმეორედ ამოქმედებისა.

„უკანასკნელ წლებში, – აღნიშნავს გაზეთი, – სამკითხველო ებარა ხაშურის რკინის გზის ერთ მოხელეთაგანს, რომელიც ამ საქმისათვის თვეში 10 მანეთს იღებდა და რომელმაც 1891 წელს კიდევაც დაკეტა სამკითხველო. ამ ორი წლის განმავლობაში ბევრჯერ ავლდართ კითხვა იმის შესახებ, რომ სამკითხველო ხელ-ახლა გაგველო და გაგვეახლებინა, მაგრამ ამაოდ. მხოლოდ ეხლა ითავა ხაშურის დეპოს უფროსმა, რომლის წყალობითაც ივნისის 1 გაიხსნა კვლავ ხაშურის სამკითხველო, მაგრამ სა-

უბედუროდ, სამკითხველოში რაც წიგნი იყო შექმნილი ინჟინერ ვასილიევის დროს, იმის მემკვიდრე არაფერი დაუხვდა. რა იქნა ეს დიდებული წიგნები ან ფული, რომელიც სამკითხველოს კასაში იყო – ამის მოპასუხე არავინ სჩანს.“

მიხაილოვოს დეპოს ბიბლიოთეკა-სამკითხველო მთლიანად რუსული ლიტერატურითა და პერიოდული გამოცემებით იყო დაკომპლექტებული. აქ საერთოდ არ იყო ქართული ლიტერატურა, იშვიათობას წარმოადგენდა ქართული პერიოდული გამოცემებიც – ჟურნალ-გაზეთები, მითუმეტეს რომ ბიბლიოთეკის წესდება ამ უკანასკნელის გამოწერის უფლებას იძლეოდა.

მიხაილოვოს რკინიგზის ბიბლიოთეკა-სამკითხველოს შესახებ ზემოთ მოტანილ წერილში საუბარია მეტად საყურადღებო ფაქტზე. კერძოდ, იგი გვანძვის საინტერესო ინფორმაციას – რკინიგზის ბიბლიოთეკა-სამკითხველოსთან ქართული განყოფილების დაარსების შესახებ. ჯერ კიდევ 1890 წლის 9 ოქტომბერს გაზეთი „ივერია“ ეხებოდა რა ხაშურის რკინიგზაზე დასაქმებულ მუშა-მოსამსახურეთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პრობლემებს, წერდა: „სუყველა ესენი თავიანთ სიცოცხლეს გზაში ლაზღანდარობაში და მასხარობაში ატარებენ, მათგან ბევრი შესძენილ-განათლებული და წერა-კითხვის მცოდნე კაცია და რომ მოენდომებინათ, ბევრს კეთილს საზოგადო საქმეს გააკეთებდნენ. პირველს უმთავრეს კეთილ საქმედ მიმაჩნია მათთვის ხაშურში ქართულის წიგნთ-საცავის გამართვა, საიდგანაც რკინის გზაზედ მოსამსახურე ქართველები ქალი და კაცი იკითხავდნენ კარგს სასიამოვნო და სასარგებლო წიგნებს თავისუფალს დროს და მით უცოდინარ-გაუგებელნი აღარ მოშორდებოდნენ წუთისოფელს. დაახლოვებით რომ ვსთქვათ, ბეჟთაუბნისა და ხაშურს შორის მთელს გზაზედ იქნება არა ნაკლები ორასი კაცისა, რომელთაც, ვიმეორებთ, ადვილად შეუძლიათ, ქართულის წიგნთ-საცავ-სამკითხველო გაჰმართონ...“



იოსებ ფანცულია

როგორც ვხედავთ, ქართველ საზოგადოებაში გარკვეული აზრი ტრიალებდა რკინიგზის სამკითხველოსთან ქართული განყოფილების გახსნის თაობაზე, რაც 1893 წელს წარმატებით გადაწყვეტილა კიდევ. იოსებ ფანცულია წერს: „ხუთი წელიწადი არის, რაც ვცდილობთ, რომ ამ ხსენებულ სამკითხველოსთან დაგვეარსებინა ქართული განყოფილება, მაგრამ არ იქნა, არ მოხერხდა. მხოლოდ წელს-კი დიდი ხნის სურვილი შეგვისრულდა ხაშურის დეპოს ქართველ მოხელეებს, დაარსდა ქართული განყოფილება. ჩვენდა სასიამოვნოდ, ხაშურის სამკითხველოში ვკითხულობთ დღეს „ივერიას“, „კვალს“ და „ჯეჯილს.“ მაგრამ ჯერჯერობით ქართული წიგნები კი არა გვაქვს.“

ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად სამკითხველოსთან ქართული განყოფილების დაარსების მესვეურები სისტემატურად აწყობდნენ საღამო-წარმოდგენებს და შემოსული თანხით ქართულ წიგნებსა და ჟურნალ-გაზეთებს იძენდნენ. ასეთი წარმოდგენა 1893 წლის 24-27 ივნისს გამართულა და შემოსული თანხით – 35 მანეთით ქართული წიგნები უყიდიათ სამკითხველოსთვის.

რამდენიმე ხნის შემდეგ გაზეთი „ივერია“ კვლავ მიუბრუნდა ხაშურის რკინიგზის ბიბლიოთეკას და იმავე წლის 29



სტეფანე ნოზაძე

დეკემბერს წერდა: „კაი ხანია, რაც ხაშურის რკინის გზის სადგურზედ არის დაარსებული აქაურ სარკინიგზო დეპოს მიერ წიგნთსაცავი, რომელშიაც რუსულ წიგნებთან ერთად ქართული წიგნები, ქართული ჟურნალ-გაზეთებიც არის. რკინის გზაზედ მომსახურე ხალხი სიამოვნებით დაიარება ამ წიგნთსაცავში წიგნების და ჟურნალ-გაზეთების საკითხავად და ამისთვის თვეში თითოეული იხდის ერთს აბაზს. ვისურვებთ სულით და გულით ამ წიგნთსაცავის საქმის წარმატებას.“

გაზეთი „ივერია“ სიამოვნებით აღნიშნავს, რომ „აქაურ სარკინიგზო რუსულ სამკითხველოსთან“ ქართული განყოფილების დაარსების მოთავე და ინიციატორი იოსებ ფანცულაიაა, რომელიც იმდროინდელი ხაშურის კულტურულ ცხოვრებაში ძალზე აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა. გაზეთი იმაზეც მიგვანიშნებს, რომ სწორედ მისი „ნაქეზებით“ დაიწყო რკინიგზის მოსამსახურებმა სამკითხველოში სიარული. თუმცა აქვე ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ ი. ფანცულაიას ამ მონდომებას მოსამსახურეთა ერთი ნაწილისგან გარკვეული წინააღმდეგობა ხვდებოდა, რაც ბიბლიოთეკის მკითხველების საერთო განწყობაზე უარყოფითად მოქმედებდა.

XIX საუკუნის 90-იან წლებში ხაშურში დღის წესრიგში დადგა აგრეთვე საქალაქო (საზოგადო) ბიბლიოთეკის დაარსების სა-

კითხი. ასეთი ბიბლიოთეკის დაარსების აუცილებლობა იმითაც იყო გამოწვეული, რომ რკინიგზის ბიბლიოთეკა მაინც უწყებრივი იყო და საზოგადოების ფართო ფენები ვერ სარგებლობდნენ.

1897 წლის 2 მარტს ჟურნალი „კვალი“ ერთგვარი სიმპატიით მოიხსენიებს რკინიგზელთა ბიბლიოთეკას. თუმცა საყვედურსაც გამოთქვამს იმის გამო, რომ რკინიგზელთა გარდა მისით სარგებლობა სხვებისათვის ფასიანია. „რკინიგზის მოხელეებისათვის ყველაფერი კარგადაა მოწყობილი, იმათ აქვთ თავიანთი აფთიაქი, ჰყავთ ექიმი, აქვთ სალარო, პატარა სამკითხველო და სხვა. გარეშე ხაშურლები კი ყველა ამას მოკლებულნი არიან. აქაური გლეხი რომ ავად გახდეს, ექიმი ხაშურში უნდა ეძებოს; სამკითხველოში თუ შევიდა, ფასი უნდა გადაიხადოს.“

საზოგადოებას ამ შემთხვევაში რკინიგზის მოსამსახურეთა იმედი ჰქონდა და განსაკუთრებით კი კვლავ იოსებ ფანცულაია ეგულეობდათ ნუგეშად. მათ კარგად იცოდნენ, რომ ბიბლიოთეკის გახსნის სურვილი ერთი იყო, ხოლო მისი განხორციელება – მეორე. ამიტომ იყო, რომ გაზეთი „ცნობის ფურცელი“ 1897 წლის 14 დეკემბერს წერდა, რომ „საქმე თვითონ თავისთავად არ წავა, ამას... „მეთაური“ უნდა, რომლის მოვალეობასაც ბატონი ფანცულაია რომ იკისრებდეს და განახორციელებდეს ამ საქმეს, დიდი მადლობის ღირსი იქნებოდა.“ როგორც ჩანს, ხაშურის საზოგადოების არაერთი წარმომადგენელი ყოფილა დაინტერესებული აღნიშნული საკითხით და კიდევ ცდილობდნენ საზოგადო (საქალაქო) ბიბლიოთეკის გახსნას.

1897 წლის 30 სექტემბერს აღნიშნულის თაობაზე გაზეთი „ცნობის ფურცელი“ წერდა, რომ ხაშურლები დიდად განიცდიან ბიბლიოთეკის უქონლობას. „საზოგადოდ აქაურლებს დიდი ხალისი აქვს წიგნების კითხვისა და განათლებისა, მაგრამ სამკითხველოს უქონლობა ხელს არ უწყობს. აქნობამდის არავინ გამოჩნდა იმისთანა,

რომელსაც ეზრუნვა აქაურს სწავლა-განათლებაზე და გონებრივ წარმატებაზე. მხოლოდ ფოსტა-ტელეგრაფის აქაური მოხელე ბატონი იოსებ მესხი ამ ბოლო ხანში ცდილობდა სამკითხველოს დაარსებას. ბევრსაც მოუწერია ხელი თვიურ შემოწირულობაზედა, მაგრამ ჩვენდა საუბედუროდ გადაყვანილ იქმნა ქუთაისის ფოსტა-ტელეგრაფის მოხელედ. დიდი მადლობის ღირსია ბ. მესხი ამ საქმისთვის. ძალიან კარგი იქნებოდა, რომ გვიპატრონებდეს ვინმე და განაგრძობდეს ბატონ ი. მესხის დაწყებულ საქმეს.“

„ცნობის ფურცელი“ აღნიშნულ საკითხს კვლავ მიუბრუნდა 1898 წლის 8 მარტს და წერდა: „გრიგოლ იოსების ძე რაზმაძე ძრიელ მონადინებულია, რომ აქ დაარსოს სამკითხველო და სცდილობს კიდევ აასრულოს თავისი წადილი, რა თქმა უნდა, მცხოვრებნი ძლიერ მადლობელნი ვიქნებით, თუ ბ-ნი რაზმაძე დროისით დააგვირგვინებს ამ კეთილ საქმეს.“

იგივეს ცდილობდა ცნობილი მუშა-პოეტი სტეფანე ნოზაძე, რომელიც „ფონ-ტეფოს“ ფსევდონიმით თანამშრომლობდა რევოლუციამდელ ქართულ პრესაში და აქტიურად მოღვაწეობდა ხაშურის სცენაზე. კორესპონდენციის ავტორი ნიკო სიხარულიძე გურულ-ქართველის ხელმოწერით „ცნობის ფურცელში“ სტ. ნოზაძის შესახებ წერდა: „დიდი ხანია, რაც აქ რკინიგზის სამკითხველო არსებობს, მაგრამ რათ გვინდა ამისთანა არსებობა? აქ ერთს ხეირიანს ქართულს ვერც ჟურნალს, ვერც გაზეთს და ვერც წიგნებს ვერ მოიპოვებთ, თუ სადმე თვალს მოჰკრავთ, ისიც დახეულს. აქ დიდი ხანია, თითქმის ნოეს აქეთ, ფიქრობდნენ, ფიქრობდნენ და იფიქრებენ წიგნთსაცავის დაარსებას, მაგრამ ის არის, რომ ველარ ეშველათ, ვერ დაარსეს და ვერა. ან კი რათ უნდათ სამკითხველო?! აქ მადლობა ღმერთს, ტრახტირები და ბუფეტები ბევრია, სადაც შეუძლიანთ თავის განვითარება. აქ ბატონი ს. ნოზაძე დიდი ხანია ცდილობდა, ცდილობს და კიდევაც ეცდება სა-



ნიკო სიხარულიძე

მკითხველოს დაარსებას, მაგრამ ვერაფერი გააწყო. რატომ ვერ გააწყო? იმიტომ, რომ ერთი კაცი ვერაფერს გახდა, რამდენიმე ახალგაზრდობა კი მოიმხრო, მაგრამ ზოგიერთმა ჭკუის-კოლოფა ვაჟბატონებმა სასაცილოდაც აიგდეს ნოზაძეც და მისი მომხრენიც. ნეტავ აქ შემძლე ქართველობა არა სცხოვრობდეს? აქ თითქმის მთელი მომსახურენი და მცხოვრებნი სულ ქართველებია და მიკვირს, რატომ არ ეღიროება ხაშურს ერთი საკუთარი ქართული სამკითხველო, რომელიც უპირველესს საჭიროებას შეადგენს აქაური ბუზიყლაპია ახალგაზრდებისათვის.“

აქვე ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ სტეფანე ნოზაძე დიდ მუშაობას ეწეოდა მოსახლეობაში, განსაკუთრებით კი დაბალ ფენებში ე.წ. ქართული სახალხო წიგნების გავრცელების თვალსაზრისით. 1899 წლის 9 მაისს სტ. ნოზაძე გაზეთ „ცნობის ფურცელში“ მადლობას უხდოდა წიგნების გამომცემლობა „გლეხის“ ამხანაგობას, რომელსაც მისთვის გადაუცია გასავრცელებლად თეოფილე ხუსკივაძის წიგნები. ამ წიგნებიდან სტ. ნოზაძეს 12 ცალი ხაშურის

რკინიგზის მოსამსახურეებისათვის, ხოლო 38 ცალი ბეჭთაუბნის სკოლის მოსწავლეებისათვის მიუცია.“

ქართული ბიბლიოთეკა-სამკითხველოს დაარსებას ცდილობდნენ სხვებიც. ჟურნალ „კვალის“ მიხედვით ასეთი სურვილი გააჩნდათ ინჟინერ გენრიხ მუატს, რკინიგზის ეკლესიის მღვდელს გრიგოლ კიკნაძეს, ირ. ბერიძეს, იაკობ კვალიაშვილს და სხვებს. გაზეთი „ივერია“ 1899 წლის 25 აგვისტოს მიუთითებდა რა რკინიგზის გაყვანის კეთილისმყოფელი გავლენის შესახებ ხაშურის განვითარებაზე, აღნიშნავდა: „ყველა ამ სიკეთესთან ერთად დიდი ნაკლიც აქვს ხაშურს: ერთი რომ წიგნთსაცავი არ არსებობს აქ...?“

იგივე ჟურნალი „კვალი“ იმავე 1902 წელს, როცა ეხებოდა რკინიგზელთა ბიბლიოთეკის მდგომარეობას, მიუთითებდა, რომ იგი ნაკლებად ემსახურებოდა მოსახლეობის ფართო მასებს და კვლავ დღის წესრიგში აყენებდა სახალხო ბიბლიოთეკა-სამკითხველოს გახსნის აუცილებლობას. ამ შემთხვევაში ჟურნალი გარკვეულ საყვედურს გამოთქვამდა ადგილობრივი ინტელიგენციის მიმართ და ქმნკვს-ზე ამყარებდა იმედს. „აქ ამასწინათ, – წერს კორესპონდენტი, – რამდენიმე შეგნებული პირები გვესტუმრენ, რომელთაც რაკი კარგად გაიგეს, რომ სამკითხველოს ხსენებული საზოგადოება უსათუოდ დაგიარსებთ „სახალხო წიგნთსაცავის სამკითხველოსო.“

ამ სიმპატიურ საქმის განხორციელებისათვის სხვისი შეწუხება არ დაგვჭირდებოდა, რომ აქაურ დაბალ ხალხს თვითცნობიერება არ აკლდეს და თან ნივთიერი შეძლება ხელს უწყობდეს, რაც შეეხება აქაურ შეძლებულ „მონინავე ჯგუფს“ – „ინტელიგენციას“, ის არასა ზრუნავს, თორემ ხაშურის დაარსებიდან დღემდე ნაყოფსაც დაგვანახვებდა და მით დაგვიმტკიცებდა ერთგულებას... ის კი არა, ესენი ორიოდ პირის გარდა, წინააღმდეგ ასე გაიძახიან:

ჟურნალ-გაზეთები ჩვენთვის ხომ გვემოვება, და რა საჭიროა, რომ დაბალმა ხალხმაც აზრიანი წაწერები იკითხოს?! ესენი, რასაკვირველია, ისეთი ვითომდა „ინტელიგენტები“ არიან... ამიტომ, მხოლოდ „ქმნკვს“-ის იმედიტლა დავრჩენილვართ.“

როდის გაიხსნა საქალაქო ბიბლიოთეკა ხაშურში, სამწუხაროდ ჯერჯერობით ვერ დავადგინეთ. უნდა ვიფიქროთ, რომ საზოგადოებრიობის მონდომებამ თავისი შედეგი გამოიღო და 900-იანი წლების დასაწყისში (ყოველ შემთხვევაში, 1902 წლის შემდეგ) რკინიგზის ბიბლიოთეკის პარარელურად გაიხსნა დამოუკიდებელი საზოგადო (საქალაქო) ბიბლიოთეკა, რომელშიც ძირითადად ქართული წიგნები და პერიოდული გამოცემები იყო წარმოდგენილი. აქვე იყო რუსული წიგნები და პერიოდული გამოცემებიც.

გაზეთი „საქართველო“ 1915 წლის 14 აგვისტოს აღნიშნავდა, რომ ხაშურში სასწავლო და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების გვერდით „აგრეთვე არის საზოგადო სამკითხველო.“

ამ სამკითხველოს დაფინანსების წყარო ძირითადად ისეთივე იყო, როგორც რკინიგზის ბიბლიოთეკისა. მის საქმიანობასაც გამგეობა განაგებდა. 1917 წლისათვის სამკითხველოს გამგეობის თავმჯდომარე იყო ცნობილი პედაგოგი, ხაშურის გიმნაზიის მასწავლებელი გიორგი იოსელიანი, ხოლო წევრები იოსებ ძნელაძე და ტრიფონ ჯაფარიძე.

ხაშურის საზოგადოების ერთი ნაწილი ყოველთვის სათანადო ყურადღებას იჩენდა ბიბლიოთეკის მიმართ. ისინი ხშირად სწირავდნენ წიგნებს, ინერდნენ მისთვის ჟურნალ-გაზეთებს, აწყობდნენ საღამონარმოდგენებს მისი მატერიალურ-ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით და სხვა.

1915 წლის 8 ივნისს ხაშურის უფასო წიგნთსაცავ-სამკითხველოს გამგეობის სახელით მისი წევრი ტრიფონ ჯაფარიძე გა-

ზეთ „საქართველოს“ საშუალებით მადლობას უხდოდა პეტრე კოპაძეს, რომელსაც გაზეთი „მეგობარი“ გამოუწერია ბიბლიოთეკისათვის, აგრეთვე ლევან მეტრეველს და პავლე ცქვიტარიას, რომელთაც გამოუწერიათ გაზეთი „ახალი კვალის“ თითო-თითო ეგზემპლარი.

1916 წლის 8 ივლისს ტრ. ჯაფარიძე იმავე გაზეთის ფურცლებზე წერდა, რომ სადგურ მიხაილოვოს რკინიგზელთა ერთმა ჯგუფმა სამკითხველოს რუსული გაზეთი „დენ“-ი გამოუწერეს და მადლობას უხდოდა მათ „ასეთი კულტურული ნაბიჯისათვის.“

როგორც ირკვევა, ბიბლიოთეკების მდგომარეობა ყოველთვის სტაბილური არ იყო. ხშირად იცვლებოდა მათი მატერიალური მდგომარეობა, რაც მკითხველთა მომსახურების კულტურის დონეზეც ახდენდა გავლენას. რკინიგზის ბიბლიოთეკის შესახებ ჟურნალი „კვალი“ 1902 წელს წერდა: „დღეს ყველაზე უდიდეს ნაკლულევანებას წარმოადგენს წიგნთსაცავ-სამკითხველოს უქონლობა... თუმცა, სწორედ უნდა ვთქვათ, აქ არსებობს რკინის გზის დეპოს სამკითხველო, მაგრამ მას კერძო დანიშნულება უფრო აქვს, ვინაიდან იგი თითო-ორიოლა მაღალი ოჯახების საკუთრებასავით გამხდარა. ამასთან შენობაც მეტათ ვიწროა, რის გამოც დეპოს წვრილფეხა მოსამსახურეები შიგ ვერ მიდიან იმის შიშით, რომ ამდენ ვიწროობაში ჩვენი ქუჩიანი ტანისამოსით არავის წავებლანდოთ და ზიზღი არ დავიმსახუროთ. ამ გვართ „დეპოს სამკითხველოთი“ თვით დეპოს ხალხიც ვერ სარგებლობს და მაშასადამე დანარჩენი უმეტესი ხალხის ნაწილი ხომ მთლად მოკლებულია გონებრივ საზრდოს... აქ ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ კითხვის სურვილი ბევრს აქვს, მაგრამ სამწუხაროთ ამ სურვილსა და წყურვილს იკლავენ ისეთი ცუდი შინაარსის წიგნებით, როგორიც არიან: „ასოთ სამღერალო“, „მკითხაობა – ბედ-იღბალი“, „საეტლო“, „სიზმრის ახსნა“ და სხვა.

ხსენებული წიგნები აქაურ მდაბიო ხალხს სახელმძღვანელოებათ გაუხდია

და, როგორც მოსალოდნელია, თანდათან ვრცელდება დამლუპველი ცრუ-მორწმუნეობა!..

ახლა, ვიკითხოთ: თუკი ხალხს ამდენი ნაკითხვა შეძლება, რომ ახპატელოვებისა და მათ გვარი მწერლების გაცნობა არ გაჭირვებია, რატომ არ შეიძლება ჩვენი საუკეთესო მწერლების გაცნობა?!”

მოგვიანებით, 1915 წელს გაზეთი „საქართველო“ თითქმის იმავეს წერდა ხაშურის საზოგადო ბიბლიოთეკა-სამკითხველოზეც: „როდესაც ხაშურის საზოგადოებას თვალყურს ადევნებთ, ასე გგონიათ, თითქოს ეს ხალხი ამ ქვეყანას მოშორებიაო. მართალია, აქ არსებობს სხვადასხვა კულტურული დაწესებულებანი, მაგრამ მათ მამამთავრებს საღათას ძილისთვის მიუყვიათ ხელი. ავიღოთ სამკითხველო თუ რა მდგომარეობაშია იგი: რომ შეხვიდეთ ამ სამკითხველოში და მოითხოვოთ ჩვენი რომელიმე მწერლის წიგნი, ან ვერ იშოვით, ანდა დახეულ-დანგრეულს მოგაწოდებენ. აქ არ მოდის სრულად ჩვენი ჟურნალ-გაზეთები და რაც მოდის, ისიც არასისტემატიურად. სატახტო ქალაქის გაზეთებს ხომ ვერ დაინახავთ, გარდა ერთ გაზეთ „რუსსკოე სლოვოს“ და ჟურნალ „ოგონიოკისა.“ სამკითხველოს ასეთმა სიღატაკემ და ჟურნალ-გაზეთების მხრივ სიმცირემ ის შედეგი მოიტანა, რომ მკითხველთა რიცხვი თანდათან კლებულობს. აქ ხშირად იმართებოდა წარმოდგენები სცენის მოყვარეთა სასარგებლოდ და ერთხელაც არ მოსვლიათ აქაურ სამკითხველოს გამგეობას ის აზრი, რომ გაემართათ წარმოდგენა სამკითხველოს სასარგებლოდ.“

მართალია, რევოლუციამდელი პრესა ზოგიერთ შემთხვევაში ასე კრიტიკულად წერდა აქაური ბიბლიოთეკა-სამკითხველოების მდგომარეობისა თუ მათი მუშაობის ზოგიერთი მხარის შესახებ, მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ მათ მაინც მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს მოსახლეობის კულტურული დონის ამაღლების საქმეში.



ია გორგიშელი

*ეროვნული ბიბლიოთეკის
საბიბლიოთეკო მომსახურებისა
და ინფორმაციის დეპარტამენტის
დირექტორის მოადგილე*

**GeREs.ge – მზამკვლავი
ქართულ ინტერნეტში
შექმნისა და განვითარების ისტორია**

შეიძლება ბევრმა იცით, შეიძლება არც იცით, რომ პირველი ქართულენოვანი ვებგვერდების საძიებო კატალოგი, ქართული ინტერნეტ რესურსების ინდექსი GeREs 2000 წელს ეროვნული ბიბლიოთეკის თანამშრომლების მიერ შეიქმნა.

ყველაფერი დაიწყო 1999 წელს ბიბლიოთეკაში ინტერნეტის ჩართვით. ეროვნული ბიბლიოთეკის ავტომატიზაციის განყოფილების თანამშრომლებმა გადაწყვიტეთ, შეგვექმნა Yahoo-ს მსგავსი ინტერნეტ საძიებო სისტემა, სადაც ვებგვერდები თემების მიხედვით იქნებოდა დალაგებული. თემატური ძიება საუკეთესო საშუალებაა იმ შემთხვევაში, როდესაც მომხმარებელმა ზუსტად არ იცის, რომელი ვებგვერდი სჭირდება, ან იცის, მაგრამ ესაჭიროება ინფორმაცია მსგავს თემაზე.

მოგეხსენებათ, დღეისათვის ყველაზე პოპულარული საძიებო სისტემა Google 1998 წელს დაარსდა, რომლის ლოკალური ინტერფეისები თავდაპირველად მომხმარებლების რაოდენობის მიხედვით შეიქმნა. ცხადია, მათ რიცხვში ქართული ვერ მოხვდებოდა, საქართველოში ინტერნეტის განვითარების დაბალი დონისა და, შესაბამისად, მომხმარებელთა სიმწირის გამო. მაშინ ქართული ვებგვერდები შექმნილი იყო არა უნიკოდში,

არამედ სხვადასხვა კოდირებაში: პარლამენტი, უნიკოდი, ბპგ-სტანდარტი.



დავით მჭედლიძე



არჩილ თაყნიაშვილი

2000 წლის მიჯნაზე არსებობდა ქართული რესურსების რამდენიმე ინდექსი, (internet.ge და სხვ.) რომელთაგან უმეტესობა ინგლი-

სურენოვანი იყო ან ფლობდა მწირ ინფორმაციულ ბაზას. ქართულენოვანი საძიებო სისტემის ნაკლებობა აფერხებდა. ინტერნეტის გავრცელებას იმ ადამიანთა შორის, რომელთაც არ იცოდნენ უცხო ენა. ბევრს წარმოდგენაც კი არ ჰქონდა, თუ რა რაოდენობის საინფორმაციო რესურსს ფლობდა ინტერნეტი საქართველოს შესახებ.

ჩვენმა გუნდმა (დავით მჭედლიშვილი – ვებმასტერი, ვებდიზაინერი, პროგრამისტი; არჩილ თაყნიაშვილი – ტექნიკური ადმინისტრატორი; ია გორგიშელი – მონაცემთა ბაზის ადმინისტრატორი) მიზნად დავისახეთ მაქსიმალურად მოგვეყარა თავი იმ ინფორმაციისთვის, რომელიც რაღაცით მაინც არის დაკავშირებული საქართველოსთან და შეგვექმნა ისეთი საძიებელი, რომელიც ხელმისაწვდომი და გასაგები იქნებოდა ინტერნეტის როგორც ქართველი, ისე უცხოელი მომხმარებლისთვის. ამიტომ ინტერფეისი და ვებგვერდების აღწერილობა უნდა ყოფილიყო ორენოვანი – ქართული და ინგლისური. ქართული ვებგვერდების შესახებ ინფორმაციის მოძიება საკმაოდ საინტერესო და შრომატევადი სამუშაო იყო. დავისმართეთ ბიბლიოთეკის თანამშრომლები მზია ხოსიტაშვილი და ნანა ხვედელიანი. რამდენიმე დღე ვიფიქრეთ საძიებლის სახელზე. ვებგვერდის დასახელება უნდა ყოფილიყო მარტივად დასამახსოვრებელი და ამავდროულად, სახელის შინაარსის ამსახველი. არჩევანი შევაჩერეთ GeREs-ზე – Georgian Resources – ქართული რესურსები ინტერნეტში. თან ინტერნეტში ქართული ინფორმაციის მაძიებლისთვის კარგად ჟღერდა „ჯერ ეს“ ნახე და შემდეგ სხვა. საქართველოს პარლამენტის ეროვნულმა ბიბლიოთეკამ GeREs-ის შექმნას მხარი დაუჭირა: ინტერნეტთან კავშირი უზრუნველყო და ვებგვერდის განსათავსებლად სერვერზე ადგილი გამოგვიყო.

2000 წლის აპრილში ქართულ-ინგლისური ინდექსი GeREs – (URL: <http://nplg.gov.ge/geres>) ინტერნეტის ქსელში გაუშვეთ. მასში თავი მოვუყარეთ მსოფლიო ქსელის იმ გვერდებს, რომლებიც საქართველოს ასახავდნენ. XXI საუკუნის მიჯნაზე GeREs-ზე საქართველოს



გიორგი ბახია



ნანა ხვედელიანი



მზია ხოსიტაშვილი, ნანა ხვედელიანი

შესახებ ინტერნეტში არსებული ვებგვერდების ყველაზე დიდი რაოდენობა იყო თავმოყრილი. თემები იერარქიულად იყო განლაგებული: ყველაზე ვრცელი თემიდან ყველაზე კონკრეტულამდე. ასევე, ძალიან ადვილად


ხდებოდა მომხმარებლის მიერ ახალი გვერდის დამატება.

2001 წელს ფონდ „ღია საზოგადოება საქართველოს“ დახმარებით მოხდა ქართული რესურსების საძიებო სისტემა GeRES-ის გაძლიერება როგორც ტექნიკური, ისე პროგრამული უზრუნველყოფის თვალსაზრისით: შევცვალეთ ვებგვერდის დიზაინი, საინფორმაციო, საბანერო არის განლაგება, გრაფიკული დიზაინი. მაგრამ ძირითადი სტრუქტურა დავტოვეთ. დაემატა ქართული ვებგვერდების სტატისტიკის, ამინდის, ვალუტის, დასაქმების, გამოკითხვის ფუნქციური გვერდები. საიტი შესრულებული იყო ქართული ასოზგერების კოდირების სახელმწიფო მ-ბიტიანი სტანდარტის მიხედვით. GE ზონაში დომენური სახელი გერეს.გე დავარეგისტრირეთ და ვებგვერდი გადავიდა მისამართზე <http://www.geres.ge>. (იხ. არქივი) დაგვემატა კიდევ ერთი პროგრამისტი გიორგი ბახია.


უნდა აღინიშნოს, რომ GeRES იყო პირველი ვებგვერდი საქართველოში, რომლის ავტორთა უფლებები 2000 წლიდან დაცული იყო საქართველოს ავტორთა და შემსრულებელთა საზოგადოება GESAP-ში. <http://www.gca.ge/index.php?cid=43&lang=geo>.

მაღევე, საავტორო უფლებებთან დაკავშირებით არასასიამოვნო ამბავში გავეხვით: ერთ-ერთმა ორგანიზაციამ უნებართვოდ მოახდინა GeRES-ის ინგლისურენოვანი მონაცემთა ბაზის გადანერა, ასლის აღება, სისტემატიზირება და საზოგადოებაში გავრცელება ინტერნეტის ქართული საძიებო სისტემა „მაქსიმუმ.გე“-ს საშუალებით. გარდა ამისა, 2000 წლის ბოლოს ერთ-ერთი ცნობილი ტელეკომპანიის ეთერში ყოველდღიურად გადიოდა ამ საძიებო სისტემის რეკლამირება, რაც ჩვენს აღმფოთებას ინვესტა და სასამართლოში სარჩელის შეტანაზეც ვფიქრობდით. თუმცა თავი ავარიდეთ ზედმეტი დროის კარგვას, ნერვების შლას და გადავიფიქრეთ.

2005 წლის იანვარში ინტერნეტში განვათავსეთ GeRES-ის ახალი ვერსია, რომელსაც დღეში 1500-ზე მეტი მომხმარებელი ნახულობდა (მათ შორის 23% საზღვარგა-



საქართველოს ავტორთა და შემსრულებელთა საზოგადოება GESAP-ის მოწმობა.



ქართული ინტერნეტგვერდების კონკურსის I პრიზის დიპლომი

რეთიდან), რაც ქართული საძიებო კატალოგისთვის მაშინ საკმაოდ მაღალი რეიტინგი იყო. GeRE-ის ვებსტატისტიკაში 716 ქართული ვებგვერდი იყო დარეგისტრირებული, ე.ი. საკუთარ ვებგვერდზე სტატისტიკისთვის GeRES-ის მთვლელი ჰქონდათ განთავსებული. ყოველდღიურად ამ მთვლელის საშუალებით საკუთარ საიტზე შემო-

სულთა შესახებ საკმაოდ მრავალფეროვან ინფორმაციას იღებდნენ. ქართული რესურსების სტატისტიკის მთვლელის მსურველთა რიცხვი იზრდებოდა, GeRES-ის სერვერი კი ვეღარ აკმაყოფილებდა მზარდ მოთხოვნებს, რადგან GeRES-ის მთვლელის მსურველების გარდა GeRES-ის საძიებო კატალოგს ასობით სხვა მომხმარებელიც ჰყავდა.



GeRES-ის პირველი გვერდი (2002 წელი)

სამწუხაროდ, საქართველოში ვერ მოხერხდა ისეთი საძიებო სისტემის შექმნა, რომელიც თავისი მუშაობის პრინციპით ტექნოლოგიურად გაუტოლდებოდა ისეთ

უცხოურ სისტემებს (Google, Rambler და სხვ.), რომლებიც ინტერნეტში ძიებას საძიებო ბოტებით ახორციელებენ. პროექტის განხორციელებისთვის საჭირო იყო მძლავრი კომპიუტერული ტექნიკა, მაღალი სიჩქარის ინტერნეტი, ძვირადღირებული პროგრამული უზრუნველყოფა, სხვადასხვა პროფესიის კვალიფიციური სპეციალისტები, რაც გარკვეულ ფინანსურ სახსრებს მოითხოვდა. ამისთვის წერილობით მივმართეთ რამდენიმე ქართულ საფინანსო ორგანიზაციას, ბანკებს, ინტერნეტპროვაიდერებს. იმედი გვქონდა, რომ მათი ფინანსური და ტექნიკური დახმარებით შესაძლებელი გახდებოდა საქართველოში იდეალური საძიებო სისტემის შექმნა, რომელიც იქნებოდა საქართველოს სახე ინტერნეტში. რამდენიმე ორგანიზაცია გამოგვეხმაურა, თუმცა ეს საკმარისი არ აღმოჩნდა..

Google-ის ინტერფეისის და კატალოგის გაქართულების დასრულებიდან რამდენიმე წელიწადში GeRES-ზე შესულმა მომხმარებელმა თანდათან იკლო, ხოლო მას შემდეგ, რაც ქართულენოვანმა მომხმარებლებმა მშობლიურ ენაზე სიამაყის გრძნობით შეძლეს მათთვის საინტერესო ინფორმაციის მოძიება Google-ის საშუალებით, ქართულმა რესურსებმა ინტერნეტში – GeRES-მა 2016 წელს არსებობა შეწყვიტა.



GeRES-ის ბანერი



ალექსანდრე ლორია



წიგნი ისტორიის დამახინჯების წინააღმდეგ

მიმდინარე წელს გამომცემლობა „საარმა“ გამოაქვეყნა მკვლევარის, მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის როლანდ თოფჩიშვილის ნაშრომი „ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური ურთიერთობის დამახინჯება და არა მხოლოდ...“ (თბ., 2023.-112 გვ.). წიგნი ეძღვნება აფხაზებსა და შიდა ქართლში სამშობლოსათვის თავგანწირულ გმირებს და საკუთარი მინა-წყლიდან დევნილ მოსახლეობას. ეს ავტორისაგან სპეციალურადაა გაცხადებული ძირითადი ტექსტის ცალკე გვერდზე, დასაწყისში. როგორც შენიშვნაშია ნათქვამი, ეს წიგნი გამოიცა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს „აფხაზეთის მეცნიერთა მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში“. გამოცემის საქმეს ზედამხედველობას უწევდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი. რედაქტორები არიან: მიხეილ ბახტაძე და ბეჟან ხორავა, რეცენზენტები: ნათია ჯალაბაძე და ირმა კვაშილავა.

წიგნს წინ უძღვის განმარტება ნაშრომის გამოქვეყნებასთან დაკავშირებით. ანოტაციის მაგიერ მკითხველებს ვთავაზობთ ტექსტის ძირითად ნაწილს უცვლელად, მცირე შემოკლებით, რომელშიც ნათქვამია: „წინამდებარე პუბლიკაციის შექმნა

განაპირობა კავკასიის სახლის მიერ გამოცემულმა წიგნმა, რომლის სახელწოდებაცაა „აფხაზურ-ქართული და ოსურ-ქართული ურთიერთობები წარსულსა და თანამედროვეობაში“. ერთ-ერთი ავტორის მიერ შესრულებული მონაკვეთი უამრავ უზუსტობას შეიცავს, დამახინჯებულადაა წარმოდგენილი ფაქტობრივი მასალა, უგულვებელყოფილია ობიექტურად დანერგილი გამოკვლევები. შეგნებულადაა დამახინჯებული ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური ურთიერთობების ისტორია. როგორც მის გამომცემლებს ჰგონიათ, „წიგნი ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური ურთიერთობების მოწესრიგებას კი არ შეუწყობს ხელს, არამედ პირიქით“.

წინასწარვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ რ. თოფჩიშვილის წიგნი წარმოადგენს ძირითადად სამეცნიერო კრიტიკულ ნარკვევს, რომელიც ეხება იმ დამახინჯებასა და ნაკლოვანებებს, რომელიც დაშვებულია გამომცემლობებისა და ცალკეული პირების მიერ. საქმეს სიმძაფრეს სძენს ის, რომ „კავკასიური სახლის“ მიერ გამოცემული 7 ავტორის ნაშრომთა კრებულს, რომელსაც წამძღვარებული აქვს მარიამ გაჩეჩილაძის წინათქმა და განკუთვნილია საჯარო სკოლების მასწავლებლებისათვის, ნათქვამია, რომ თითქოს ხსენებულ ურთიერთობებზე, საერთოდ, არაფერი არსებობს, არაფერია ცნობილი. რ. თოფჩიშვილი ამ მოსაზრებას არამც თუ იზიარებს, მოყავს ურყევი ფაქტები ამის წინააღმდეგ და აცხადებს, რომ ნათქვამი სიმართლეს არ შეეფერება,



რასაც კონკრეტული მაგალითებით ასაბუთებს. მწვავედ აკრიტიკებს ერთ-ერთ ავტორს და აცხადებს, რომ ის შეგნებულად ამახინჯებს ფაქტებს. ამავე დროს რ. თოფჩიშვილი აქვე ბევრ მოსაზრებას იწონებს და იზიარებს, მაგრამ მისი მახვილი მაინც ყველაზე მძაფრადაა მიმართული გიორგი ანჩაბაძის მიმართ. აღნიშნავს, რომ მისი ნაშრომი „...სავსეა შეცდომებით და პრობლემების ირგვლივ ქართველი ავტორების ობიექტური ნაშრომების უგულვებელყოფით, ამასთან გამოირჩევა სუბიექტურობით როგორც ქართულ-აფხაზური, ისე ქართუ-

ლ-ოსური ურთიერთობების ისტორიის გადმოცემისას“.

ყოველივე ამას რ. თოფჩიშვილი თავის წიგნში დიდ ადგილს უთმობს და მრავალი მაგალითი მოჰყავს თავისი აზრის დასასაბუთებლად, და ობიექტურად აშუქებს ფაქტებს. გ. ანჩაბაძეს იმასაც უწუნებს, რომ ძალიან მწირ არსებით მასალას აცხადებს, რასაც იმით ამართლებს, რომ ასეთია მისი აზრი, მისი შეხედულება და სხვა, რაც ისეთი კრებულისათვის, რომელსაც მეთოდოლოგიური დანიშნულება აქვს, სავსებით შეუფერებელია - საჭიროა ობიექტური, შესწავლილი და საყოველთაოდ მიღებული, აღიარებული დებულებები და არა რაღაც ამბიციური, საკუთარი აზრებისა და მოსაზრებების წარმოჩენა.

მოცემულ წიგნში რ. თოფჩიშვილის მიერ მრავალფეროვანი მასალაა თავმოყრილი. ეხება ის არა მარტო ქართულ-აფხაზურ და ქართულ-ოსურ ურთიერთობებს, არამედ ტერმინებს, ქრონოლოგიას, სახელწოდებებს, რწმენას, ადათ-წესებს, გვარ-სახელებს და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს.

წიგნი არ არის დაყოფილი რაიმე ნაწილებად-თავებად, პარაგრაფებად, რაც ერთგვარად ართულებს საანალიზოდ ორიენტაციას, მაგრამ ეს არ უშლის ხელს, რომ ღრმად და საფუძვლიანად ჩავწვდეთ საკითხის არსს და კვლევის შედეგებს სათანადო შეფასება მივცეთ. ტექსტზე დაკვირვების შედეგად ჩანს, რომ თემა ორ ძირითად ნაწილადაა წარმოდგენილი. პირველი უმთავრესად ეხება ქართველებისა და აფხაზების ურთიერთობას, მეორე-ქართველების და ოსებისას, ზოგ შემთხვევაში, შიგადაშიგ, თუ კი ამას სიტუაცია მოითხოვს, ორივეზეც ერთად არის ლაპარაკი, რაც სავსებით შესაბამისია მოცემული მონაკვეთისათვის.

სხვათა შორის, რ. თოფჩიშვილი თავის ნაშრომში არ კმაყოფილდება მხოლოდ და მხოლოდ ურთიერთობათა კვლევით. იგი ბევრ მომიჯნავე საკითხს ეხება, რაც უფრო ფასეულს ხდის წიგნს. ამ მხრივ საგულისხმოა გვარებთან დაკავშირებული და-

კვირებები, რისთვისაც მას დიდი მასალა აქვს დამუშავებული, საყურადღებოა აფხაზებისა და ოსების განსახლების ტერიტორიების დასახელების საკითხის განხილვა და სხვ.

ნიგნს ბოლოში აქვს დანართები: 1. „დასკვნა ნიგნისა: როლანდ თოფჩიშვილი. აფხაზურ-ადილეური ეთნიკური ურთიერთობების ეთნო გენეზისის შესახებ., თბ., 2015.- გვ. 89-92;“ 2. „დასკვნა ნიგნისა: როლანდ თოფჩიშვილი. საქართველოში ოსთა ჩამოსახლებისა და შიდა ქართლის ეთნოისტორიის საკითხები. გამომცემლობა „ლომისი“, თბ., 1997.- გვ. 217-223. იგი დაყოფილია 16 პუნქტად; 3. დასკვნის შემოკლებული ვარიანტი ნიგნისა: როლანდ თოფჩიშვილი. დვალეთი და დვალეები (საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე და ქართველთა გამქრალი ეთნოგრაფიული ჯგუფი), მეორე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა.- თბ., 2021.- 238 გვ.

ნიგნის ბოლოკანის შიგა ნაწილს ერთვის ორი რუქა ერთ ფურცელზე ორმხრივად დაბეჭდილი, რაც კარგ ორიენტირს წარმოადგენს საკითხის შესწავლისათვის.

დიდი ხანი არაა, რაც როლანდ თოფჩიშვილმა გამოაქვეყნა რუსულ ენაზე: Топчишвили Роланд. Культурно-исторические вопросы миграции горского населения восточного Грузии (на примере Пшави и Хевсурети). Тб., 2021, - 178 стр. ამ ნიგნის არსებობა თავისთავად დიდად მნიშვნელოვანია, რაკი იმ ენაზეა გამოცემული, რომელსაც სწორედ ჩვენი მონინაალმდევე სეპარატისტები ფლობენ და ათას ჭორსა და ტყუილს აფრქვევენ. ნიგნში ძირითადად თავმოყრილია ის გამოკვლევები, რომლებიც ავტორის მიერ ადრე უკვე იყო გამოქვეყნებულ-დამუშავებული. წინ უძღვის საკმაოდ საყურადღებო შესავალი. საინტერესოა თვით ავტორის განაცხადი, სადაც აღნიშნავს, რომ მრავალ ასპექტთა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ისტორიულ-ეთნოგრაფიულ გამოკვლევებს, რომლებიც „სხვადასხვა კუთხით და სხვადასხვა


პოზიციიდან წარმოებს“. სწორედ ამიტომაც არის ეს ნიგნი მნიშვნელოვანი, რომ აქ გაშუქებულია ობიექტური გარემო და თავმოყრილია მრავალი წყაროს მითითება, რაც, საერთოდ, დამახასიათებელია როლანდ თოფჩიშვილის ნაშრომებისათვის. ეს უდავოდ ხელს შეუწყობს მკვლევარებსა და დაინტერესებულ პირებს, საკითხის გაცნობასა და ობიექტურ შეფასებაში.

ნიგნი შესაბამისი თემატიკის მიხედვითაა დაყოფილი: 1. ქართველ მთიელთა განსახლება ერწო-თიანეთში, 2. ქართველ მთიელთა გადასვლა კახეთში, 3. ფშავ-ხევსურთა გადასახლების ისტორიისათვის, 4. სხვა წყაროები მთიელი მოსახლეობის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მიგრაციის შესწავლისათვის, 5. ქართველ მთიელთა მთისწინარე და დაბლობში გადასახლების თავისებურებანი, 6. ფშავ-ხევსურეთიდან გადასვლის კულტურულ-ისტორიული ადაპტაციის საკითხები.

უნდა აღინიშნოს, რომ რ. თოფჩიშვილს ანალოგიური ნიგნი ადრეც ჰქონდა გამოცემული (1979 წ.).

ნიგნში ყოველი თავი დაყოფილია სათანადო პარაგრაფებით, რაც ხელს უწყობს საკითხების დეტალურად და თანმიმდევრულად გაცნობასა და შესწავლას.

აქვე გვსურს, ხაზი გაესვას იმას, თუ რამდენად მნიშვნელოვანია, საერთოდ, ეროვნული თვალსაზრისით, ეთნოგრაფიული საკითხების კვლევა, მით უფრო, რომ ბევრი საწინააღმდეგო ყალბი მოსაზრება ვრცელდება სხვადასხვა არამოკეთე სპეციალისტების მიერ, რაც არ შეიძლება უყურადღებოდ დარჩეს. ამდენად, რ. თოფჩიშვილის მოღვაწეობას ამ პერიოდში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. საჭიროა მისი გამოცემების პოპულარიზაცია როგორც ქართველთა, ისე უცხოელთა შორის. ამდენად, ჩვენს ბიბლიოთეკებს კარგი საშუალება ეძლევა, იღვანონ ამ მიმართულებით, დადგინილი და აპრობირებული მეთოდების გამოყენებით, ამას დიდი ეროვნული მნიშვნელობა აქვს.



ემზარ კვიციანი

მეცნიერი, პოეტი

დიდად გასახარელია, რომ გამომცემლობა „არტანუჯმა“ 2022 წლის გაზაფხულზე გამოსცა **თეიმურაზ დოიაშვილისა და ნათია სინარულიძის წიგნი „გალაკტიონი უცენზუროდ“**.

გენიალურ პოეტს რამდენჯერმე წაართვეს სახელმწიფოს უმაღლესი ჯილდო, რამაც მას თავმოყვარეობა შეუღალა და შეუძლებელი იყო სამართლიანი გაღიზიანება არ გამოეხატა ამ და სხვა უღირს საქციელთა გამო. პოეტის არქივში უხვადაა სხვადასხვა სახის სკაბრეზული ჩანაწერები, რასაც გალაკტიონის ცხოვრებისა და შემოქმედების საფუძვლიანად, ძირისძირობამდე მცოდნე ავტორებმა ამბების სახე მისცეს და საბოლოოდ, წიგნად აქციეს.


დარწმუნებული ვარ, უცენზურო თუ ცენზურაგაუვლელი ლექსებისა და ამბების გაცნობა მკითხველს მხიარულ გუნებაზე დააყენებს, მაგრამ, ამასთანავე გენიალური შემოქმედის მიმართ ჩადენილ ბევრ უკეთურებაზეც დააფიქრებს. აქვე უნდა ითქვას, რომ თხრობისას ავტორები იჩენენ შესაშურ კეთილსინდისიერებას და მიუკერძოებლობას.

წიგნი დანერგულია სანაქებო ცოდნითა და მონდომებით, დაბეჭდილია უმაღლესი პოლიგრაფიული ხარისხით. კითხვისას ვრწმუნდებით, ის ღვთაებრივი ირონია, გალაკტიონის „ბაგის კუთხეში“ რომ იყო მიმა-

არაორდინარული წიგნი გალაკტიონზე

ლული, მართლაც უფლისგან ხელდასხმულთა თვისებაა და გალაკტიონიც მათ რიცხვს მიეკუთვნება.

ეს ორასორმოცდაათვეწიანი, პოეტის ძალზე ოსტატური გრაფიკული ჩანახატებით გაფორმებული წიგნი – „გალაკტიონი უცენზუროდ“ – გალაკტიონის უამრავი თაყვანისმცემლისთვის მართლაც მშვენიერი საჩუქარია და თვით გალაკტიონოლოგიისთვის – მეტად მნიშვნელოვანი შენაძენი.





როსტომ ჩხეიძე

მწერალი, მთარგმნელი

შენ ერთი მაინც

იმ სტრიქონებში:

**„შენს თეთრ შუბლზე თვით გენიის
ზეციური მირონია,
მხოლოდ ბაგის კუთხეში კრთის
ღვთაებრივი ირონია“.**

გალაკტიონ ტაბიძე შოთა რუსთაველსაც იგულისხმებდა, აკაკი წერეთელსაც და... თავის თავსაც, რაკილა ეს სამეული ერთმანეთისაგან არ განერჩეოდა.

ამჯერად ღვთაებრივი ირონიით გაუერთიანდებოდათ.

ეს ერთიანობა უნდა გამოკვეთილიყო არსებითად ამ სტრიქონებით გახსნილ წიგნში **თეიმურაზ დოიაშვილისა და ნათია სიხარულიძისა: „გალაკტიონი უცენზუროდ“** – უშუალოდ კი მის წინათქმაში „პროლოგი 150 ამბისა“, გამჭვირვალედ რომ მიგვანიშნებს სათაურს გალაკტიონის „პროლოგი ასი ლექსისა“, ამბები კი ისე უნდა დაწერილიყო, რომ:

თვალნათლივ წარმომდგარიყო არა პოეზიის მეფე გალაკტიონი, არამედ ეპიგრამისტი – ღიმილიანი, ირონიული, აღშფოთებული, ზოგჯერ – ცინიკური და სკაბრეზულიც...

და შემატებოდა ნაწილი პოეტის მახვილსიტყვაობისაც, თავდაცვის იარაღი უხეში სინამდვილის შემოტევეების წინააღმდეგ.

სახელწოდებაც შესაფერისი უნდა შერჩეულიყო:

უცენზურო – თავისი ორმაგი შინაარსითა და დატვირთვით, ეს ორმაგობა რომ ჰქმნიდა თავისებურ ეფექტს სილალისა, რითაც განმსჭვალულია ეს ორიგინალური აღნაგობის წიგნი.

„უცენზუროს“ ორმაგ შინაარსს აქ ნულა გავყვებით, ნურც სატირას, ცინიზმსა თუ სკაბრეზს და მხოლოდ ღიმილს დაეუკვირდეთ, პირველივე ამბავში ასე კანთიელად რომ შემოგვანათებდა გალაკტიონის თავის მოსაწყობების ნიმუშად.

სრულიად განსაკუთრებულად, დასძენენ ავტორები, პოეტის დღიურის ამ ჩანაწერს რომ გაიხსენებენ:

**„ევროპა: ბერგსონმა გამოიგონა „ინტუიცია“.
ამერიკა: აინშტაინმა „შეფარდებითი თეორია“.
იმერეთი: მე არაფერი არ გამომიგონებია. მე
არაფერი არ ვიცი. შკოლაშიდაც არ მისწავლია“.**

ავტორებისა არ იყოს:

თავს კი ისაწყლებდა, მაგრამ აშკარაა, ვისაც მიიჩნევდა „სივრცეებშიც“ თანაბრად ეს „უსწავლელი იმერელი“. ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ:

პოეზიის სამყაროში ანრი ბერგსონიც გახლდათ და ალბერტ აინშტაინიც.

ერთ პოეტურ ნიმუშში პირდაპირაც რომ იტყოდა:

ლექსია რუსთაველის და გალაკტიონის საწყალისო.

ადვილი ამოსაცნობია, ეს „საწყალი“ ამ კონტექსტში როგორი დიდებითაც იმოსება – თითქოსდა მორიდებით ... მთლად რუსთაველს უტოლებს თავს.

ზუსტად ისევე, როგორც იმ გამჭვირვალე ქვეტექსტში:

ჩვენი დრო ახალ რუსთაველს ელისო.

ელისო განა!..

სულ იმას ფიქრობდა, როგორ არა, მოვა ვინმე „ვეფხისტყაოსნის“ შემოქმედის ბადალიო. სინამდვილეში რასაც ფიქრობდა, ქვეტექსტი ილაღადებდა:

აგერ ვარ მოსული მეორე რუსთაველი და რაც დროზე დამინახავთ ასეთად, მითუკეთესი თქვენთვისო.

და თუ დიდ სახელთა გვერდით მის დაყენებას არა ფიქრობდნენ, თვითონ დააჩქარებდა ამ გარდუვალობას და მათთან სულიერ სი-ახლოვეს ჯერ იმით გამოხატავდა, ლექსებს მხოლოდ სახელს რომ მოაწერდა.

გაგულისდებოდნენ:

ნამეტანი მოსდის, შოთას, ილიას, აკაკის, ვაჟას ჰბაძავს, თავმდაბლობა აკლიაო.

გალაკტიონი გაიკვირვებდა, ღიმილი რომ გაუბადრავდა სახეს:

რა ცუდ პოეტებს მე ვბაძავ ძამიკოები! აბა ვის მივბაძო?!.

და დასძენდა:

ახლა სახელსაც რომ ვანერ და გვარსაც, სახალხო პოეტობასაც და აკადემიკოსობასაც, უფრო თავმდაბალი ვჩანვარო?!

გალაკტიონის ის ღიმილიანი სტრიქონები კი, მოქიშპეთა და მოშურნეთა მიმართ ნათქვამი, მიხეილ ჯავახიშვილსაც უნდა ჩაერთო თავის უბის წიგნაკში:

„ო, თბილისელო ჯაყო,
ქუთაისელო ხიზნით,
ნება მომეცი გაქო
გაბითურების მიზნით!..“

და ეს წიგნიც გადაივსებოდა გაბითურების მიზნით ნათქვამი ქებით, პოეტური თამაშის ამ მოხდენილი გამოვლინებითაც.

ამავე ქვეტექსტით განმსჭვალავდა იმ სტრიქონებსაც, წიგნში იმის ნიმუშად რომ მოხმობილა, ქართული ანდაზები, მათი ფორმაც და შინაარსიც მუდმივად რომ იპყრობდა გალაკტიონის ყურადღებას:

რად ვეგო სხვას ფიანდაზად?

არის ქართული ანდაზა:

თურაშაულის პატრონი

ტყეში ეძებდა პანტასა.

თან ეცინებოდა, თან გული წყდებოდა, პოეზიის ტყეშიც პანტას რომ დაეძებდნენ ისინი, რომელთათვისაც გალაკტიონის ლირიკის თურაშაულობა შეუმჩნეველი რჩებოდა.

მათ ედავებოდა, მათ ეპაექრებოდა თავის მაგიდასთან მიმჯდარიც და წარმოსახვებში გახვეულიც, თავის ერთადერთობას დაუფარავად რომ აცხადებდა.

თუნდ ის სტრიქონებიც:

საქართველოში შენ ერთი მაინც

არ იტყვი, როგორც იტყვიან სხვები...

განა თვალნათლივ არ ამჟღავნებს, ეს „შენ“ არა ვინმე სხვას, არამედ თვითონ გალაკტიონს რომ გულისხმობს?

შენ ერთი მაინცო, – ამჯერადაც გამოჰკვეთდა თავის ერთადერთობას, – რომ არ იტყოდა, რასაც იტყოდნენ სხვები.

საგულისხმოა:

როდესაც რევაზ თვარაძე გალაკტიონის სტრიქონებით დაახასიათებდა თავის თანამედროვეთ, გალაკტიონური ღიმილით შეელაღობებოდა, ამ სტრიქონების ადრესატის ვინაობაზე ბევრს არას იფიქრებდა და:

ზედგამოჭრილად მიიჩნევდა ოთარ ჩხეიძეზე.

სხვათა შორის:

ვინც რომანში „ბურუსი“ პირველთაგანი დაუჭერდა მხარს, გალაკტიონი მხოლოდ სახელით რომ უნდა მოხსენიებულიყო შოთასავით, ილიასავით, აკაკივით, ვაჟასავით.

და ისე გაახარებდა... და ისე გააღიმებდა იმ ღიმილითაც, რაც ასერიგად მოკლებოდა გალაკტიონს.

და მის მეტწილად მწუხარებით, სევდით, ტკივილით, კომმარებითაც სავსე პოეტურ წარმოსახვებსა თუ არანაკლებ პოეტურ ბიოგრაფიაში ველარც კი ვამჩნევდით სიხალის-

სის, სილალის, მხიარულების გამოვლინებებს, ნამცეც-ნამცეც, მარცვალ-მარცვალ რომ მიმოხედავდი, ვიდრე ეს ყოველივე არ მოიკრიბებოდა და მომხიბლავ თაიგულად არ შეიკონებოდა უცნაურად შარავანდეკებში, სალალბო სტრიქონების ქარბორიაშიც რომ გაგვხვევდა მათი დაუსრულებელი ნაკადი და აგვიტაცებდა იმ სხვა გალაკტიონის ხილვით, ბაგის კუთხეში რომ უკრთოდა ღვთაებრივი ირონია.

დაზუსტებით ვის გულისხმობს ეს ხილვა: შოთას?

აკაკის?
თვითონ გალაკტიონს?
და განა სულერთი არ არის?!

* * *

ბერგსონს გამოეგონებინა „ინტუიცია“.
აინშტაინს გამოეგონებინა „ფარდობითობის თეორია“.

ხოლო გალაკტიონს არაფერი გამოეგონებინა და არც არაფერი სცოდნოდა. სკოლაშიც კი არ ესწავლა...



„რომ ჰვა არა ვარ და ჰანდაკება“...

(ვსაუბრობთ ბალაკტიონსა და ბალაკტიონოლოგიაზე)

თეიმურაზ დოიაშვილისა და ნათია სიხარულიძის წიგნი „გალაკტიონი უცენზუროდ“ პრემია „საბას“ 2023 წლის გამარჯვებული გახდა ნომინაციაში წლის საუკეთესო ესეისტიკა და დოკუმენტური პროზა. სწორედ ამ სასიამოვნო ფაქტს მიეძღვნა წიგნის ავტორებთან ჩვენი ინტერვიუ, თუმცა არამხოლოდ გალაკტიონის ცენზურაგაუვლელ ტექსტებზე და ამ ტექსტების შესახებ დანერვილ ამბებზე, არამედ – ბევრ მნიშვნელოვან საკითხზეც ვისაუბრეთ.

უპირველესად, ცნობილ ლიტერატურათმცოდნესა და კრიტიკოსს, „გალაკტიონის კვლევის ცენტრის“ დამფუძნებელსა და ხელმძღვანელს – თეიმურაზ დოიაშვილს გავესაუბრეთ.



თეიმურაზ დოიაშვილი

– ბატონო თემურ, უპირველესად, გილოცავთ ლიტერატურული პრემია „საბას“ მიღებას. მინდა საუბარი დავიწყო იმ კითხვით, რომელიც, ვფიქრობ, გაუჩნდებოდა ყველას, ვინც თქვენს გალაკტიონოლოგიურ ნაშრომებს იცნობს: რამ განაპირობა ამ უჩვეულო თემით თქვენი დაინტერესება? რატომ – გალაკტიონი „უცენზუროდ“?

– დიდი მადლობა!..

„გალაკტიონი უცენზუროდ“ ჩემთვისაც მოულოდნელად დაიბადა. კოვიდჩაკეტილო-

ბის ხანაში მე და ნათია სიხარულიძემ, ჩემმა თანაავტორმა, გავიხსენეთ, რომ გალაკტიონს საკუთარი გაფანტული ეპიგრამების თავმოყრა სურდა და ამ იდეის განხორციელებას შევუდექით. მთავარი იყო ფორმის პოვნა, რადგან ეპიგრამის ტექსტი, კონკრეტული ვითარების განმარტების გარეშე, თითქმის გაუგებარია და ეფექტს კარგავს. გადავწყვიტეთ, თითოეული ეპიგრამა, დოკუმენტურ მასალაზე დაყრდნობით, ყოფით თუ ისტორიულ კონტექსტში მოგვექცია და თხრობით-ბელეტრიზებული ფორმა მიგვეცა. ამ გზამ, როგორც ჩანს, გაამართლა, რადგან მკითხველმა მიიღო, მეტიც – შეიყვარა ჩვენი წიგნი. რაც მთავარია, მასში მხოლოდ სკაბრეზულ-სალაღობო ტექსტები კი არ დაინახა, არამედ – პოეტის ტრაგიკული ცხოვრების ანარეკლიც.

– მკითხველისთვის დღემდე მტკივნეულ თემად რჩება გალაკტიონის დამოკიდებულება საბჭოთა ხელისუფლებასთან. თქვენ მიერ მოთხრობილი ამბების ერთი ნაწილი სწორედ ამ პრობლემას შეეხება. როგორია ცენზურაგაუვლელი, ანტისაბჭოთა ტექსტების მიხედვით დახატული გალაკტიონის პორტრეტი?

– თქვენ მიერ დასმულ კითხვაზე პასუხის გასაცემად იწერება ჩემი ახალი წიგნი „გალაკტიონის პალიმფსესტები“, რომელიც მხატვრულ ჩანაფიქრთა უცნაურ მეტამორფოზებზე, საბჭოური იდეოლოგიის პირისპირ მდგომი პოეტის შემოქმედებით დრამაზე გვიამბობს.

რაც შეეხება პორტრეტს, გთხოვთ, გალაკტიონის 30-იან წლებში, ე.ი. რეპრესიების მძვინვარების ხანაში გადაღებული, ჩემგან შერჩეული ფოტო გამოაქვეყნოთ.

არის ეს დიდების მწვერვალზე მყოფი საქართველოს სახალხო პოეტის, ქართული საბჭოთა პოეზიის ფუძემდებლის, ლენინის ორდენის მფლობელი ტრიუმფატორის სახე?!



გალაკტიონი

– სიტყვა „უცენზურო“ არამხოლოდ ცენზურაგაუვლელს, არამედ – სკაბრეზულსაც ნიშნავს. თქვენი წიგნიდან მკითხველი აღმოაჩენს, რომ გალაკტიონი არაერთი სკაბრეზული, სახუმარო ტექსტის ავტორიც ყოფილა. როგორ თანაარსებობდა ერთ პოეტში „მშვიდი დღეების თეთრი ბროლება...“ და „უცენზურობა“?

– გალაკტიონის პოეზიამ ლაყვარლებში მზერას, „ღვთაებრივის“ ხილვას მიგვაჩვია, მაგრამ ის ხომ „მინიერიც“ იყო, ბედისწე-

რის მიერ მოვლენილი ნადმა-უკულმა ნაქსოვ დროში. ე.წ. უცენზურო (სკაბრეზული) ეპიგრამები მინიერ გალაკტიონს ეკუთვნის, რომლისაც შურდათ, ზღვარგადასულ ინტრიგებს უწყობდნენ, ავინროებდნენ და სდევნიდნენ...

გალაკტიონის უცენზურო სტრიქონები ადამიანური წყენის ნაყოფია და, მაშასადამე, სუბიექტურიც. პოეტი ცხოვრებაშიც და შემოქმედებაშიც გაურბოდა ბილწისიტყვაობას, ანუ მისებურად: „სულ უკანასკნელ სიტყვებს“. სკაბრეზს გალაკტიონი მხოლოდ ეპიგრამებში მიმართავდა, როგორც ამ ჟანრისათვის დამახასიათებელ სტილურ ელემენტს.

– გალაკტიონის შემოქმედება რომ მრავალმხრივი და ამოუწურავია, ეს დღეს საყოველთაოდაა ცნობილი. დარწმუნებული ვარ, მის უმდიდრეს არქივზე მუშაობისას, არაერთი საინტერესო იდეა გაგიჩნდებოდათ. ხომ ვერ გაგვიმხელთ სამომავლო გეგმებს: რა სიურპრიზი ელოდება წინ მკითხველს: სამომავლოდ როგორ გალაკტიონს გაგვაცნობთ?

– „გალაკტიონის პალიმფსესტებზე“ უკვე მოგახსენეთ.

სულ ახლახან გადმომცეს სასიგნალო ეგზემპლარი ჩემი ხუთასგვერდიანი წიგნისა – „ვარდი ნანვიმარ სილაში“ (გამომცემლობა „ინტელექტი“), რომელშიც შესულია გალაკტიონისადმი მიძღვნილი რჩეული სტატიები. აქ გენიალური პოეტის ცხოვრებისა და პოეზიის არაერთ საიდუმლოზეა საუბარი და მკითხველს ბევრი რამ ელოდება მოულოდნელი და საინტერესო.

ახალგაზრდა კოლეგებთან ერთად გამოსაცემად ვამზადებ „გალაკტიონოლოგიის“ მორიგ, მეათე წიგნს, რომელიც, ჩემი შეფასებით, საუკეთესო იქნება უკვე გამოცემულთა შორის.

– გალაკტიონის პოეზიამ სალიტერატურო კრიტიკის ყურადღება 1910-იანი

ნლებიდან მიიქცია. გენიალური პოეტის შემოქმედების კვლევას უკვე საუკუნოვანი ისტორია აქვს. და მაინც, დღემდე არ განულებულა მკვლევართა ინტერესი მისი ნაწარმოებებისადმი. რა ახალი ეტაპი დაიწყო გალაკტიონოლოგიაში „გალაკტიონის კვლევის ცენტრის“ შექმნით? გვიამბეთ ამ ცენტრის შექმნის მთავარ მიზანზე, მის მიღწევებსა და გეგმებზე.

– ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში „გალაკტიონის კვლევის ცენტრის“ დაარსებით ორგანიზებული, მიზანმიმართული ხასიათი მიეცა იმ უზარმაზარი შემოქმედებითი მემკვიდრეობის შესწავლას, რომელიც პოეტმა დაგვიტოვა. „ცენტრის“ ინტენსიური მუშაობის ოცი წლისთავზე გალაკტიონოლოგია უკვე ქართველოლოგიის აღიარებული აკადემიური დარგია.

„გალაკტიონის კვლევის ცენტრმა“ გამოსცა სამეცნიერო-ლიტერატურული კრებულის – „გალაკტიონოლოგიის“ ცხრა სოლიდური ტომი, რითაც რეალობად იქცა გალაკტიონის სანუკვარი ოცნება. დაისტამბა საიუბილეო კრებული „გალაკტიონი – 125“. ნელს დამთავრდება გალაკტიონოლოგიის დოკუმენტირებული ისტორიის სამტომეულის – ქრესტომათიის ბეჭდვა სათაურით „რას იტყვის ჩემზე შთამომავლობა“.

უმთავრეს მიღწევად მაინც გალაკტიონ ტაბიძის თხზულებათა აკადემიური თხუთმეტტომეულის პირველი ხუთი ტომის გამოცემა მიმაჩნია, რომელიც საბჭოური იდეოლოგიური სტერეოტიპებისაგან თავისუფალ, ახალ კონცეპტუალურ საფუძველზე შეიქმნა. უახლოესი გეგმები კვლავაც „აკადემიურის“ გაგრძელებას უკავშირდება. ვფიქრობთ ორ-სამ პროექტზეც, რომელსაც ჯერ არ გავამხელ.

– მიუხედავად იმისა, რომ გალაკტიონის შემოქმედება კარგად არის შესწავლილი და კვლევა კვლავაც გრძელდება; მიუხედავად იმისა, რომ მისი პოეზიის საუკეთესო ნიმუშები თარგმნილია სხვადასხვა ენაზე, ეს

მაინც არ იძლევა საშუალებას, რომ გალაკტიონის პოეზიის ხიბლი მსოფლიოს უფრო მეტმა ნაწილმა იგრძნოს. მისი სახელი, მცირე გამოჩაქვების გარდა, მხოლოდ საქართველოს მასშტაბითაა ცნობილი. თქვენი აზრით, რა შეიძლება გაკეთდეს ამ პრობლემის გადასაჭრელად?

გალაკტიონს, რიგი ობიექტური და სუბიექტური მიზეზების გამო, სამწუხაროდ, ის საერთაშორისო აღიარება არ აქვს, რასაც ნამდვილად იმსახურებს. საამისოდ საჭიროა არა მარტო მაღალპოეტური თარგმანები, არამედ, განსაკუთრებით, დასავლურ კულტურულ სივრცეში გალაკტიონზე, როგორც მსოფლიო მასშტაბის პოეტზე, კვალიფიციური აზრის გატანა. მერწმუნეთ, შორს არაა ის დრო, როდესაც გალაკტიონის სახელი მსოფლიო პოეზიის ცაზე აინთება.

– როგორც ჟურნალ „საქართველოს ბიბლიოთეკის“ მთავარმა რედაქტორმა უნდა გკითხოთ: როდის და როგორ მოხდა თქვენი პირველი შეხვედრა ბიბლიოთეკასთან?

– დავიბადე და გავიზარდე ოჯახში, რომელიც დიდ პატივს სცემდა წიგნს და წიგნიერებას. ბავშვობიდან მახსოვს ოთახის კუთხეში მიდგმული დიდი, ოთხიარუსიანი „ეტაჟერი“ და თაროებზე მჭიდროდ ჩამწკრივებული წიგნები, რომელთა სათაურები დღემდე არ დამვიწყებია.

მრავალ ბიბლიოთეკაში ვარ ნამყოფი, მაგრამ ვერაფერი შეედრება მშობლიურ „საჯაროს“ – ეროვნულ ბიბლიოთეკას, სადაც წლების მანძილზე თითქმის ყოველდღიურად დავდიოდი.

ახლა საკუთარი სოლიდური წიგნთსაცავი მაქვს და დარჩენილ წლებს საყვარელი წიგნები მილამაზებენ.

– თქვენი შეფასებით, რა არის ბიბლიოთეკა დღეს: რა ადგილი უკავია მას თანამედროვე საზოგადოების ცხოვრებაში? ციფრული ტექნოლოგიების განვითარებამ ხომ

არ დააკნინა ბიბლიოთეკის მნიშვნელობა?

– ციფრული ტექნოლოგიები სასწაულებს ახდენენ, წარმოუდგენელ პერსპექტივას შლიან... მაგრამ განა კინომ მოკლა თეატრი, როგორც ამას ბევრი წინასწარმეტყველებდა?!

ბიბლიოთეკა უკვდავია: მას წიგნთან განუმეორებელი, მისტიკური ინტიმი და ადამიანური ურთიერთობის ხიბლი ახლავს. ვფიქრობ, მომავალი დაპირისპირებას კი არა, სინთეზს ეკუთვნის.



ნათია სიხარულიძე

საუბარი „გალაკტიონის კვლევის ცენტრის“ უფროს მეცნიერ-თანამშრომელთან, ფილოლოგიის დოქტორ ნათია სიხარულიძესთან გაგვარძელებთ.

– ნათია, როგორც ვიცი, თქვენმა წიგნმა მკითხველის განსაკუთრებული ინტერესი დაიმსახურა. როგორ ფიქრობთ, რამ განაპირობა ასეთი ყურადღება და რით განსხვავდება „გალაკტიონი უცენზუროდ“ გენიალური პოეტის შესახებ დაწერილი სხვა წიგნებისგან?

– გალაკტიონის ბიოგრაფიისა და შემოქმედების შესახებ მეოცე საუკუნის 50-იანი წლებიდან დღემდე ათეულობით წიგნი დაიწერა და გამოქვეყნდა. „გალაკტიონი უცენზუ-

როდ“ მათგან მართლაც გამოირჩევა, რადგან წიგნზე მუშაობისას ჩვენი უმთავრესი მიზანი იყო საზოგადოებისთვის გაგვეცნო არა პარნასზე მდგომი გენიოსი, არამედ – გვეჩვენებინა გენიალური პოეტის, ზეციური, მიუწვდომელი გალაკტიონის ადამიანური მხარე, მისი ყოფითი, ყოველდღიური ცხოვრება, დამოკიდებულებები კოლეგა-მწერლებთან თუ ოჯახის წევრებთან, ახლო ნაცნობებთან თუ სრულიად უცნობ ადამიანებთან. გვინდოდა მკითხველს სცოდნოდა, როგორია პოეტების მეფის ღვთაებრივი ირონია, რა ინვეეს მის ირონიულ, ზოგჯერ ცინიზმამდე მისულ დამოკიდებულებებს, ან როგორ მოხდა, რომ ახალგაზრდობიდანვე „სევდის მგოსნად“ მიჩნეული გალაკტიონის უბის წიგნაკში ვკითხულობთ ასეთ ფრაზას: „ცხოვრება არ ღირს, თუ არ იცინე“...

როგორც გაირკვა, მკითხველისთვის ასეთი გალაკტიონი განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა. ეს ჯერ კიდევ წიგნის გამოქვეყნებამდე გახდა აშკარა: როდესაც გამომცემლობა „არტანუჯმა“ სოციალური ქსელის საშუალებით დააანონსა, რომ „გალაკტიონი უცენზუროდ“ უნდა გამოეცათ, ამ ინფორმაციას უამრავი ადამიანი გამოეხმაურა. წიგნის გამოქვეყნების შემდეგ მკითხველის ინტერესი, ბუნებრივია, კიდევ უფრო გაიზარდა, რასაც ადასტურებს ისიც, რომ თბილისის წიგნის საერთაშორისო ფესტივალზე „გალაკტიონი უცენზუროდ“ ბესტსელერად იქცა.

– როგორ გაიხსენებდით წიგნზე მუშაობის პერიოდს? თქვენთვის, როგორც ახალგაზრდა გალაკტიონოლოგისთვის, რამდენად მნიშვნელოვანი იყო ეს პროცესი?

– ჩემი პროფესიიდან და საქმიანობიდან გამომდინარე, არაერთ წიგნზე მიმუშავია: როგორც ავტორს, შემდგენელს, რედაქტორს... თუმცა გულწრფელად რომ ვთქვა, „გალაკტიონი უცენზუროდ“ ამ მხრივაც განსაკუთრებული აღმოჩნდა. „გალაკტიონის კვლევის ცენტრის“ ხელმძღვა-



გალაკტიონის ჩანახატებიდან

ნელთან, ბატონ თეიმურაზ დოიაშვილთან თანამშრომლობა, ამჯერად თანაავტორის სტატუსით, ჩემთვის უნიკალური გამოცდილება იყო არაერთი მიზეზის გამო. ამ თანამშრომლობის პროცესში აღმოვაჩინე, რომ თურმე შესაძლებელია გალაკტიონთან დაკავშირებული ძალიან სერიოზული პრობლემების, საკამათო და მტკივნეული საკით-

ხების შესახებ საუბარი მკითხველისთვის გასაგები ენით. „გალაკტიონი უცენზუროდ“ პანდემიის პირობებში შეიქმნა. შეიძლება ითქვას, ეს იყო ერთგვარი გაქცევა იმდროინდელი დაძაბული და სტრესული რეალობიდან. იმ პერიოდზე რომ ვფიქრობ, მახსენდება, ერთი მხრივ, ნაცრისფერი გარემო, გაურკვევლობისგან გამონვეული, დროში განვლილი შიში და, მეორე მხრივ, ჩვენი წიგნის ფერადი ატმოსფერო, ამბებზე, პერსონაჟებზე, ილუსტრაციებზე მსჯელობა.

– როგორც წიგნის ანოტაციაშია ნათქვამი, ის, რასაც თქვენ, ავტორები მოგვითხრობთ დოკუმენტურ მასალას ეყრდნობა, ძირითადად, პოეტის ჩანაწერებს. დარწმუნებული ვარ, გალაკტიონის არქივზე მუშაობა თქვენთვის, როგორც მკვლევარისთვის ასევე უნიკალური გამოცდილება იყო. როგორც ვიცი, საარქივო მასალიდან შეირჩა წიგნისთვის ილუსტრაციებიც. რას გვეტყოდით გალაკტიონის არქივზე?

– გალაკტიონის არქივი გალაკტიონოლოგებისთვის უძვირფასესი განძია. საარქივო მასალის დახმარებით პოეტთან დაკავშირებული არაერთი საიდუმლო ამოიხსნა, არაერთი ბუნდოვანი საკითხი გაირკვა. გალაკტიონის არქივზე წლების მანძილზე ვმუშაობდი სხვადასხვა მიზეზითა და მიზნით. ჩვენი წიგნისთვის კიდევ ერთხელ მივუბრუნდი ამ საგანძურს. მუშაობის საწყის ეტაპზე პოეტის უმდიდრესი საარქივო მასალიდან ცალკე გადავარჩიეთ მისი სახუმარო, უცენზურო, ცენზურაგაუვლელი, ირონიული თუ სკაბრეზული ტექსტები. მასალის შერჩევის შემდეგ აღმოჩნდა, რომ გალაკტიონის ლექსებისა და ჩანაწერების უმრავლესობა მჭიდროდ იყო დაკავშირებული კონკრეტულ ეპოქასთან, კონკრეტულ პიროვნებებთან და მათ აღსაქმელად საჭირო გახლდათ იმდროინდელი სიტუაციების ცოდნა. სხვაგვარად ტექსტების უმეტესობა მკითხველისათვის გაუგებარი იქნებოდა. სწორედ ამის გათვალისწინების შემდეგ გადავწყვიტეთ,

დაგვეწერა დოკუმენტურ მასალაზე დაფუძნებული მცირე მოცულობის ამბები, რომლებშიც გაცოცხლებოდა კონკრეტული სიტუაციები, პიროვნებების ვინაობაც ცხადი იქნებოდა და მათ მიმართ გალაკტიონის დამოკიდებულებაც. აქვე მინდა ყალბი თავმდაბლობის გარეშე ვთქვა, რომ მსგავსი ტიპის ამბების დანერგვა-მომზადება არ შეუძლია ნებისმიერ მკვლევარს, ვინც გალაკტიონის არქივს გაეცნობა – ამ ამბების დასაწერად აუცილებელია როგორც გალაკტიონის შემოქმედებისა და ბიოგრაფიის უმცირესი დეტალების ცოდნა, ისე მეოცე საუკუნის ქართული მწერლობის ფართო ლიტერატურული კონტექსტის ფლობა და გააზრება.

ლექსისა თუ დღიურის წერის დროს გალაკტიონი ხშირად ხატავდა. ამ ნახატებს თავისებური იდუმალება ახლავს. უცნაური ფიგურები თითქოს გენიოსის ფიქრებს ინახავს. ჩვენი წიგნისთვის საილუსტრაციო მასალა რომ დაგვჭირდა, რაღა თქმა უნდა, გალაკტიონის ნახატების გამოყენება გადავწყვიტეთ. ბევრი გადარჩევა-გადმორჩევის შემდეგ ისეთი შედეგი მივიღეთ, რომ ხშირად ჰგონიათ, ესა თუ ის კონკრეტული ნახატი სწორედ იმ სახუმარო ტექსტთან თუ ტექსტისთვის დახატა გალაკტიონმა, რომლის გვერდითაცაა წიგნში მოთავსებული. ეს ასე არ არის, მაგრამ სწორედ ასეთი შთაბეჭდილების შექმნა იყო ჩვენი მიზანი.

– „გალაკტიონი უცენზუროდ“ პრემია „საბას“ გამარჯვებული გახდა ნომინაციაში „წლის საუკეთესო ესეისტიკა და დოკუმენტური პროზა“. რამდენად მნიშვნელოვანი იყო თქვენთვის ეს გამარჯვება და რას ნიშნავს „საბა“ თანამედროვე სალიტერატურო პროცესისთვის?

– თითოეული ადამიანის ცხოვრებაში არის დღეები, რომლებიც არასდროს დაავიწყდება. ჩემთვის ერთ-ერთი ასეთი 19 სექტემბერი იყო – „საბას“ დაჯილდოების დღე. განსაკუთრებით მახარებს ის, რომ ჩვენი წიგნის გამარჯვება არამხოლოდ ავტორების

ან გულშემატკივართა ვიწრო წრის, არამედ – გალაკტიონზე შეყვარებული მკითხველის საერთო გამარჯვებად იქცა, ათასობით ადამიანმა გაიზიარა ჩვენი სიხარული, რამაც კიდევ ერთხელ აჩვენა, რომ „გალაკტიონი უცენზუროდ“ საყოველთაო საკითხავი, მკითხველისთვის გამორჩეულ წიგნია.

გამარჯვება უამრავმა ნაცნობმა და კიდევ უფრო მეტმა უცნობმა ადამიანმა მომილოცა სოციალური ქსელით, ისე რომ, ერთ კვირაზე მეტი დამჭირდა თითოეული მათგანისთვის საპასუხოდ, მადლობის გადასახდელად. ამ მოლოცვათაგან ყველაზე ორიგინალური და დასამახსოვრებელი გამომცემლობა „არტანუჯის“ ხელმძღვანელის, ბატონი ბუბა კუდავას სიტყვები იყო, „საბას“ გადმოცემიდან ორიოდე წუთში რომ მომწერა: „ხომ გეუბნებოდი, გავფრინდებით-მეთქი“. ჰოდა, ალბათ, „საბა“ შემოქმედებითი გაფრენაა ნებისმიერი ავტორისთვის... ეს ყოველწლიური მოლოდინი, მღელვარება და ზეიმი, რომელსაც შეფასებისა და დაფასების ელემენტები შემოაქვს ჩვენს ლიტერატურულ ცხოვრებაში.

– სამომავლო გეგმებზე რას გვეტყვით, გალაკტიონთან დაკავშირებულ კიდევ რა სიახლეს უნდა ელოდოს მკითხველი თქვენგან?

– „გალაკტიონის კვლევის ცენტრი“ არაერთ პროექტს ახორციელებს, მათი მნიშვნელობის შესახებ უკვე ისაუბრა ბატონმა თეიმურაზმა და ამიტომ მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ თითოეულ ამ პროექტში სხვადასხვა ასპექტით ვარ ჩართული. რაც შეეხება სხვა უახლოეს ამბებს: მალე გამოიცემა ჩემ მიერ შედგენილი უზარმაზარი „რჩეული“, რომელიც მკითხველს განსხვავებულ გალაკტიონთან შეხვედრას ჰპირდება. გარდა ამისა, მკვლევართა ჯგუფთან ერთად ვმუშაობ „გალაკტიონის ცხოვრებისა და შემოქმედების მათიანეზე“.

– როდის და როგორ მოხდა თქვენი პირველი შეხვედრა ბიბლიოთეკასთან?

– ბიბლიოთეკასთან პირველი შეხვედრა ბავშვობას, სკოლის წლებს უკავშირდება. პირველ შთაბეჭდილებებზე რომ ვფიქრობ, მახსენდება ალფრთოვანებისა და გაციების გრძნობა და კიდევ: წიგნთსაცავში წიგნების მოსაძებნად შესული ბიბლიოთეკარისთვის მიდევნებული ბავშვური მზერა, რომ როგორმე უკეთესად დამენახა უზარმაზარი თაროები, რომლებზეც უამრავი წიგნი – უამრავი ახალი სამყარო იყო მოთავსებული. ოდნავ მოგვიანებით საცავში შესვლის და წიგნების თვალიერება-შერჩევის ნებართვა მივიღე, ეს, ალბათ, ყველაზე მნიშვნელოვანი უფლება იყო, რაც კი სკოლის ასაკში მომიპოვებია. იმ წლებში ნაკითხული წიგნებისგან გამონვეული ემოცია დღემდე მომყვება. არც კი მინდა ვიფიქრო, როგორი იქნებოდა ჩემი და ჩემი თაობის – 90-იანელების ბავშვობა, რომ არა ბიბლიოთეკა, რომელიც მაშინ ინფორმაციის ერთადერთი წყარო იყო.

– თქვენი შეფასებით, რა არის ბიბლიოთეკა დღეს: რა ადგილი უკავია მას თანამედროვე საზოგადოების ცხოვრებაში? ციფრული ტექნოლოგიების განვითარებამ ხომ არ დააკნინა ბიბლიოთეკის მნიშვნელობა?


– ბიბლიოთეკა ჩემი საქმიანობის განუყოფელი ნაწილია. როცა „საჯაროში“ მოვდივარ, მიხარია, რომ მუდმივ მკითხველებთან ერთად, რომლებსაც უკვე მრავალი წელია ვხედავ, ახალი თაობის სიმრავლაც

იქცევს ყურადღებას. ეს იმას ნიშნავს, რომ ბიბლიოთეკას საზოგადოების ცხოვრებაში კვლავაც მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. ასეც უნდა იყოს. თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებამ ბიბლიოთეკები ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა. ამ გამოწვევებს ჩვენთვის ძვირფასი ეროვნული ბიბლიოთეკა რომ ღირსეულად უმკლავდება, ამის დასტური სხვა არაერთ ფაქტთან ერთად მრავალფუნქციური ელექტრონული კატალოგები და ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელი“ გახლავთ.

– საბიბლიოთეკო მომსახურების რა ფორმის დამატებას ისურვებდით დღეს ჩვენს ბიბლიოთეკებში?

– ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელი“ ვახსენე, რომელიც საშუალებას გვაძლევს შინიდან გაუსვლელად ვიკითხოთ წიგნების ელექტრონული ვერსიები, გავეცნოთ ათწლეულების წინანდელ ჟურნალ-გაზეთებს, დავათვალიეროთ უნიკალური ფოტოები... მართალია, ბიბლიოთეკაში ვიზიტს და სამკითხველო დარბაზში მუშაობას თავისი უპირატესობები აქვს, მაგრამ ზოგჯერ (და არცთუ იშვიათად), არის შემთხვევები, როცა ათეულობით წყაროს მოძიება და გადათვალიერებაა საჭირო, თან საჩქაროდ. ასეთ დროს „ივერიელი“ შეუცვლელია. სწორედ ამიტომ ვისურვებდი „ივერიელის“ უფრო მეტად შევსებას, უნიკალური მასალით მის კიდევ და კიდევ გამდიდრებას.





ჟაკლინ სირაძე

მწერალი, ლიტერატურათმცოდნე

„...თავისი ბრწყინვალე ცოდნის მიუხედავად იგი (ფსიქიატრი ჯენი - შენიშვნ. ჟ.ს.) გარკვეულწილად სულიერად გაუნათლებელი ჩანს [...] ჯენი ყოველთვის ღრმად იყო დარწმუნებული, რომ ყველი - ყველია, მაგიდა - მაგიდაა, და, თქვენ წარმოიდგინეთ, ადამიანი - ადამიანი“ (ი. ბერგმანი, „პირისპირ“). მე კარგად მაქვს გაცნობიერებული, რომ ოთარ იოსელიანის შემოქმედების შეფასება ინგმარ ბერგმანის სიტყვებით იგივეა, პოეზიაზე მათემატიკური ფორმულების მოშველიებით ისაუბრო, მაგრამ ერთი რამ კი უდაოა, ი. ბერგმანის სიტყვები ზუსტად ესადაგება „პასტორალში“ ასახულ მუსიკოსთა „ბრწყინვალე ცოდნის მიღმა მდგარ სულიერ გაუნათლებლობას.“ (ი. ბერგმანი).

ამ სულიერი გაუნათლებლობის გამოა, რომ ისინი უნებოდ, უსიყვარულოდ, რაღაც მოვალეობის გამო, მექანიკურად უკრავენ თავიანთ რეპერტუარს - კლასიკურ მუსიკას. ამის გამოა, რომ არა მარტო უცვლელად მეორდება რეპერტუარის დრო, არამედ ზუსტად მეორდება მეცადინეობის განწყობაც. ეს ნიშნავს, რომ ისინი უკრავენ

ოთარ იოსელიანის შემოქმედება-II პასტორალი, ანუ ბუნებასთან გაუსხობა

ზედმინწევითი გულგრილობით, რომელშიც მათი პიროვნული „მე“ არ მონაწილეობს. მუსიკა - ეს კოსმოსის ჰარმონიაა, ღმერთისა და სიყვარულის ენა, მაგრამ თუ მისგან გაუცხოვდი, თუ აღარ ისმინება ღმერთის ხმა, სიყვარულიც ქრება, შესაბამისად, აღარც სათნოება და უანგარო ურთიერთობები არსებობს. ოთარ იოსელიანი თავისი საყვარელი ჟანრისადმი - კომიკური დრამა - ერთგულებას ამ ფილმიტაც ინარჩუნებს. ამაზე მეტყველებს მისი ამბივალენტურად წაკითხვადი სათაური - „პასტორალი“, როგორც ბუნების წიაღში იდილიური ყოფა, ბუნების ხმასა და მის ჰარმონიასთან თანაზიარობა. ხოლო მეორე მხრივ, ეს არის ირონიული დამოკიდებულება იმ სინამდვილისადმი, რომელიც თანამედროვე ეპოქის სულისკვეთებას შეაქვს სოფელში. ამიტომაც სათაური წარმოითქმება ხაზგასმული, ირონიული ინტონაციით. ფილმში მეგრული ენა გამოყენებულია, როგორც იმ აბსურდულობის პირობითი ნიშანი, რომელიც ასე ნიშნულია



ოთარ იოსელიანი

თანამედროვე ეპოქისათვის - გაუცხოება საკუთარი თავისა და სხვა ადამიანებისაგან. მეგრული ენა არ იცის მაცურებელმა, მაგრამ ეს ენა არ იციან თავად მასზე მოსაუბრე პირებმა. რადგან ის (რეჟისორის მინიშნებით) განგებ დაუშნობელია და დაცლილია მუსიკალურობისა და ჰარმონიისაგან. ამიტომაც, ამ ფილმისთვის ნიშნული და უმთავრესია - დუმლის საშიში ფენომენი. მორის მეტერლინკი წერდა: „საშიშია გაჩუმება იმ ადამიანების წინაშე, ვისაც ჩვენ არ ვიცნობთ და არ გვიყვარს.“



პასტორალი

ფილმის უსიყვარულო და გაუცხოებული ადამიანები პირქუშ და დაჭიმულ ატმოსფეროს ქმნიან. თავზარდამცემია, რომ ამ ფილმით სულიერ სიცარიელეს არა მარტო ვხედავთ კინოკადრების მეშვეობით, არამედ ვისმენტ მას. მისი სახელი ანგარებაა, როგორც უსულობის თანამდევი რამ. ედუკის სინმიწდე - ბუნების სახე, ქალწულებრივი

მიამიტობა, სინრფელე, სილაღე, თავისუფლება, უანგარობა, სიბრძნე - კონტრასტს ქმნის მუსიკის გულგრილად შემსრულებლებთან, ამ ხელოვნურ ადამიანებთან. საგულისხმოა ის კადრები, როცა მუსიკოსები ავტობუსით მიემგზავრებიან, ედუკი კი ბუნების ხმის მიყოლით - მოკლედ გადაჭრის გზას. ის ფეხით უკვე მივიდა იქ, სადაც მუსიკოსები, თანამედროვე ეპოქის გაუცხოებული ადამიანები, ავტობუსით უფრო მოგვიანებით ჩამოვივლიან. ედუკი ამაღლებულ გორაკზე დგას (ამით რეჟისორი თითქოს მის აღმატებულ და უცვლელ სიდიდეზე მიანიშნებს) და მათ ხელს უქნევს. ეს ბუნება ესაუბრება მათ და ცდილობს, ამ შესტით თავი შეახსენოს.

ეპილოგში ედუკი ფაქიზად იღებს ხელში, როგორც უძვირფასეს განძს, მუსიკოსების მიერ დატოვებულ ფირფიტას და, მისდა განსახიზვლელად კი საპარადო, იაფფასიანი მუსიკა შერჩება ხელთ. და მყის მისი ილუზიაც ქრება, რომ ღვთაებრივი მუსიკა, რომელსაც სოფელში ჩამოსული მუსიკოსები ასრულებდნენ, მათი სულის ხმა იყო - მათი დაფარული საგანძური. ეპილოგის მეორე ნაწილში ხელახლა იჩენს თავს მუსიკოსების სულიერი სილატაკე. სახლის შემოსასვლელ ოთახში (ფართო პლანი) მივიწყებული, უსარგებლო ნივთივით უდიერად მიგდებულია კალათი, რომელშიც ტალახის შხეფებით დაბინძურებული ვაშლები აწყვია. ეს ქალწული ედუკის - ბუნების უძვირფასესი ძღვენია მუსიკოსებისადმი - თანამედროვე ადამიანებისადმი. ეპილოგშივე მოჩანს სოფლიდან ჩამოსული ქალიშვილი მუსიკას რომ უკრავს, როცა მამა სახლში ბრუნდება. აქ მუსიკა, სამყაროს ღვთაებრივი ენა, მუსიკოს - ქალიშვილის ხელში უწონადოდ ქცეულა. რადგან მუსიკა მისთვის მხოლოდენ საშუალებაა, რათა ისევ და ისევ სხვად იქცეს. არ ჰქონდეს ურთიერთობა მამასთან, რომელსაც სავარაუდოდ ენატრება და სურვილი აქვს მოინახულოს გვერდითა ოთახში „მუზიციურებით შეპყრობილი“ შვილი, თუმცა ამაოდ.

მეტაფიზიკური ძაფი

(ო. იოსელიანის „ღვინოშია ჭემმარიტებას“ მიხედვით)

*„უნდა იცხოვრო ისე, თითქოს გვერდითა ოთახში
საყვარელი ბავშვი კვდება. ის ყოველთვის
კვდება კიდევაც. ყოველთვის ვკვდები მეც.“*

ლევ ტოლსტოი, „დღიურებიდან“.

ოთარ იოსელიანის განურჩევლად ყველა ფილმში იგრძნობა ნუხილი, რომ ბავშვი კვდება ადამიანში, მაგრამ ფილმში „ღვინოშია ჭემმარიტება“ არათუ იგრძნობა დაფარული ნუხილი, ის ზედაპირზეა ამოფენილი და პირველივე კადრში მოჩანს ბავშვი, რომელიც ყოფიერების შემზარავ ჩაკეტილობაში ლამის კვდება. ეს ბავშვი რომ რეჟისორ ოთარ იოსელიანში ცოცხლობს და მისი ალტერ ეგოა, იმითაც დასტურდება, რომ ფილმის დასასრულს, როცა (ო. იოსელიანის გროტესკულად დამახინჯებული პროტოტიპი ხელოვანისა) ტოვებს შემზარავ, სულიერებისგან დაცლილ ყოფიერებას, ამავე მომენტში კადრში ჩნდება, თუ როგორი მღვლეარებითაა ყურმიდებული ბავშვი და რა ჩუმი სიხარულით „ისმენს“ რეჟისორის საყვარელი ხატის, სიცოცხლის დიადი სიხარულის „მოძრაობას“, რომელსაც ფილმის ბოლო კადრში მინის მჭვირვალე ზედაპირზე წვიმის ნაკადის ჩანჩქერივით დაშვება გვიმჟღავნებს. ბავშვიც იმ განზომილებაში - უსასრულობასა და თავისუფლების სივრცეში გვეგულება, რომელშიც ო. იოსელიანის პროტოტიპი იმპრესიონისტული ელვარებით მოოჭვილი ზღვის უმშვენიერეს უსასრულობაში აფრიანი ნავით - თავის შინაგან სამყაროში - სიმღერით გააღწევს.

თუ ფედერიკო ფელინის „ამარკორდს“ სიუჟეტი არ გააჩნია (ტრადიციული გაგებით) და მხოლოდ და მხოლოდ იმ ასოციაციების-

გან იკვრის, რომელსაც გულის მეხსიერების მოუხელთებელი და წრფელი გზა უხილავი ფანრით სავალ ბილიკს უნათებს, ო. იოსელიანის „ღვინოშია ჭემმარიტება“, ეს უსიუჟეტო ფილმი, გულის მეხსიერებას მიუყვება - და იმ მისტიკური სითხე-დაფით იკვრის, რომელიც ერთდროულად გასაღებიცაა და ყოფიერების ღრმად დაფარული საიდუმლოც. ეს ის მისტიკური სითხე-ღვინოა, რომელსაც ძალუძს ყოფიერების ჩაკეტილი სივრციდან თავი დაგვალწვეინოს. და, თუმცა, ფილმში ყველა პერსონაჟი სვამს ღვინოს, ანუ ის ყველგან მყოფობს, ეს ნიშნავს, რომ ყველა პერსონაჟს აქვს გასაღები. მაგრამ, როგორც საბოლოოდ ირკვევა, მხოლოდ ხელოვანი და ბავშვი იყენებენ ამ ჯადოსნურ სითხეს, იმ გასაღებს, რომელსაც ძალუძს სამყაროს მშვენიერებას - მის უსასრულობას, თავისუფლებას, სიყვარულსა და ჰარმონიას გვაზიაროს. და გავიმეორებ, ამ უსიუჟეტო ფილმის უჩვეულობა იმაში მდგომარეობს, რომ პერსონაჟებს აერთიანებს არა თემა, არამედ ერთი სუბსტანცია - ღვინო. ის აერთიანებს ადამიანებს, და მისი წყალობით მათ ბოძებული აქვთ სიყვარულის უნარი და სიმღერის ნიჭი, შესაბამისად, ის სამყაროს უჩინარი და მაერთი მისტიკური ძაფიცაა. ამ მეტაფიზიკური მაერთის გარეშეა, მის გარეთაა ყოფიერების ჩაკეტილი, აბსურდული სივრცის სიმბოლო - სათამაშო მატარებელი; ეს წრეში ჩაკეტილი საგანი, უაზროდ იმეორებს ერთსა და იმავე მოძრაობას,

და საზრისი არ გააჩნია. ამ ფილმში უამრავი პერსონაჟია. მაგ., ასეთია ექსტრავაგანტული ვარცხნილობის მქონე გამოჩენილი მომღერალი ქალის ვაჟი, რომელიც, თუმც მდიდრულ სახლში ცხოვრობს, მაგრამ ლალია და მანანალებთან და მათხოვრებთან მეგობრობს. როცა ის ღვინის ბოთლს უტოვებს ადამიანებს, თითქოს ამით თავისუფლებას სთავაზობს. რეჟისორი ხაზს უსვამს ვეტერანის სახლის ფანჯრის თაროზე ბიჭის მიერ ყოველდღე დატოვებულ ერთ ბოთლ ღვინოს. ამ სახლის ფანჯრები სატუსაღოს ასოციაციას ბადებს. გისოსებს მიღმა კი ვხედავთ ბავშვს, რომელიც ვეტერანის მუშაობის ფონზე კლასიკურ მუსიკას უკრავს. ამ კადრმა უნებურად გამახსენა ოთარ იოსელიანის გამონათქვამი საბჭოთა კავშირის შესახებ: „ზოოპარკის გისოსებში ვიყავით გამომწყვდეულები“. და მიუხედავად ამისა, რეჟისორი არც ერთ თავის ფილმში არ იშველიებს სოციალურ ფონს ადამიანის გამოსახატავად. ჩემი სუბიექტური აზრით კი, ციხის გისოსებიანი ფანჯრის კადრით ის გვეუბნება, რომ თანამედროვე სამყაროში ადამიანები თვითონ ქმნიან ციხეს თავის თავში, რითაც ცხოველებს ემსგავსებიან. მეორე ეპილოგში კი (პირველზე უკვე

ვისაუბრე) მომღერლის ვაჟი წარუმატებელი სიყვარულის შემდეგ აპათიაში ვარდება. ამ აპათიის გამოისობით მოხვდება ის თავისი მეგობარი მანანალების მიერ ცუდად ორგანიზებულ თავდასხმაში სუპერმარკეტზე, რის შედეგადაც ციხეში აღმოჩნდება. უკვე ციხიდან გამოსული უარყოფს თავისი ძველი ცხოვრების წესს, რადგან მიხვდა, საყვარელ გოგონასთან წარუმატებლობა იმის შედეგია, რომ ცხოვრების სასტიკ და უაზრო თამაშს მხარი არ აუბა. ამის ნიშნად ჯერ თავის ძველ მეგობარ მანანალებს მანქანაში არ ჩაისვამს, შემდეგ კი თავის სპორტულ ფეხსაცმელებს მოისვრის და საზოგადოების ეტიკეტის შესაბამისად გამოეწყობა. ვაჟი არსად აღარ ტოვებს ღვინის ბოთლს - ეს მეტაფიზიკური ხატია, ფაქიზი მინიშნებაა იმაზე, რომ მან უარი განაცხადა, იყოს პიროვნება და ამრიგად, უსახო მასას შეუერთდა. ფილმის ბოლო კადრში მოჩანს ვეტერანის ოდესღაც გისოსებიანი ფანჯარა, სადაც ვაჟი ყოველდღე თავისუფლების სიმბოლოს - ერთ ბოთლ ღვინოს ტოვებდა, ახლა კი უკვე აგურის კედლითაა ამოშენებული, რომლის მიღმიდან ძლივსღა ჩაგვესმის, თუ როგორ უკრავს ბავშვი ბახის ღვთაებრივ მუსიკას.



ღვინოშია ქუმმარიტება

საერთაშორისო კატალოგიზაციის პრინციპების დეკლარაცია

შესავალი

IFLA-ს თავდაპირველი დეკლარაცია, ჩვეულებრივ, „პარიზის პრინციპების“ სახელით არის ცნობილი. იგი მიიღეს 1961 წელს ჩატარებულ კონფერენციაზე, რომელიც მიზნად ისახავდა კატალოგიზაციის საკითხებში სტანდარტების შემუშავებას. „პარიზის პრინციპების“ მიხედვით, მას უნდა დაყრდნობოდა კატალოგიზაციის საერთაშორისო სტანდარტები. მოლოდინი გამართლდა - ამ დროს მიღებული საკატალოგო კოდების უმრავლესობა მთელი მსოფლიოს მასშტაბით ამოქმედდა და ყველა მკაცრად იცავდა ზემოხსენებულ პრინციპებს (ზოგ შემთხვევაში, ზედმინვენითაც კი).

ახლა ამ პრინციპებს უკვე ორმოცდაათწლიანი ისტორია აქვთ, თუმცა კატალოგიზაციის საკითხების მაშინდელი პაკეტი ისევ აქტუალური და საჭიროა, რადგან მსოფლიოს კატალოგიზატორები და მკითხველები იყენებენ OPAC -ს -ელექტრონულ კატალოგებს.

21-ე საუკუნის დასაწყისში IFLA-მ შეიმუშავა პრინციპების ახალი დეკლარაცია (გამოქვეყნდა 2009 წელს), რომელიც, ელექტრონული კატალოგების გარდა, სხვა სახის კატალოგებსაც ითვალისწინებდა. მიმდინარე ვერსია კი, რომელც დღესდღეობით მოქმედებს, გასწორდა და განახლდა 2014 და 2015 წლებში და საბოლოოდ დამტკიცდა 2016 წელს.

2009 წლის დეკლარაციამ შეცვალა პარიზის პრინციპები და მკაფიოდ გააფართოვა მათი სამოქმედო არეალი საბიბლიოთეკო კატალოგებში, რაც მოიცავდა ტექსტობრივ ნაწარმოებებსა და მათთან ერთად ყველა სახის რესურსს, პირველი ელემენტისა და მისი

ფორმების ამორჩევას ბიბლიოგრაფიული და ავტორიტეტული მონაცემების ყველა ასპექტისათვის. დეკლარაცია თავის თავში მოიაზრებდა არამარტო პრინციპებსა და ამოცანებს, არამედ კატალოგიზაციის კოდების, ძიებისა და მისი შედეგების ახალ სახელმძღვანელო წესებს საერთაშორისო მასშტაბით.

2016 წლის გამოცემა მხედველობაში იღებს მომხმარებელთა ახალ კატეგორიებს, წვდომის გარემოებათა გამჭვირვალობას, მონაცემების, მახასიათებლებისა და პოვნის მექანიზმების ურთიერთთავსებადობასა და, საზოგადოდ, თანამედროვე მომხმარებლის ქცევის მნიშვნელოვან ცვლილებას.

დეკლარაცია მოიცავს შემდეგ სფეროებს:

1. მოქმედების არეალი
2. ზოგადი პრინციპები
3. ობიექტები, მსაზღვრელები (ატრიბუტები) და კავშირები
4. ბიბლიოგრაფიული აღწერილობა
5. წვდომის წერტილები
6. კატალოგის ამოცანები და ფუნქციები
7. საძიებო უნარების საფუძვლები

აღნიშნული დეკლარაცია ეყრდნობა მსოფლიო კატალოგიზაციის მდიდარ ტრადიციებს და აგრეთვე იმ კონცეპტუალურ მოდელებს, რომლებიც IFLA-ს ფუნქციონალურ მოთხოვნათა ოჯახში შედის.

იმედია, რომ ამ დეკლარაციის პრინციპებით გაიზრდება ბიბლიოგრაფიული და ავტორიტეტული მონაცემების საერთაშორისო ურთიერთგაზიარების ტემპი, რაც ამ სფეროს კანონშემოქმედთ დაეხმარება კა-

ტალოგიზაციის საერთაშორისო ნორმების შემუშავებაში.

1.

მოქმედების არეალი

ამ დეკლარაციის პრინციპები მოწოდებულია კატალოგიზაციის კოდების განვითარება-გაუმჯობესებისა და კატალოგიზატორების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების სახელმძღვანელოდ. მათ მიმართავენ ბიბლიოგრაფიული და ავტორიტეტული მონაცემებისათვის და, შესაბამისად, მიმდინარე საბიბლიოთეკო კატალოგების, ბიბლიოთეკარებისა და ბიბლიოთეკების მერ შექმნილი სხვა მონაცემთა ბაზებისათვის.

პრინციპები მიზნად ისახავს ყველა სახის ბიბლიოგრაფიული რესურსის აღწერილობითი და შინაარსობრივი კატალოგიზაციისადმი შეთანხმებულ და თანამიმდევრულ მიდგომას.

2.

ზოგადი პრინციპები

ამ პრინციპებით ხდება კატალოგიზაციის კოდების, კატალოგიზატორების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების, მონაცემებზე წვდომისა და მათი მიმოცვლის პოლიტიკის შემუშავება და განვითარება. აქედან ყველაზე მნიშვნელოვანია მომხმარებლისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა, მით უმეტეს, რომ 2.2-2.13 პრინციპები რაიმე განსაკუთრებული რიგით არ არის დალაგებული. მათ შორის კონფლიქტის შემთხვევაში კი ყველაზე მეტად თავსებადობის მეთოდი გამოგვადგება.

2.1. მომხმარებლისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნა

ხელსაყრელობა იმას ნიშნავს, რომ ყოველგვარი სახის ჩანაწერი გასაგები და მისაღები იყოს მომხმარებლისათვის. „მომხმარებელში“ იგულისხმება ის პირი, ვინც

ექებს ინფორმაციას კატალოგში და იყენებს ბიბლიოგრაფიულ და/ან ავტორიტეტულ მონაცემებს. წვდომისათვის საჭირო აღწერილობებისა და სახელების კონტროლირებადი ფორმების შემუშავებისას მომხმარებელიც უნდა იქნეს გათვალისწინებული.

2.2. ზოგადი ტერმინების გამოყენება

აღწერილობებისა და წვდომის ნერტილების ლექსიკა უნდა შეესაბამებოდეს მომხმარებელთა უმრავლესობის წარმოდგენებს.

2.3. წარდგენა

აღწერილობა რესურსს ისე უნდა ასახავდეს, როგორც ის სინამდვილეშია წარმოდგენილი. პირთა სახელების, ოჯახებისა და ორგანიზაციების კონტროლირებადი ფორმები უნდა ეყრდნობოდეს ობიექტის რეალურ აღწერილობას. ნაწარმოებების სათაურების კონტროლირებადი ფორმები კი უნდა ეფუძნებოდეს დედნის პირვანდელ სახეს და თუ ეს არ ხერხდება, მაშინ უნდა გამოვიყენოთ ის ფორმა, რომელიც საინფორმაციო წყაროებში გვხვდება.

2.4. სიზუსტე

ბიბლიოგრაფიულ და ავტორიტეტულ მონაცემებში ზუსტად უნდა იყოს გადმოცემული ობიექტის აღწერილობა.

2.5. საკმარისობა და აუცილებლობა

მონაცემთა ეს ელემენტები მოეთხოვებათ მაშინ, როდესაც საჭიროა, რომ ნებისმიერი ტიპის მომხმარებელს წვდომა გაუადვილო (მათ შორის, სპეციფიკური საჭიროებების მოხმარების შემთხვევაშიც) კატალოგების ამოცანებისა და ფუნქციების შესრულებისა და აგრეთვე ობიექტების აღწერის ან იდენტიფიკაციისათვის.

2.6. დანიშნულება

მონაცემების ელემენტები უნდა იყოს აღწერილობის რელევანტური და იძლეოდეს ობიექტთა დიფერენციაციის საშუალებას.

2.7. ეკონომიურობა

თუ მიზნის მიღწევის ალტერნატიული გზები არსებობს, მაშინ მათ შორის ყველაზე ნაკლებხარჯიანსა და პრაქტიკულ გზას ენიჭება უპირატესობა (ე.ი. უმცირესი დანახარჯი ან მარტივი მიდგომა) .

2.8. თანმიმდევრულობა და სტანდარტიზაცია

წვდომის წერტილების აღწერილობები და აგებულება იმდენად უნდა იყოს სტანდარტიზებული და თანმიმდევრული, რამდენადაც ეს შესაძლებელია.

2.9. ინტეგრაცია

ყოველგვარი სახის რესურსის აღწერილობა და ობიექტთა სახელების კონტროლირებადი ფორმები უნდა ეყრდნობოდეს ზოგად (საერთო) კანონებსა და წესებს იმდენად, რამდენადაც ეს შესაძლებელია.

2.10. თავსებადობა

ყველანაირად უნდა ვეცადოთ, რომ საბიბლიოთეკო თემში თუ მის გარეთ უზრუნველყოთ ბიბლიოგრაფიული და ავტორიტეტული მონაცემების გაზიარება და ბრუნვა-დობა, რათა გაადვილდეს მონაცემებისა და საძიებო საშუალებების მიმოცვლის, ლექსიკონებით ავტომატური თარგმნისა და ორპარტიკულ თავიდან აცილების საკითხები.

2.11. გამჭვირვალობა

მონაცემებზე შეზღუდვები მინიმუმამდე უნდა შემცირდეს, რათა ხელი შევუწყოთ იფლას დეკლარაციაში მითითებულ ღია ხელმისაწვდომობის გამჭვირვალობასა და შესატყვისობას. მონაცემებზე წვდომის ნებისმიერი შეზღუდვა სრულად უნდა იყოს გამოვლენილი.

2.12. ხელმისაწვდომობა

ბიბლიოგრაფიულ და ავტორიტეტულ მონაცემებზე, ისევე როგორც საძიებო სა-

შუალებების ფუნქციებზე, წვდომა უნდა შესაბამებოდეს ხელმისაწვდომობის საერთაშორისო სტანდარტებს, როგორც ეს იფლას ბიბლიოთეკარებისა და საინფორმაციო მუშაკების ეთიკურ კოდექსშია ნათქვამი.

2.13. გონივრულობა

კატალოგიზაციის კოდექსის წესები უნდა იყოს არა თავდასხმითი, არამედ თავდაცვითი. თუ ზოგიერთ სპეციფიკურ სიტუაციაში ყველა პრინციპის პატივისცემა ვერ ხერხდება, მაშინ თავდაცვით-პრაქტიკული გამოსავალი უნდა მოიძებნოს და გონივრულად განიმარტოს.

3.

ობიექტები, მსაზღვრელები (ატრიბუტები) და კავშირები

არსებობს ამოსავალი ობიექტები გარკვეული არეალის მომხმარებლებისათვის. თითოეული ობიექტი შეიძლება აღინეროს თავისი პირველადი მახასიათებლებით, რომლებსაც მსაზღვრელებს ვუწოდებთ. მომხმარებლები ამ ატრიბუტებს იყენებენ, როგორც ობიექტზე ინფორმაციის მოძიების მეთოდებსა და ხერხებს. მათ მსაზღვრელები კითხვარების შედგენასა და გამოხმაურებათა ინტერპრეტირებაში ეხმარება. კატალოგიზაცია ითვალისწინებს ობიექტებს, მსაზღვრელებსა და კავშირებს ისე, როგორც ეს ბიბლიოგრაფიული უნივერსუმის კონცეპტუალურ მოდელებშია დადგენილი. მხედველობაში გვაქვს შემდეგი კონცეპტუალური მოდელები: FRBR - ფუნქციონალური მოთხოვნები ბიბლიოგრაფიული ჩანაწერებისადმი; FRAD - ფუნქციონალური მოთხოვნები ავტორიტეტული მონაცემებისადმი; FRSAD - ფუნქციონალური მოთხოვნები თემატური (საგნობრივი) ავტორიტეტული მონაცემებისადმი.

3.1. ობიექტები

ბიბლიოგრაფიული და ავტორიტეტული მონაცემებით შეიძლება წარმოვადგინოთ შემდეგი ობიექტები:

1. ნაწარმოები
2. გამოსახვა
3. განხორციელება
4. ფიზიკური ერთეული
5. პირი
6. ოჯახი
7. ორგანიზაცია
8. თემა
9. ნომენი (სახელდება)

3.2. მსაზღვრელები

შეიძლება განვიხილოთ, როგორც მონაცემთა ელემენტები, რომლებიც თითოეული ობიექტის განსასაზღვრად გამოიყენება.

3.3. კავშირები

უნდა დადგინდეს ბიბლიოგრაფიულად მნიშვნელოვანი კავშირები ობიექტთა შორის.

4.

ბიბლიოგრაფიული აღწერილობა

4.1. როგორც წესი, ბიბლიოგრაფიული აღწერილობა თითოეული განხორციელებისათვის ცალ-ცალკე კეთდება.

4.2. ბიბლიოგრაფიული აღწერილობა, ჩვეულებრივ, ეყრდნობა ფიზიკურ ერთეულს, როგორც განხორციელების წარმომადგენელს და შეიძლება მოიცავდეს მასში შემავალი ნაწარმოებებისა და გამოსახვების მსაზღვრელებს ან აკავშირებდეს მათ ერთმანეთთან. თუ სხვა სტანდარტს ვეყრდნობით, მაშინ დიდი ძალისხმევაა საჭირო იმისათვის, რომ უზრუნველყოთ ღია წვდომა საერთაშორისო სტანდარტსა და სხვა სტანდარტს შორის არსებულ გამოცემად მაპინგებზე, რათა უფრო მეტად შევუწყოთ ხელი ინფორმაციულ თავსებადობასა და მისი გამოყენების სიზუსტეს.

4.3. აღწერილობით მონაცემებს საფუძვლად უნდა ედოს საერთაშორისო სტანდარტი. საბიბლიოთეკო თემისათვის ეს არის ISBD, ანუ ბიბლიოგრაფიული აღწერილობის საერთაშორისო სტანდარტი.

4.4. ბიბლიოგრაფიული ფაილიდან და კატალოგის დანიშნულებიდან გამომდინარე, აღწერილობები შეიძლება მოიცავდეს სხვადასხვა მოცულობის მონაცემებს, რის შესახებაც მომხმარებელი ინფორმირებული უნდა იყოს.

5.

წვდომის წერტილები

5.1. ზოგადი დებულებები

ბიბლიოგრაფიული და ავტორიტეტული მონაცემების ძიებისათვის წვდომის წერტილები უნდა შემუშავდეს ზოგად პრინციპებთან შესაბამისობაში (6.2. ზოგადი პრინციპები). ისინი შეიძლება იყოს კონტროლირებადი და არაკონტროლირებადი.

5.1.1. კონტროლირებადი წვდომის წერტილები ეფუძნება ისეთი ობიექტების სახელების ავტორიტეტულ და ვარიაციულ ფორმებს, როგორც არის პირი, ოჯახი, ორგანიზაცია, ნაწარმოები, გამოსახვა, განხორციელება, ფიზიკური ერთეული და თემა. კონტროლირებადი წვდომის წერტილი უზრუნველყოფს თანამიმდევრულობას, რაც აუცილებელია მთელი რიგი რესურსების ბიბლიოგრაფიული მონაცემების გასაერთიანებლად (ურთიერთდასაკავშირებლად).

5.1.2. არაკონტროლირებადი წვდომის წერტილები შეიძლება დაიყოს სახელების, სათაურების (მაგ., განხორციელების საკუთარი სათაური-სახელი), კოდების, საკვანძო სიტყვების და ა. შ. ბიბლიოგრაფიულ მონაცემებად, რომლებიც ავტორიტეტული მონაცემებით არ კონტროლდება.

5.2. ხელმისაწვდომობის წერტილების შერჩევა

5.2.1. ბიბლიოგრაფიულ მონაცემებზე წვდომის წერტილებად გამოიყენება რესურსში შემავალი ავტორიტეტული წვდომის წერტილები ნაწარმოებებისა და გამოსახვე-

ბისათვის (კონტროლირებადი), განხორციელებათა სათაურებისათვის (არაკონტროლირებადი) და ასევე ნაწარმოებთა ავტორებისათვის.

ორგანიზაცია ითვლება იმ ნაწარმოებების შემქმნელად, რომლებიც გამოხატავენ მოცემული დანესებულების კოლექტიურ აზრს და ასახავენ მის საქმიანობას. ასევე იმ შემთხვევაში, როდესაც სათაურში გადმოცემული ნაწარმოების ხასიათი მკაფიოდ მიუთითებს იმაზე, რომ აღნიშნული ორგანიზაცია კოლექტიურ პასუხისმგებლობას იღებს მის შინაარსზე. ეს წესი გამოიყენება მაშინაც, როცა ნაწარმოებს ხელს აწერს პირი, რომელიც ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელი ან თანამშრომელია.

5.2.2. ბიბლიოგრაფიული მონაცემებისათვის დამატებით უნდა შეიქმნეს ავტორიტეტული წვდომის წერტილები პირებზე, ოჯახებზე, ორგანიზაციებსა და საგნებზე, თუკი ეს საჭიროა აღწერილი ბიბლიოგრაფიული რესურსის მოძიებისა და იდენტიფიცირებისათვის.

5.2.3. ავტორიტეტულ მონაცემებზე წვდომის წერტილებად ითვლება ობიექტის სახელის ავტორიტეტული ფორმა და აგრეთვე მისი ვარიაციული ფორმები.

5.2.4. დამატებითი წვდომა შეიძლება უზრუნველვეყოთ შესაბამისი ობიექტების სახელებითაც.

5.3. ავტორიტეტული წვდომის წერტილები

ავტორიტეტულ მონაცემებში უნდა შევტანოთ ობიექტის სახელზე არსებული წვდომის წერტილი ობიექტის იდენტიფიკატორებთან და სახელის ვარიაციულ ფორმებთან ერთად. ავტორიტეტული წვდომის წერტილი შეიძლება გამოვიყენოთ აგრეთვე, როგორც არასაკმარისი ფორმა კატალოგში დისპლექებზე გამოსატანად.

5.3.1. ავტორიტეტული წვდომის წერტილები უნდა შემუშავდეს სტანდარტის შესაბამისად.

5.3.2. ავტორიტეტული წვდომის წერტილების ენა და გრაფიკა

5.3.2.1. როდესაც სახელები რამდენიმე ენით და/ან გრაფიკით არის წარმოდგენილი, ავტორიტეტული წვდომის წერტილისთვის უპირატესობა უნდა მიენიჭოს ინფორმაციას, რომელსაც ორიგინალის ენაზე და გრაფიკით აგებული განხორციელებანი გვანვდიან.

5.3.2.1.1. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ორიგინალის ენა და გრაფიკა, საზოგადოდ, მოცემულ კატალოგში არ გამოიყენება, დასაშვებია, რომ ავტორიტეტული წვდომის წერტილი წარმოდგენილი იყოს იმ ფორმით, რა ფორმითაც ის არის ნაჩვენები განხორციელებებსა და საინფორმაციო წყაროებში მოცემული კატალოგის მომხმარებელთათვის შესაბამისი ენითა და გრაფიკით.

5.3.2.1.2. ორიგინალის ენასა და გრაფიკაზე წვდომა უნდა ხორციელდებოდეს ყოველთვის, როცა კი ეს შესაძლებელია კონტროლირებადი წვდომის წერტილის, სახელის ავტორიტეტული ანდა ვარიაციული ფორმის მეშვეობით.

5.3.2.2. თუ ტრანსლიტერაცია იქნება საჭირო, მაშინ ის უნდა განხორციელდეს დამწერლობათა კონვერტიზაციის საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით.

5.3.3. პრივილეგირებული (უპირატესი) სახელის შერჩევა

სახელი, რომელიც ობიექტისათვის შეირჩევა ავტორიტეტულ წვდომის წერტილად, უნდა ეფუძნებოდეს ობიექტის მაიდენტიფიცირებელ სახელს, რომელიც ხშირად იხმარება განხორციელებებში ანდა უფრო მეტად მისაღებია კატალოგით მოსარგებლე მომ-

ხმარებლისათვის, როგორც საინფორმაციო წყაროების შესაბამისი ანდა საყოველთაოდ მიღებული სახელი (მაგ., „კონვენციური სახელი“).

5.3.3.1. პრივილეგირებული სახელის შერჩევა პირების, ოჯახებისა და ორგანიზაციებისათვის

თუ პირი, ოჯახი ან ორგანიზაცია იყენებს ვარიაციულ სახელებს ანდა სახელის ვარიაციულ ფორმებს, მაშინ თითოეული კონკრეტული პირისათვის ავტორიტეტულ წვდომის წერტილად ერთი სახელი ან სახელის ერთი ფორმა ამოირჩევა.

5.3.3.1.1. თუ განხორციელებებში და/ან საინფორმაციო წყაროებში გვხვდება სახელის ვარიაციული ფორმები და ეს ვარიაციები არ არის გამონეული ერთი და იმავე სიტყვის სხვადასხვანაირი გამოსახვით (მაგ., სრული და შემოკლებული ფორმები), უპირატესობა მიენიჭება:

ა) არაოფიციალურ, არამედ უფრო მეტად ცნობილ (ან კონვენციურ) სახელს, თუ იგი არის მითითებული

ან

ბ) ოფიციალურ სახელს, თუ არ არის მითითებული უფრო მეტად ცნობილი ან საყოველთაოდ მიღებული სახელი.

5.3.3.1.2. თუ ორგანიზაცია სხვადასხვა დროს სხვადასხვა სახელს ატარებდა და ისინი ერთი და იმავე დასახელების უმნიშვნელო ცვლილებად არ განიხილება, ყოველი ობიექტი, რომელსაც სახელწოდების მნიშვნელოვანი ცვლილება დაუდგინდა, განიხილება, როგორც ცალკე აღებული ახალი ობიექტი. თითოეული ამ ობიექტის შესაბამისი ავტორიტეტული მონაცემები, როგორც წესი, ამ ორგანიზაციების სახელწოდებების წინამავალ და მომდევნო ავტორიტეტულ ფორმებთან ლინკებით უნდა იყოს დაკავშირებული.

5.3.3.2. პრივილეგირებული სახელის შერჩევა ნაწარმოებების, გამოსახვების, განხორციელებებისა და ფიზიკური ერთეულებისათვის

როცა ნაწარმოებს რამდენიმე სათაური აქვს, მაშინ ავტორიტეტული წვდომის წერტილის საფუძვლად ერთი სათაური შეირჩევა. როცა განხორციელებებში ნაწარმოების ვარიაციულ ფორმებს ვხვდებით, უპირატესობა მიენიჭება:

ა) ნაწარმოების ორიგინალური გამოსახვის პირველ განხორციელებაში წარმოდგენილ სათაურს დედნის ენაზე

ან

ბ) საზოგადოდ მიღებულ (გამოყენებულ) სათაურს.

5.3.4. სახელის ფორმა ავტორიტეტული წვდომის წერტილებისათვის

5.3.4.1. სახელის ფორმა პირებისათვის

თუ პირის სახელი რამდენიმე სიტყვისაგან შედგება, ავტორიტეტული წვდომისათვის საწყისი სიტყვა ისე უნდა შეირჩეს, რომ იგი შეესატყვისებოდეს ქვეყნის ტრადიციებსა და ენას, რომლებიც, დიდწილად, ასოცირდება მოცემულ პირთან განხორციელებებსა და საინფორმაციო წყაროებში.

5.3.4.2. სახელის ფორმა ოჯახებისათვის

როცა ოჯახის სახელი რამდენიმე სიტყვისაგან შედგება, ავტორიტეტული წვდომისათვის საწყისი სიტყვა ისე უნდა შეირჩეს, რომ იგი შეესატყვისებოდეს ქვეყნის ტრადიციებსა და ენას, რომლებიც, უმეტესწილად, ასოცირდება მოცემულ პირთან განხორციელებებსა და საინფორმაციო წყაროებში.

5.3.4.3. სახელის ფორმა ორგანიზაციებისათვის

ორგანიზაციის სახელწოდება ავტორიტეტული წვდომის წერტილისათვის უნდა განისაზღვროს იმ რიგით და ფორმით, როგორც

განხორციელებებსა და საინფორმაციო წყაროებშია მოცემული, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა:

5.3.4.3.1. ორგანიზაცია მოიაზრება იურისდიქციისა და ტერიტორიული ხელისუფლების ნაწილად. ამ დროს ავტორიტეტული წვდომის წერტილი ტერიტორიული ერთეულის დასახელების თანამედროვე ფორმის შესატყვისი ენითა და გრაფიკით უნდა იყოს წარმოდგენილი მოცემული კატალოგის მომხმარებელთა მოთხოვნების შესაბამისად.

5.3.4.3.2. თუ ორგანიზაციის სახელწოდება გულისხმობს დაქვემდებარებასა და ქვემდებარე ფუნქციებს ან არ არის საკმარისი დაქვემდებარებული ორგანიზაციის საიდენტიფიკაციოდ, მაშინ ავტორიტეტული წვდომის წერტილი უნდა იწყებოდეს ზემდგომი ორგანიზაციის სახელწოდებით.

5.3.4.4. სახელის ფორმა ნაწარმოებების, გამოსახვების, განხორციელებებისა და ფიზიკური ერთეულებისათვის

ზემოდასახელებული ობიექტებისათვის ავტორიტეტული წვდომის წერტილი შეიძლება იყოს დამოუკიდებლად მდგომი სათაური ანდა სათაურის ფორმა, რომელიც გამოიყენება ნაწარმოების ავტორის ან ავტორებისათვის ავტორიტეტული წვდომის წერტილთან კომბინაციაში.

5.3.4.5. სახელთა დიფერენციაცია

თუ იმის აუცილებლობაა, რომ ერთი და იმავე დასახელების ერთი ობიექტი სხვა ობიექტებისაგან განვასხვავოთ, ავტორიტეტული წვდომის წერტილისათვის ამ ობიექტს უნდა დავუმატოთ სხვა მაიდენტიფიცირებელი ნიშნები. საჭიროებისას ეს ნიშნები შეიძლება ჩავრთოთ სახელების ვარიაციულ ფორმებში.

5.4. ვარიაციული სახელები და სახელის ვარიაციული ფორმები

დამოუკიდებლად იმისა, თუ რომელი სახელი ავირჩიეთ ავტორიტეტული წვდომის წერტილად, კონტროლირებად წვდომას უნდა დავუმატოთ ვარიაციული სახელები და სახელის ვარიაციული ფორმები.

6.

კატალოგის ამოცანები და ფუნქციები

კატალოგი უნდა იყოს ეფექტური და ქმედუნარიანი საშუალება, რომელიც მომხმარებლებს ანიჭებს შემდეგ შესაძლებლობებს:

6.1. ფონდში იპოვოს ბიბლიოგრაფიული რესურსები მსაზღვრელებისა და ობიექტების ურთიერთკავშირის საშუალებით. იპოვოს ერთეული რესურსი ან რესურსთა მთელი ჯგუფი, რომელიც წარმოდგენილია, როგორც:

ყველა რესურსი, რომელიც ერთ ნაწარმოებს ეკუთვნის;

ყველა რესურსი, რომელიც ერთ გამოსახვას ეკუთვნის;

ყველა რესურსი, რომელიც ერთ განხორციელებას ეკუთვნის;

ყველა რესურსი, დაკავშირებული მოცემულ პირთან, ოჯახთან ან ორგანიზაციასთან;

ყველა რესურსი მოცემულ თემაზე;

ყველა რესურსი, განსაზღვრული სხვა კრიტერიუმით (ენა, გამოცემის ადგილი, პუბლიკაციის თარიღი, შინაარსის ფორმა, მედია ტიპი, მატარებლის ტიპი და სხვ.), რომელიც, ჩვეულებრივ, ძიების შედეგების შეზღუდვის დამატებით კრიტერიუმად გვევლინება.

6.2. ბიბლიოგრაფიული რესურსის ან აგენტის იდენტიფიცირება (ეს ნიშნავს, ამტკიცო, რომ აღწერილი ობიექტი შეესაბ-

ყვისება საძიებო ობიექტს ან განასხვავო ორი ხასიათით ერთმანეთის მსგავსი ობიექტი).

6.3. ამოვირჩიოთ ბიბლიოგრაფიული რესურსი, რომელიც მომხმარებლის მოთხოვნების შესატყვისია (ე.ი. ის რესურსი ავირჩიოთ, რომელიც მომხმარებლის მოთხოვნებს აკმაყოფილებს მეთოდების, შინაარსის, ფიზიკური მატარებლის თვალსაზრისით ან უარყოფით რესურსი, რომელიც მომხმარებლის მოთხოვნებს არ შეესაბამება).

6.4. შევიძინოთ ან მივიღოთ აღწერილი ფიზიკურ ერთეულზე (ე.ი. უზრუნველვეყოთ მკითხველი ინფორმაციით, რომელიც მას იმის შესაძლებლობას აძლევს, რომ იყიდოს იგი ან მიიღოს დროებით სარგებლობაში და სხვ. ანდა უზრუნველვეყოთ ფიზიკურ ერთეულზე წვდომა ელექტრონული ფორმით შორეული ხელმისაწვდომობის ობიექტთან) ანდა ავტორიტეტულ და ბიბლიოგრაფიულ მონაცემებზე წვდომა.

6.5. ორიენტირება და კვლევა

ბიბლიოგრაფიული და ავტორიტეტული მონაცემების ლოგიკური ორგანიზაციის საშუალებით ობიექტთა შორის არსებული კავშირების მკაფიო წარმოდგენა კატალოგებით (მათ შორის, არასაბიბლიოთეკო კატალოგებითაც).

7.

საძიებო უნარების საფუძვლები

7.1. ძიება

წვდომის წერტილები არის ბიბლიოგრაფიული და ავტორიტეტული მონაცემების ელემენტები, რომლებიც: 1) უზრუნველყოფენ ბიბლიოგრაფიული და ავტორიტეტული მონაცემებისა და მათთან დაკავშირებული ბიბლიოგრაფიული რესურსების ძიების ნამდვილ რეზულტატს და 2) ზღუდავენ ძიების უტყუარ(სარწმუნო) შედეგებს.

7.1.1. მომხმარებელს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, რომ ეძებოს და იპოვოს სახელები, სათაურები და საგნები ძიების ნებისმიერი ხერხით, რაც მოცემულ საბიბლიოთეკო კატალოგში ან ბიბლიოგრაფიულ ფაილშია შესაძლებელი (სახელების სრული ფორმებით, საკვანძო სიტყვებით, ფრაზებით, შემოკლებებით, იდენტიფიკატორებით და ა. შ.). მონაცემები შეიძლება მოვძებნოთ თვით არასაბიბლიოთეკო საძიებო მექანიზმებითაც, რათა თავსებადობა და ბრუნვადობა გაიზარდოს.

7.1.2. არსებითი წვდომის წერტილები

ეს ის წერტილებია, რომლებიც ბიბლიოგრაფიულ აღწერილობაში ყოველი ცალკე აღებული ობიექტის მთავარ მსაზღვრელებსა და კავშირებს ეფუძნება.

7.1.2.1. ბიბლიოგრაფიულ მონაცემებში არსებითი წვდომის წერტილები მოიცავს:

- ავტორიტეტულ წვდომის წერტილს ნაწარმოების შემქმნელის (ავტორის (შემქმნელთა-მრ.რ.) ან იმ შემქმნელის სახელზე, რომელიც პირველ რიგში მიეთითება, თუ რამდენიმე ავტორია ჩამოთვლილი;
- ავტორიტეტული წვდომის წერტილს ნაწარმოებზე/ გამოსახვაზე (შეიძლება ჩავრთოთ ავტორიტეტული წვდომის წერტილი ავტორზე(შემქმნელზე));
- ძირითად სათაურს ან სათაურს, რომელიც კატალოგიზატორმა მიანიჭა განხორციელებას;
- პუბლიკაციის ანდა განხორციელების გამოშვების წლებს;
- კონტროლირებად თემატურ რუბრიკებს და/ან საკლასიფიკაციო ინდექსებს ნაწარმოებისათვის;
- სტანდარტულ ნომრებს, იდენტიფიკატორებსა და „საკვანძო სათაურებს“ აღწერილი ობიექტისათვის.

7.1.2.2. ავტორიტეტულ მონაცემებში არსებითი წვდომის წერტილები მოიცავს:

- ობიექტის ავტორიტეტულ სახელს, ვარიაციულ სახელებსა და სახელის ვარიაციულ ფორმებს ობიექტისათვის;
- იდენტიფიკატორებს ობიექტისათვის;
- კონტროლირებად სახელებს (მაგ., თემატური წვდომის წერტილები და/ან რიცხვების კლასიფიკაცია) ნაწარმოებისათვის.

7.1.3. დამატებითი წვდომის წერტილები

ბიბლიოგრაფიული აღწერილობისა ან ავტორიტეტული მონაცემების ძიებისათვის სხვა მსაზღვრელებიდან შეიძლება გამოვიყენოთ როგორც ფაკულტატიური წვდომის წერტილები, ისე ფილტრებისა და შეზღუდვების მექანიზმები.

7.1.3.1. ბიბლიოგრაფიული მონაცემების ეს მსაზღვრელები არ არის შეზღუდული და შეიძლება მოიცავდეს:

- სხვა შემქმნელების სახელებს პირველ-შემქმნელთა სახელების, ოჯახების ან ორგანიზაციების გვერდით (მაგ., პერ-ფორმერები);
- ვარიაციულ სათაურებს (მაგ., პარალელური სათაური, კერძო სათაურები და ა. შ.);
- ავტორიტეტულ წვდომის წერტილს სერიული გამოცემებისათვის;
- ბიბლიოგრაფიული მონაცემების იდენტიფიკატორებს;
- გამოსახვის ენას განხორციელებაში;
- პუბლიკაციის ადგილს;
- შინაარსის ფორმას;
- მედიატიპს;
- მატარებლის ტიპს.

7.1.3.2. ავტორიტეტული მონაცემებისათვის ეს მსაზღვრელებიც არ არის შეზღუდული და შეიძლება მოიცავდეს:

- შესაბამისი ობიექტების სახელებს ან სათაურებს;

- ავტორიტეტული მონაცემების იდენტიფიკატორებს.

7.2. როცა ძიების შედეგებში გვაქვს ერთი და იმავე წვდომის წერტილის რამდენიმე მონაცემი, მაშინ მონაცემები უნდა წარმოვადგინოთ რომელიმე ლოგიკური წესრიგით, რაც კატალოგის მომხმარებლისათვის იქნება მოსახერხებელი. სასურველია, რომ ეს მოხდეს სტანდარტთან შესაბამისი წვდომის წერტილის რელევანტური ენითა და გრაფიკით. მომხმარებელს უნდა შეეძლოს მისთვის სასურველი კრიტერიუმის ამორჩევა სხვადასხვა კრიტერიუმს შორის - პუბლიკაციის თარიღი, ანბანური რიგი, რანგირება-კლასიფიკაცია და ა. შ.

თუ შესაძლებელი იქნება, უპირატესობა უნდა მიენიჭოს დისფლემის, რომელიც გვიჩვენებს ობიექტებსა და მათ შორის კავშირებს.

გლოსარიუმი

გლოსარი მოიცავს ტერმინებს, რომლებიც კატალოგიზაციის პრინციპების დეკლარაციაშია გამოყენებული. ეს სპეციფიკური ხასიათის ტერმინებია (არ შეესაბამება ჩვეულებრივი ლექსიკონის განმარტებებს). მათ შორის არის აგრეთვე რამდენიმე ტერმინი, რომელთა მნიშვნელობის ცოდნა საჭიროა დეკლარაციის უკეთ გასაგებად. ლექსიკონს ბოლოში ერთვის იმ ტერმინთა განმარტებები, რომლებიც კატალოგიზაციის საერთაშორისო პრინციპების (ICP) 2009 წლის ვერსიის შემდეგ აღარ გამოიყენება.

წვდომის წერტილი (Access point): სახელი, ტერმინი, კოდი და სხვ., რომელთა საშუალებითაც იძებნება ან იდენტიფიცირდება ბიბლიოგრაფიული ან ავტორიტეტული მონაცემები. წვდომის წერტილები ასრულებენ აგრეთვე კატალოგის მაკავშირებელ ფუნქციას.

დამატებითი (ფაკულტატიური) წვდომის წერტილი (Additional access point): წვდომის წერტილი, რომელიც შეიძლება გამოვიყენოთ, როგორც დამატებითი საშუალება ბიბლიოგრაფიული და ავტორიტეტული მონაცემების ძიების შედეგების გასაუმჯობესებლად.

აგენტი (Agent): ობიექტი (პირი, ოჯახი ან ორგანიზაცია), რომელიც პასუხისმგებელია ნაწარმოებებთან, გამოსახვებთან, განხორციელებებთან ან ფიზიკურ ერთეულებთან მიმართებაში.

მსაზღვრელი (ატრიბუტი) (Attribute): ობიექტის მახასიათებელი. ის შეიძლება იყოს ობიექტის განუყოფელი ნაწილი ან გარედან ნასესხები (მიწერილი). მსაზღვრელები შეიძლება ჩაიწეროს, როგორც უბრალოდ ასოებით, ისე URI-ებით.

ავტორიტეტული მონაცემები (Authority data): ერთიანი ინფორმაცია პირის, ოჯახის, ორგანიზაციის, ნაწარმოების, გამოსახვის, განხორციელების, ფიზიკური ერთეულის ან თემის შესახებ. ავტორიტეტული მონაცემები უნდა შეიქმნას წვდომის წერტილებად გამოყენებული სახელების, ნომენების (სახელდებების), სახელის ვარიაციული ფორმების, იდენტიფიკატორების გასაკონტროლებლად.

ავტორიტეტული წვდომის წერტილი (Authorized access point): არის ობიექტისათვის პრივილეგირებული კონტროლირებადი წვდომის წერტილი, რომელიც სტანდარტებში მოცემული წესების მიხედვით არის დადგენილი და შემუშავებული.

სახელის ავტორიტეტული ფორმა (Authorized form of name): ობიექტისათვის შერჩეული ავტორიტეტული წვდომის წერტილი.

ბიბლიოგრაფიული მონაცემები (Bibliographic data): მონაცემების ელემენტები, რომლებიც აღწერენ და უზრუნველყოფენ

ბიბლიოგრაფიულ რესურსზე წვდომას.

ბიბლიოგრაფიული აღწერილობა (Bibliographic description): ბიბლიოგრაფიული მონაცემების პაკეტი რესურსის ჩაწერისა და იდენტიფიცირებისათვის.

ბიბლიოგრაფიული რესურსი (Bibliographic resource): მატერიალური ან არამატერიალური ობიექტი, რომელიც ინტელექტუალური და/ან მხატვრული შინაარსისაა.

ბიბლიოგრაფიული უნივერსი (Bibliographic universe): საბიბლიოთეკო კოლექციებთან დაკავშირებული სფერო. ფართო გაგებით, მასში შეიძლება მოვიპოვოთ სხვა საინფორმაციო თემების (არქივები, მუზეუმები და ა. შ.) კოლექციებიც.

ბიბლიოგრაფიულად მნიშვნელოვანი (Bibliographically significant): ობიექტის თვისება, მახასიათებელი ან მიმართება, რომელიც მიგვანიშნებს ღირებულების სპეციფიკურ მნიშვნელობაზე ბიბლიოგრაფიული რესურსების კონტექსტში.

მატარებლის ტიპი (Carrier type): დესიგნაცია (განსაზღვრება), რომელიც ასახავს მატარებლის დაცვისა და შენახვის საშუალებათა ფორმატს იმ მექანიზმთან კომბინაციაში, რომელსაც რესურსის შინაარსის გამოტანა, ჩვენება, გაშვება და ა. შ. მოეთხოვება.

კონცეპტუალური მოდელი (Conceptual model): მოდელი, რომელიც გაიაზრებს ბიბლიოგრაფიული უნივერსის სფეროს და ამისათვის იყენებს ანალიზის ტექნიკას, კერძოდ, ობიექტი/კავშირი მოდელირებას.

შინაარსის ფორმა (Content form): ფორმების ძირითადი (ფუნდამენტალური) ფორმა, რომელშიც რესურსის შინაარსია ასახული.

კონტროლირებადი წვდომის წერტილი (Controlled access point): ავტორიტეტულ მონაცემებში ჩაწერილი წვდომის წერტილი.

იგი მოიცავს სახელების ავტორიტეტულ და აგრეთვე ვარიაციულად მიჩნეულ ფორმებს.

კონვენციური(საყოველთაოდ მიღებული) სახელი (Conventional name): სახელი, ოფიციალური სახელებისაგან განსხვავებული, რომლის საშუალებითაც ამოიცნობა ობიექტი.

კორპორაცია (ორგანიზაცია) (Corporate body): პირთა ჯგუფი ან ორგანიზაცია და/ან ორგანიზაციები, რომლებიც სპეციალური სახელით იდენტიფიცირდებიან და მოქმედებენ, როგორც ერთი მთლიანი ერთეული.

შემქმნელი (ავტორი) (Creator): პირი, ოჯახი ან ორგანიზაცია, რომელიც პასუხისმგებელია ნაწარმოების ინტელექტუალურ ან მხატვრულ შინაარსზე.

აღწერილობითი კატალოგიზაცია (Descriptive catalogue): კატალოგიზაციის ნაწილი, რომელიც უზრუნველყოფს როგორც აღწერილობით მონაცემებს, ისე არათემატური წვდომის წერტილებს.

ობიექტი (Entity): კონცეპტუალური ობიექტების აბსტრაქტული კატეგორია.

არსებითი წვდომის წერტილი (Essential access point): წვდომის წერტილი, რომელიც ეფუძნება ბიბლიოგრაფიულ ან ავტორიტეტულ მონაცემებში ჩანერილი ობიექტის მთავარ მსაზღვრელს ან კავშირს, რომელიც ამ მონაცემების ძიებასა და იდენტიფიკაციას უზრუნველყოფს.

გამოსახვა (Expression): ნაწარმოების რეალიზაციის ინტელექტუალური ან მხატვრული ფორმა.

ოჯახი (Family): ორი ან მეტი პირი, ერთმანეთთან დაბადებით, ქორწინებით, შვილად აყვანით ან და მსგავსი კანონიერი სტატუსით თუ სხვა სახით დაკავშირებული, რაც მათ ოჯახად წარმოადგენს.

იდენტიფიკატორი (Identifier): ნომერი, კოდი, სიტყვა, ფრაზა, ლოგო, მექანიზმი, რომელთა საშუალებითაც ხდება ერთი ობიექტის სხვა ობიექტებისაგან დიფერენცია იმ სფეროში, რომელსაც მოცემული ობიექტი მიეკუთვნება.

ფიზიკური ერთეული (Item): განხორციელების ერთი ცალკე აღებული ეგზემპლარი.

საკვანძო სათაური (Key title): უნიკალური სახელი, რომლითაც აღნიშნავენ გრძელდებად რესურსს ISSN ქსელის საშუალებით და რომელიც უწყვეტად არის მიბმული ISSN-თან.

განხორციელება (Manifestation): ნაწარმოების გამოსახვის ფიზიკური რეალიზაცია. ის შეიძლება იყოს ნაწარმოებთა კრებული, ცალკეული ნაწარმოები ან მისი შემადგენელი ნაწილი. განხორციელება შეიძლება წარმოადგენდეს ერთ ან რამდენიმე ფიზიკურ ერთეულს.

სახელი (Noun): ასო, ბგერა ან სიტყვების და/ან ასოების ჯგუფი, რომლითაც გამოიცნობა ობიექტი. იგი შეიცავს სიტყვებს ან ასოებს, რომლებიც პირს, ოჯახს, ორგანიზაციას და, ასევე, ნაწარმოების, გამოსახვის, განხორციელების ან ფიზიკური ერთეულის სათაურს აღნიშნავენ. სახელი გამოიყენება წვდომის წერტილის საფუძვლად.

ნომენი (სახელდება) (Nomen): ნებისმიერი ნიშანი ან ნიშნების მიმდევრობა, რომლითაც ამოიცნობა, ამოირჩევა და გადამისამართდება თემა. თემას შეიძლება ჰქონდეს ერთი ან რამდენიმე ნომენი, ასევე ერთი ნომენით გამოითქვანება მრავალი თემა. იგი გამოიყენება წვდომის წერტილის საფუძვლად.

პირი (Person): ინდივიდი ან ცალკე აღებული პიროვნება, დადგენილი და მიღებული ინდივიდის ან ჯგუფის მიერ.

პრივილეგირებული სახელი (Preferred name): სახელი, რომელიც შეირჩევა ობიექტი-

სათვის სტანდარტების ან წესების შესაბამისად, გამოიყენება ობიექტისათვის ავტორიტეტული წვდომის წერტილის შესაქმნელად.

კავშირი (Relationship): განსაკუთრებული ურთიერთობები ობიექტებს ან მათს თვისებებს შორის.

თემატური (საგნობრივი) კატალოგიზაცია (Subject cataloguing): კატალოგიზაციის ნაწილი, რომელიც თემებისა და ნომენების იდენტიფიკაციას ახდენს მათი ერთმანეთისაგან დიფერენციაციის მიზნით.

თემა (კონცეფცია) (Thema): ნებისმიერი ობიექტი, რომელიც ნაწარმოების თემად გამოიყენება. თემები შეიძლება არსებითად და კომპლექსურად შეიცვალოს. მარტივი თემები შეიძლება შეერთდეს და გაერთიანდეს უფრო რთულ თემებად.

არაკონტროლირებადი წვდომის წერტილი (Uncontrolled access point): წვდომის წერტილი,

რომელიც ავტორიტეტული მონაცემებით არ კონტროლდება.

მომხმარებელი (User): ნებისმიერი პირი, ოჯახი, ორგანიზაცია ან ავტომატი, ვინც კატალოგში ეძებს და იყენებს ბიბლიოგრაფიულ და/ან ავტორიტეტულ მონაცემებს.

სახელის ვარიაციული ფორმა (Variant form of name): სახელის ფორმა, რომელიც არ არის შერჩეული ობიექტისათვის ავტორიტეტული წვდომის წერტილად. ის შეიძლება გამოვიყენოთ ობიექტის ავტორიტეტული მონაცემების წვდომისათვის ან როგორც ლინკი ავტორიტეტული წვდომის წერტილისათვის.

ნაწარმოები (Work): განსხვავებული ინტელექტუალური ან მხატვრული ქმნილება.

ინგლისურიდან თარგმნა
ლია გიგაურმა



2024 წლის ღირსსახსოვარ დღეთა კალენდარი

იანვარი

- 1-130 წლის წინათ დაიბადა როდიონ ქორქია (1894-1984) - მწერალი
- 2-135 წლის წინათ დაიბადა ვალერიან გაფრინდაშვილი (1889-1941) - პოეტი
- 3-120 წლის წინათ დაიბადა ანა ღვინიაშვილი (1904-1981) - მწერალი

თებერვალი

- 7-140 წლის წინათ დაიბადა ლეო ქიაჩელი (შენგელაია) (1884-1963) - მწერალი
- 8-170 წლის წინათ დაიბადა ივანე მაჩაბელი (1854-1898) - მწერალი, მთარგმნელი, პუბლიცისტი
- 27-115 წლის წინათ (1909-1992) დაიბადა მაყვალა მრევლიშვილი - საბავშვო პოეტი

მარტი

- 4 - 210 წლის წინათ დაიბადა ტარას შევჩენკო (1814-1861) - უკრაინელი პოეტი, მსახიობი, მხატვარი
- 175 წლის წინათ დაიბადა კონსტანტინე (კოტე) ყიფიანი (1849-1921) - მსახიობი, მთარგმნელი, ლექსიკოგრაფი, საზოგადო მოღვაწე
- 80 წლის წინათ დაიბადა ნუგზარ შატაიძე (1944) - მწერალი, დრამატურგი.
- 18 - 95 წლის წინათ დაიბადა შოთა ნიშნიანიძე (1929-1999) - პოეტი
- 23 - 80 წლის წინათ დაიბადა ჯემალ აჯიაშვილი (1944-2013) - მთარგმნელი, მწერალი
- 26 - 85 წლის წინათ (1939-2021) დაიბადა გურამ დოჩანაშვილი - მწერალი.
- 31- 85 წლის წინათ დაიბადა ზვიად გამსახურდია (1939-1992) - საქართველოს პირველი პრეზიდენტი

აპრილი

- 3 - 105 წლის წინათ დაიბადა გიორგი ნაფეტვარიძე (1919-1942) - პოეტი
- 9 - 90 წლის წინათ დაიბადა თამაზ ბიბილური (1934-1992) - მწერალი
- 12 - 95 წლის წინათ დაიბადა მუხრან მაჭავარიანი (1929-2010) - პოეტი
- 14 - 210 წლის წინათ (1814-1887) დაიბადა დიმიტრი ყიფიანი - მწერალი, საზოგადო მოღვაწე
- 255 წლის წინათ დაიბადა გიორგი ავალიშვილი (1769-1850) - მწერალი, ბიბლიოგრაფი, პოლიტიკური მოღვაწე
- 15 - 105 წლის წინათ დაიბადა ელენე დიდიმამიშვილი (1919-1997) - პოეტი, საზოგადო მოღვაწე
- 16 - 85 წლის წინათ დაიბადა გენო კალანდია (1939-2017)- პოეტი
- 20 - 105 წლის წინათ დაიბადა ლადო სულაბერიძე (1919-1993) - პოეტი
- 21 - 200 წლის წინათ დაიბადა რაფიელ ერისთავი (1824-1901) - მწერალი, დრამატურგი, ეთნოგრაფი, ლექსიკოგრაფი
- 24 - 135 წლის წინათ დაიბადა იოსებ გრიშაშვილი (მამულაიშვილი) (1889-1965) - მკვლევარი, პოეტი-აკადემიკოსი

მაისი

- 7 - 85 წლის წინათ (1939) დაიბადა ლია სტურუა - პოეტი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი.
- 18 - 115 წლის წინათ (1909) დაარსდა თბილისის მ. ჯავახიშვილის სახელობის მთავარი ბიბლიოთეკა
- 21 - 150 წლის წინათ დაიბადა შალვა დადიანი (1874-1959) - მწერალი, დრამატურგი
- 26 - 85 წლის წინათ დაიბადა მერაბ კოსტავა (1939-1989) - ეროვნული დამოუკიდებლობის აღდგენისათვის მებრძოლი თვალსაჩინო მოღვაწე
- 30 - 110 წლის წინათ (1914-2000) დაიბადა ვახტანგ ბერიძე - მეცნიერი, ხელოვნებათმცოდნე

ივნისი

- 5 - 140 წლის წინათ დაიბადა დავით სულიაშვილი (1884-1964) - მწერალი
- 14 - 90 წლის წინათ დაიბადა მერაბ ელიოზიშვილი (1934-2012) - მწერალი, დრამატურგი
- 15 - 90 წლის წინათ დაიბადა გიგა მახვილაძე (1934-2001) - მწერალი
- 16 - 90 წლის წინათ დაიბადა ნოდარ ჯალაღონია (1934-2018) - პოეტი
- 23 - 90 წლის წინათ დაიბადა გურამ გეგეშიძე (1934-2020) - მწერალი
- 29 - 130 წლის წინათ დაიბადა პაოლო იაშვილი (1894-1937) - პოეტი
- 30 - 185 წლის წინათ დაიბადა სიმონ გუგუნიანი (1839-1903) - პოეტი

ივლისი

- 4 - 90 წლის წინათ დაიბადა გურამ რჩელიშვილი (1934-1960) - მწერალი
- 180 წლის წინათ (1844-1929) დაიბადა ნიკოლოზ (ნიკო) ავალიშვილი - მთარგმნელი, პუბლიცისტი, თეატრალური მოღვაწე
- 7 - 145 წლის წინათ დაიბადა ჭოლა ლომთათიძე (1879-1915) - მწერალი

აგვისტო

- 1 - 110 წლის წინათ დაიბადა გრიგოლ აბაშიძე (1914-1994) - მწერალი, პოეტი, საზოგადო მოღვაწე
- 12 - 90 წლის წინათ დაიბადა გივი ჭიჭინაძე (1934-1999) - პოეტი, მსახიობი
- 13 - 110 წლის წინათ დაიბადა აკაკი ძიძიგური (1914-1995) - ჟურნალისტი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, ხელმძღვანელობდა საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკის დირექტორი (1984-1997)
- 15 - 140 წლის წინათ დაიბადა ალექსანდრე აბაშელი (ჩოჩია) (1884-1954) - პოეტი, მწერალი
- 29 - 135 წლის წინათ დაიბადა ილია სიხარულიძე (1889-1963) - პოეტი

სექტემბერი

- 1 - 175 წლის წინათ დაიბადა ანასტასია თუმანიშვილი (1849-1880) - მწერალი, საზოგადო მოღვაწე
- 11 - 110 წლის წინათ დაიბადა გაბრიელ ჯაბუშანიური (1914-1969) - პოეტი
- 21 - 110 წლის წინათ დაიბადა კიტა ბუაჩიძე (1914-2000) - მწერალი, დრამატურგი
- 22 - 115 წლის წინათ დაიბადა ბონდო კეშელავა (1909-1995) - პოეტი
- 26 - 210 წლის წინათ დაიბადა დავით ჩუბინაშვილი (1814-1891) - ენათმეცნიერი, ლექსიკოგრაფი

ოქტომბერი

- 2 - 220 წლის წინათ დაიბადა გრიგოლ ორბელიანი (1804-1883) - პოეტი, საზოგადო მოღვაწე
- 70 წლის წინათ დაიბადა გოდერძი ჩოხელი (1954-2007) - მწერალი, კინორეჟისორი.

ნოემბერი

- 3 - 95 წლის წინათ დაიბადა ჯანსუღ ნიქაბაძე (1929-1989) - პოეტი
- 9 - 120 წლის წინათ დაიბადა გერცელ ბააზოვი (1904-1938) - მწერალი, პოეტი
- 10 - 85 წლის წინათ (1939) დაიბადა ბესიკ ხარანაული - პოეტი
- 20 - 110 წლის წინათ დაიბადა ალექო შენგელაია (1914-1975) - პოეტი
- 21 - 100 წლის წინათ დაიბადა ედიშერ ყიფიანი (1924-1992) - მწერალი
- 22 - 195 წლის წინ დაიბადა ივანე კერესელიძე (1829-1892) - მწერალი, მთარგმნელი
- 23 - 115 წლის წინათ დაიბადა ირაკლი აბაშიძე (1909-1992) - პოეტი, აკადემიკოსი
- 26 - 155 წლის წინათ დაიბადა მარჯორი სკოტ უორდროპი (1869-1909) - ინგლისელი მწერალი, „ვეფხისტყაოსნის“ მთარგმნელი

დეკემბერი

- 1 - 100 წლის წინათ დაიბადა ოთარ მამფორია (1924-2000) - პოეტი, მთარგმნელი და დრამატურგი
- 4. - 170 წლის წინათ დაიბადა ვასო აბაშიძე (1854-1926) - დრამატურგი, მთარგმნელი, მსახიობი
- 10 - 100 წლის წინათ დაიბადა ხუტა ბერულავა (1924-2004) - პოეტი, მთარგმნელი
- 15 - 100 წლის წინათ დაიბადა ანა კალანდაძე (1924-2008) - პოეტი
- 22 - 110 წლის წინათ დაიბადა ვლადიმერ უბილავა (1914-1942) - პოეტი
- 27 - 125 წლის წინათ დაიბადა გიორგი ლეონიძე (1899-1966) - პოეტი, მკვლევარი
- 31 - 175 წლის წინათ დაიბადა მიხეილ ასათიანი (1849-1879) - მწერალი, პუბლიცისტი


ადგილობრივი და საერთაშორისო დღესასწაულები

- 14 იანვარი - ქართული თეატრის დღე
- 3 მარტი - დედის დღე. მწერლების საერთაშორისო დღე.
- 8 მარტი - ქალთა საერთაშორისო დღე.
- 21 მარტი - ქართული ჟურნალისტიკის დღე. მიწის საერთაშორისო დღე
- 27 მარტი - თეატრის საერთაშორისო დღე.
- 2 აპრილი - საბავშვო წიგნის საერთაშორისო დღე.
- 6 აპრილი - სპორტის საერთაშორისო დღე.
- 7 აპრილი - ჯანმრთელობის მსოფლიო დღე.
- 9 აპრილი - საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის დღე.
- საქართველოს ერთიანობის, სამოქალაქო თანხმობისა და სამშობლოსათვის დაღუპულთა მოგონების დღე.
- 14 აპრილი - ქართული ენის დღე.
- 22 აპრილი - დედამიწის საერთაშორისო დღე
- 23 აპრილი - წიგნის საერთაშორისო დღე
- 30 აპრილი - ბიბლიოთეკარის პროფესიული დღე საქართველოში
- 9 მაისი - ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების დღესასწაული.
- 15 მაისი - შოთა რუსთაველის დღე
- 18 მაისი - მუზეუმების საერთაშორისო დღე
- 26 მაისი - საქართველოს სახელმწიფოებრიობის დამოუკიდებლობის აღდგენის დღე.
- 27 მაისი - ბიბლიოთეკარების საერთაშორისო დღე.
- 1 ივნისი - ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე.
- 5 ივნისი - გარემოს დაცვის მსოფლიო დღე.
- 20 ივლისი - ჭადრაკის საერთაშორისო დღე.
- 2 აგვისტო - ილიაობა.
- აგვისტო ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე.
- 24 აგვისტო - საქართველოს კონსტიტუციის დღე.
- 1 სექტემბერი - ცოდნის დღე.
- 21 სექტემბერი - მშვიდობის მსოფლიო დღე.
- 1 ოქტომბერი - მუსიკის საერთაშორისო დღე.
- 5 ოქტომბერი - მასწავლებლის საერთაშორისო დღე.
- 24 ოქტომბერი - გაერთიანებული ერების საერთაშორისო დღე.
- 10 ნოემბერი - ახალგაზრდობის მსოფლიო დღე. მეცნიერების საერთაშორისო დღე.
- 10 დეკემბერი - საქართველოს ადამიანთა უფლებების დაცვის დღე.


კალენდარი შეადგინა ნატო ჩაღუნელმა

საქართველოს მუნიციპალური გეგმიოთეკების წიგნაღი ფონდი, 2022

გეგმიოთეკების კონტენტის რეკონსტრუქციის უნივერსალური შიკი





საბიბლიოთეკო დამოუკიდებლობის მაჩვენებელი



ბიბლიოთეკების რეკონსტრუქციის რაოდენობა



ბიბლიოთეკების მუშაობის მდგომარეობის მაჩვენებელი



საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის მიერ მომზადებული მუნიციპალური ბიბლიოთეკების მდგომარეობის რეკონსტრუქციის მაჩვენებელი. მონაცემები მომზადებულია 2022 წლის მარტის მდგომარეობის მიხედვით. მონაცემების წყარო: საქართველოს მუნიციპალიტეტების ბიბლიოთეკების ასოციაცია.



საქართველოს კარლამენძის ეროვნული ბიბლიოთეკის კირველი კორპუსის შენასვლელი კარი. შეიქმნა 1916 წელს კოთე ბოტკოველის მიერ. აღდგა 2022 წელს. სარესტავრაციო სამუშაო ჩაატარეს ნიკოლოზ ბაღურაშვილმა და გოჩა ხუჭუაბ.